

ნოშრევან არაგული

ვარაუდები, ფიქრები

||

ფხოვი ისტორიაში და  
ადღიაზები



გამომცემლობა „კენვერსატი“  
თბილისი 2015

რედაქტორი — **გიორგი გოგოჭური**  
ტექნიკური რედაქტორი — **მზექალა არაბული**

© 6. არაბული, 2015

გამომცემლობა „ანივერსალი”, 2015

---

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-554-3

ფეოდალური საქართველოს ქედმოუხრელი პროვინცია ფხოვი, ანუ თანამედროვე ფშავ – ხევსურეთი, ისტორიკოსთა ყურადღებით განებივრებული ნამდვილად არ ყოფილა. ამის მეტიონ დადასტურებაა ისიც, რომ დღემდე მის შესახებ ისტორიული შინაარსის ვრცელი და ამომწურავი გამოკვლევა არ არსებობს. მხედველობაში გვაქვს ამ კუთხის წარსულის ის მონაკვეთი, როდესაც იგი ფხოვად იწოდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფხოვის თემას XIX – XX საუკუნეებში არაერთი ავტორიტეტული მეცნიერი შეეხო, საქმეში ჩახედულ კაცს ცნობისწადილი მაინც „ცოცხალი“ რჩება. თანაც იმ ავტორთა ნაშრომები ზოგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და მკითხველისათვის ძნელად მისაწვდომი გახდა, ზოგიც მოძველდა.

ვერც ეს წიგნი ამომწურავს ფხოვის გააზრებას ისტორიულ ასპექტში. ეს უფრო „ქართლის ცხოვრებაში“ გაბნეულ ცნობათა თავმოყრისა და ზოგიერთი პასაჟის დაზუსტებისა თუ შეფასების ცდაა, ცდაა, აგრეთვე, იმის ჩვენებისა, თუ როგორ აირკლავს ისტორიულ სინამდვილეს ანდრეზი და კიდევ იმისაც, თუ როგორ ცოცხლდება ანდრეზში ისტორია.

წიგნზე მუშაობისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით „ქართლის ცხოვრების“ I, II, და IV, შესაბამისად 1955, 1959 და 1973 წლების გამოცემებითა და ზ. კიკნაძის „ანდრეზებით“ (თბილისი, 2009).

„ქართლის ცხოვრების“ მთელი ციტაცია, ერთად რომ შევკრიბოთ, ნახევარი გვერდიც არ გამოვა, საკითხით დაინტერესებული პირისათვის ეს გარემოება მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა, ამიტომაც თავს აქა-იქ „ხმამაღლა“ ფიქრის უფლებაც მივეცით, რაც, ვიმედოვნებთ, მეითხველისთვის მოსაწყენი არ იქნება.

შინაარსობრივი თვალსაზრისით „გარაუდები, ფიქრების“ I და II წიგნებს შორის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დარღვეულია. სჯობდა, პირიქით ყოფილიყო, მაშინ თხრობის ჯაჭვი უფრო ერთიანი, დინამიური და უწყვეტი იქნებოდა და წიგნიც კომპოზიციურად - მტკიცე და შეკრული, მაგრამ ასე ავტორისათვისაც უნებურად მოხდა...

ფხოველთათვისაც ხომ არ ხდებოდა ყველაფერი ყოველთვის ისე, როგორც მათ სურდათ...

**ნიგნი ეპლვება**

**მამულისათვის დაცემულ**

**ვეოველთა სოცნას**

## რედაქტორისაგან

წიგნის ავტორი, ნოშრევან არაბული, განათლებით ისტორიკოს -ფილოლოგია. ის ნიჭიერი შემოქმედია; გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული და ორიც ისტორიულ - ეთნოგრაფიულ - ფოლკლორული ნარკვევი. ავტორს, ამჯერადაც, კვლევის საგნად საკმაოდ საინტერესო და, ამავე დროს, ნაკლებად შესწავლილი და მეტად პრობლემური საკითხები შეურჩევია. წიგნი ეძღვნება ფხოვის ისტორიული წარსულის შესახებ არსებული მნირი წერილობითი წყაროების ანალიზს, ხევსურული ანდრეზების - დევებზე, უამიანობაზე, ქაჯებსა და ქაჯავეთზე არსებული გადმოცემების ავტორისეულ ინტერპრეტაციებს.

6. არაბული აღნიშნულ თქმულებებს კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს უკავშირებს. მაგალითად: დევები მისთვის სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებლებია ფხოვის ტერიტორიაზე, ქაჯები და ქაჯავეთი კი ჩრდილოეთ კავკასიის რომელიდაც ტომსა თუ ტომთა კავშირში ასოცირდებიან, ხოლო გუდანის ჯვარის ქაჯავეთს ლაშქრობა, გახუა მეგრელაურის თანხლებით, ივანე ამირსპასალარის დიდოეთში ლაშქრობასთან, უამთა და უამიანობას კი ბარიდან დროდადრო მთაში ეპიდემიების გავრცელებას უკავშირებს. ეს დაკვირვება საკმაოდ საინტერესო ჩანს. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც იყო გამოთქმული დაახლოებით მსგავსი აზრი, რომლის მიხედვითაც ფშავ - ხევსურეთში დევ - კერპებზე არსებული თქმულებები ფხოვში ქრისტიანობის გავრცელებას დაუკავშირეს, რასაც სამეცნიერო წრეებში მხარდაჭრა არ მოჰყოლია..

ნაშრომი არ არის მხატვრული ნაწარმოები, ის უფრო კვლევის სფეროს განეკუთვნება, თუმცა მეცნიერულ ნაშრომადაც ვერ ჩაითვლება. ამის პრეტენზია თვით ავტორსაც არ აქვს, ამიტომაც უწოდა მან თავის წიგნს „ვარაუდები, ფიქრები“. უნდა შევნიშნოთ, რომ 6. არაბული არ ცდილობს მკითხველს თავს მოახვიოს თავისი დასკვნები და მოსაზრებები. წიგნის კითხვისას აშკარად ჩანს,

რომ ავტორი წინასწარ დასახულ გეგმას მიუყვება და დასკვნებსაც შესაბამისს აკეთებს.

ზოგადად, თუ როგორ გაართვა ავტორმა თავი და-სახულ მიზანს, მკითხველი ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ სათანადო შეფასებას თვითონ გააკეთებს.

*გიორგი გოგოჭური*

## ნინათქმა

მოხდა ისე, რომ ქართულ ნარატიულ წყაროებში საქართველოს სამეფოს ისტორიული პროვინცია ფხოვის მიმართ ყურადღება მემატიანებს მაინც და მაინც არ გაუმახვილებიათ. მხედველობაში ჩვენ ქართული ისტორიული თხზულებები გვაქვს. ამის ობიექტური აუცილებლობა, ცხადია, ხშირად არ იქნებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფხოვს რაიმე განსაკუთრებული როლი ქვეყნის ცხოვრების რომელიმე ეტაპზე არ უთამაშია და, ამდენად, ყურადღებას არ იქცევდა. მის გამო და მის მიმართ გაჩენილი პრობლემები ცენტრალური ხელისუფლებისთვის ყოველთვის ლოკალურ ხასიათს ატარებდა.

ერთ მხრივ, ეს გასაგებიცაა: ფხოვი თავისი მწირი ეკონომიკური პოტენციალის და, საერთოდ, აქტიური პოლიტიკური პოზიციის არქონის გამო, ცენტრალურ ხელისუფლებას, თუ არა უკიდურესი გაჭირვების უამს, თითქმის არასოდეს ახსენდებოდა. ამ „უყურადღებობას“, თავის მხრივ, არც ფხოველები განიცდიდნენ მაინც და მაინც და ცხოვრობდნენ ასე, სრული იზოლაციის პირობებში, მიღმა ყოველგვარი პოლიტიკური ვნებებისა, კარჩაკეტილი, პრიმიტიული მეურნეობით, უძველესი ადათ-წესებითა და რელიგიური წარმოდგენებით. თუმცადა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ცენტრალური ხელისუფლება ფხოვის სტრატეგიულ მდებარეობას ყოველთვის, სადღაც XX საუკუნის შუა წლებამდე მაინც, სათანადოდ აფასებდა და სწორედ ამის გამო იყო იგი გამოცხადებული სამეფო დომენად.

შეორე მხრივ, მთლად გასაგებიც არაა. ერთ მომენტზე შევჩერდებით: იმ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულის მიმართ, რომლის დაშოშმინებასაც წინა აზიის ერთ-ერთმა უძლიერესმა სახელმწიფომ და სარდალმა სამი თვე მოანდომა, ალბათ ღირდა ცოტა მეტი ყურადღების გამოჩენა. თუმცადა, შეიძლება ესეც ჩვენი სურვილი უფროა, ვიდრე ლეგიტიმური პრეტენზია სამეფო კარის მემატიანეთა მიმართ; თავიანთი საქმე მათ კარგად იცოდნენ... ზემოაღ-

ნიშნული ფაქტი, ფხოველთა განდგომა, ნახსენებიც კი არაა თამარ მეფის მეორე ისტორიაში (ჭალაშვილისეული ნუსხა). საკითხით დაინტერესებული პირისთვის თვალშისაცემია, რომ მაინც და მაინც არც მანამდებლი და არც შემდეგდრო-ინდებლი მეისტორიენი ახსენებდნენ ფხოვს; ისევ გაკვრით, აქა-იქ, მხოლოდ აუცილებლობის უამს, სულ რამდენჯერმე: პირველად – ლეონტი მროველი, 325 - იანი წლების ამბების მოთხოვნისას, ბოლოს კი ვახუშტი ბატონიშვილი - 1561 წლის ვითარებათა ასახვისას.

ერთი რამ ცხადია: ფხოვი (ფშავ - ხევსურეთი) იყო და დარჩა ერთგვარ სამეფო დომენად, რომელზეც სამეფო კარი ზეგავლენის მოხდენას ხან არ ცდილობდა (გარკვეული მოტივით), ხანაც ვერ ახერხებდა. ფორმალური ბეგარა ბევრს არაფერს ცვლიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სოცი-ალური დიფერენციაცია, ალბათ, გარდაუვალი იქნებოდა, რასაც, ძირითადად, ბუნებრივი რესურსები განაპირობებდა, მაგრამ იქ ამის ნასახიც არასოდეს გაჩენილა; პირი-ქით - მთის „კონსტიტუციაში“ გარკვევით „ენერა“, რომ მთიელთა პატარა ონავრობისთვის ქვეყანა არ უნდა შეყ-რილიყო, მაგრამ თუ ეს „ონავრობა“ შორს და ღრმად წა-ვიდოდა, ცხადია, არ აპატიებდნენ (არც აპატიეს). მათ მა-მულის წინაშე ერთი დიდი დამსახურება ჰქონდათ - ისტო-რიის მანძილზე მათი მხრიდან ერთი გოჯი მიწაც კი არ მოჰკოლებია საქართველოს. ამას კი ქვეყნის მაშინდელი ხელისუფალნი სათანადოდ აფასებდნენ (განსხვავებით აწინდელისა). ამდენად მთიელები, თუ შეიძლება, ასე ით-ქვას - აზნაურის მდგომარეობაში ცხოვრობდნენ.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, განსაკუთრებული ყურადღებით და საგანგებოდ არავინ ჩაღრმავებია ფხოველ-თა გარშემო დატრიალებულ ამბებს, ამის მიზეზი, ძირითა-დად, ისტორიული წყაროების სიმცირე იყო, მაგრამ, რაც შემორჩა, მისი „ახლოით განჩხრეკაც“ თანამედროვე საზო-გადოებისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

პირადად ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპ-ყრო და საკითხისადმი ინტერესიც სწორედ ამან განაპირობა: სადაც კი ფხოველები ხსენდებიან „ქართლის ცხოვრებაში“,

თითქმის ყველგან სამეფო კარის მოწინააღმდეგებად, უარყოფით კონტექსტში და უარყოფითი ეპითეტებით შემკულნი. ასეთ ვითარებაში, სამეფო კარისა და, ცხადია, მემატიანეთა განწყობასაც, რომელნიც ძირითადად სასულიერო პირები იყვნენ, განსხვავებული სარწმუნოებრივი მრნამსიც განაპირობებდა. რჩება ისეთი შთაბეჭდილებაც, თითქმის ეს მთიელები ერთიანი საქართველოს საზღვრებში რაღაცნაირ დისკომფორტს ქმნიან თუ განიცდიან და ხელისუფლებაც მუდმივად და დაუზოგავად აშენილებს მათ ზურგზე მათრახს. ასეთი ბედი დაპყვა მათ შთამომავლებსაც (ფშავ-ხევსურებს), რომელთა მიმართ იმდენი სითბო და დაფასება (ცხადია – არამატერიალური) არავის გამოუხატავს, რამდენიც ერეკლე მეფეს (თუმცა ამასაც თავისი ახსნა შეიძლება მოეძებოს...).

ერთხანს თვით ერეკლე მეორეს და მამამისსაც გადასდგომიან ფშავ-ხევსურები, მაგრამ მეფებს მდგომარეობა თავშივე განუმუხტავთ; მათ, ზეპირი გადმოცემების თანახმად, ამ მხარეში უმოგზაურიათ, სალოცავები ადგილობრივი წესით მოულოცავთ, მსგავსი დიპლომატიური მანევრებით იქაური მოსახლეობა მოუხიბლავთ და საბოლოოდ „დაძმობილებულან“. მეფე ერეკლე გამჭრიახი სარდალი იყო და მთიელთა მეომრული შემართების ფასსა და საჭიროებას კარგად აცნობიერებდა. ისიც აქვე უნდა ითქვას, რომ არც ცდებოდა. ფხოველთა სისხლისა და მახვილის მექანიზრენი მის მხედრობაში ყოველთვის ღირსეულად გამოიყურებოდნენ და საქართველოს სამეფოს უკანასკნელ დიდ ომშიც სახიერად დაადასტურეს ეს!..

ცენტრალურ ხელისუფლებასთან მუდამ ოპოზიციურად განწყობილი ფხოველების ხვედრი, მათი ისედაც რთული ცხოვრებისეული ყოველდღიურობის ფონზე, საკმაოდ მძიმე იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ სამეფო კარისაგან მათ ძალადობისა და შევიწროების მეტი არაფერი ახსოვთ.

კითხვა კი მრავალგვარი დაისმის: კი, მაგრამ სამეფო ხელისუფლება რაღაზე შემოსწყრა სამუდამოდ ფხოველებს? დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნა ეწადათ? ეს არც „ქართლის ცხოვრების“ წყაროებით დასტურდება და მიზეზთა სიმრავლის გამო, აღბათ, ვერც შესძლებდნენ.

ბეგარა-გადასახადებს არიდებდნენ თავს? თავისთვის რა ჰქონდათ, რომ სხვისთვის მიეცათ? მთის რეგიონების დაბეგვრა პოლიტიკური აქტი უფრო იყო ხოლმე, ვიდრე ფინანსურ-ეკონომიური მიზნით გატარებული ღონისძიება. არაქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარნი იყვნენ? ჰო, მაგრამ ასეთი რამდენი ჰყავდათ, არა მარტო სამეფო კარზე, არამედ თვით მონარქთა ოჯახებშიც კი! თუ საუკუნეთა მანძილზე ხასიათი და ბუნება ჩამოყალიბდათ ისეთი, რომ ქედის მოდრეკას ვერ ჰგუობდნენ? როგორ, 320 -იანი წლებიდან 1950-იან წლებამდე, არც ერთ მხარეს და არც მეორე მხარეს, არათერი შეიცვალა?

როგორც ჩანს, ბევრი არაფერი. ფხოველთა და მათი შთამომავლების მიმართ რუსული ხელისუფლებაც ისეთივე მყაცრი გამოდგა, როგორც - ქართული.

ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფხოვს შორის თავიდანვე ცივი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. პირველი ყოველთვის მყაცრი მზერით გაჰყურებდა არაგვის თოვლიან-ყინულიან სათავეებს, ხოლო მეორე, დროს იხელთებდა თუ არა, მაშინვე გააშიშვლებდა ხოლმე მახვილს, თითქოს ძველისძველი ვალის გასწორებას ცდილობსო.

გასწორება ასეთი არ უნდაო და!..

ცუდი დრო შეარჩიეს ფხოველებმა, ცუდი, ან კი როგორ შეპძედეს!..

სამეფო ხელისუფლებისაგან განაწყენებულმა ფხოველებმა ახლა ბაგრატიონთა ერთი შტო ამოილეს მიზანში – მუხრანბატონებს „ჩაუხეტნენ...“ მუხრანბატონებს კი ჰქონდათ თავისთვის, მაგრამ სხვისთვის მისაცემი არც იმათ აღმოაჩნდათ. თავისთავად ეს ფაქტი, რომელიც 1561 წელს მომხდარა, ისტორიკოსებისაგან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში შესწავლილი არაა (ისევ იმ ნაცნობი გულგრილობის აჩრდილი...).

და, როგორდაც ისე მოხდა, რომ მთის ფერდობზე მობანცალე ნისლივით თვალსა და ხელს შუა გაქრა ფხოვი. ფხოველები, ცხადია, არ გამქრალან, „ფერი იცვალეს“ და ორ ეთნოსად ჩამოყალიბდნენ, ბევრად არათრით განსხვავებულ, მაგრამ მაინც ორ მეზობელ და მონათესავე ეთნოსად — ფშავლებად და ხევსურებად. გაქრობის ეს

„სინდრომი“ უცხო არ იყო ქართველ ტომთათვის. შორს რომ არ წავიდეთ, აგერ იქვე არ იყო ,გაცილებით სახელ-განთქმული წანარეთი რომ გაქრა? ან კიდევ - წუქეთი? მოშორებით და სხვაგანაც მომხდარა ასე. ჭართალში, ხა-დასა და ცხავატში კი სულაც საწინააღმდეგო პროცესი გან-ვითარდა - ამ თემთა შემჭიდროვების საფუძველზე უფრო ვრცელი პროვინცია ჩამოყალიბდა - მთიულეთი. საინტერე-სოა ისიც, თუ რა შერჩათ და რა არა მათ ერთმანეთისა, ან რა აუცილებლობა იყო ამა თუ იმ ტომის ან ტომთა საცხოვრისი მიწაწყლისთვის სახელწოდების გამოცვლა-გა-დარქმევა, რაც, ცხადია, დროში განელილი პროცესი იქ-ნებოდა და თვითმიზანს არავისთვის წარმოადგენდა. რა კანონზომიერებებთან თუ კანონზომიერებათა რღვევებ-თან იყო დაკავშირებული მსგავსი სახის ცვლილებები მა-შინ, როცა ტოპონიმიკა, თავისთავად, ერთ-ერთი ყველაზე გამძლე და მოლალადე არგუმენტია ეთნომიგრაციული პროცესების შესწავლისას. ყველასათვის ცნობილია ფშავ - ხევსურული სალოცავებისა და სოფლების ისეთი სახელ-წოდებანი, რომლებიც მეორდებიან თუშეთშიც. ის კი არა, თვით ე.წ. შიდა ტოპონიმებიც კი მეორდება (კვავლო - ხახმატში; დანო - მუცოში - უბანი; ფარსმანი - შატილში - ფერდობი და ა.შ.).

ასე იყო თუ ისე, ფხოვი მე-20 საუკუნის ისტორიკოსებ-საც, შეიძლება ითქვას, ყურადღების მიღმა დარჩათ. მართა-ლია, შეეხნენ (ივ. ჯავახიშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. ბერძენიშვი-ლი, ს. მაკალათია და ა.შ.), მაგრამ მონოგრაფიული კვლევა ცნობილ მკვლევართაგან, ეტყობა, ველარავინ მოასწრო. სი-ნანული ამის გამო არაერთ ქართველ ისტორიკოსს აქვს გამოთქმული.

სხვა თუ არაფერი, იქნებ „ქართლის ცხოვრების“ ფურ-ცლებზე გაბნეულ ცნობებს მაინც მოვუყაროთ თავი, რათა, სხვამ თუ არავინ, ფხოველთა შთამომავლებმა მაინც გადაავ-ლონ წინაპართა აჩრდილებს ხანდახან ფიქრიანი მზერა, თო-რემ, თუ ასე გაგრძელდა, ხვალ ფშავ-ხევსურეთსაც დავინ-ყების მორევი ჩაითრევს. სამწუხაროდ და სხვათა შორის, ფშავ-ხევსურეთის და, ზოგადად, საქართველოს მთის გა-დარჩენისა და შენარჩუნებისათვის ჯერჯერობით არც -

ერთ თანამედროვე ხელისუფლებას არ მიუღია გადამჭრელი ზომები.

ჰოდა, თუკი მთა ვერა, ეგებ მთის ისტორია მაინც შევუნახოთ შთამომავლობას, რამეთუ გუშინდელი დღე დღევანდელის ბალავერია, დღევანდელი – ხვალინდელისა. უამისოდ ქვეყნის მომავალი ვერ აშენდება; დღეს ფშავ-ხევსურეთის მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მაგრამ, როცა „უამი მიდგების, მოდგების“, როცა „კარ გაიღების“ (ოღონდ არა „თავადა“), მაშინ წარსულიც ისე დასჭირდება შთამომავლობას, როგორც... მომავალი. არსობის პური სწორედ წარსულში იზილება.

და იყოს ეს წარკვევიც, როგორც ერთი ხმიადი...

\* \* \*

როდესაც ფხოვზე სიტყვის სათქმელად დავეღირებით, ჯერ უნდა შევეხოთ მისი, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებსა და თვით ამ სახელწოდების ეტიმოლოგიურ შინაარსს. ამ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით პროფ. ალ. ჭინჭარაულის ფუნდამენტური წარმომის „ხევსურული ლექსიკონის“ წინასიტყვაობას. ტრადიცია, განსაკუთრებით კი ვახუშტი ბატონიშვილი, ფხოვში ყოველთვის გულისხმობს თანამედროვე ფშავ-ხევსურეთს, ანუ ეთნოგრაფიული კუთხეების – ფშავისა და ხევსურეთის – საზღვრებში შემავალ ტერიტორიებს; ოღონდ აქ ერთი რამ უნდა დავაკონკრეტოთ: ხევსურეთის გარშემონერილობა, ისტორიის მანძილზე, სამხრეთის მიმართულებით არ შეცვლილა, ფშავმა კი სამხრეთით გაიწია და ბოლო საუკუნეებში არაგვის ხეობაში თვალივამდის უწვდინა. ცხადია, ამ ეთნონიმის ქვეშ ფშავლებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიას ვგულისხმობთ. ეს, ვფიქრობთ, გამოიჩინა იმან, რომ ისტორიული ფშავიდან (უკანაფშავი, ანუ ფშავის არაგვის ხეობა) მოხდა ჭარბი მოსახლეობის ინტენსიური განპნევა უფრო დაბალ ზოლში – მთისწინეთში. ეს პროცესი ქართულ ისტორიოგრაფიაში რ. თოფჩიშვილის მიერ ამომწურავადაა შესწავლილი. ფშავ-ხევსურები ერნო-თიანეთშიც, მოკიდებული შაპ-აბასის იქ ლაშქრობიდან, მრავლად სახლობენ; 30 000 ტყვე (და 40 000 სული პირუტყვი!) წაუყვანია მარტო იქი-

დან შაპს. მერე და მერე ერწო-თიანეთში ინტენსიურად სახლდებიან ფშაველ-ხევსურნი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ერწო-თიანეთი ოდესლაც ფხოვში შედიოდა. ფხოვის უკიდურესი სამხრეთი საზღვარი მოგვიანებით, ალბათ, ჩარგალს ქვემოთ, კართანამდის თუ დაეშვებოდა.

ასე რომ, ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სად იცხოვრებენ ამა თუ იმ ეთნოსის წარმომადგენლები. ფშავ-ხევსურთათვის, მაგალითისთვის, ფშაველი მაინც ფშაველია, რომელ ქვეყანაში ან კონტინენტზეც არ უნდა ცხოვრობდეს და დაიბადოს იგი. საქართველოს სხვა კუთხეებში კი, მოგეხსენებათ, ეს ყოველთვის ასე არაა. აქ, ამ შემთხვევაში, ფშავ-ხევსურთათვის დღესაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა განსახლების არეალს და მის გეოგრაფიულ მდებარეობას, არამედ კონკრეტული პიროვნების, გვარის და ა.შ. გენეტიკურ ხაზს. ე.ი. ეთნიკურ კუთვნილებას განსაზღვრავს არა, ასე ვთქვათ, გარეგანი, არამედ - შინაგანი, გენური ფაქტორი. ეს „ანთროპოლოგიური წიაღსვლა“ იმისთვის გახდა საჭირო, რომ ფხოვი დღევანდელი ფშავის „ხარჯზე“ ვინძეს კაი მოზრდილი ტერიტორია არ ეგონოს.

ცნობილი მკვლევარი ალექსი ჭინჭარაული ხსენებულ სტატიაში ეტიმოლოგიურ ახსნას უძებნის როგორც „ქისტს“ (ქრისტი), ისე „ფხოვს“ (ფხია = ხევსური) და, სხვათა შორის, იმასაც აღნიშნავს, რომ ქართული ისტორიული წყაროები ფხოვის შემადგენლობაში მოხევებსა და თუშებსაც გულისხმობდნენ. სამწუხაროდ, მეცნიერი ამ ცნობის საფუძველს აღარ აკონკრეტებს. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარი აკ. შანიძე აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებს ფხოურ კილოს უწოდებდა. დიდი მკვლევარის ეს მოსაზრება თუ მეცნიერული ინტუიცია, შესაძლოა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასაღებსაც კი იძლეოდეს... ჩვენი მხრით, აქ, გავკადნიერდებით და შევნიშნავთ, რომ ამ ფხოურმა კილომ შემოინახა დღემდე ცოცხლად ისეთი უძველესი ბგერები, როგორიცაა ჭ, ღ, პ... დიდ მეცნიერს, ალბათ, ეს გარემოებაც ექნებოდა მხედველობაში...

რაც შეეხება ხევს, დიდი ალბათობით, იგი არ უნდა ყოფილიყო ფხოვის შემადგენლობაში, რადგან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოხევეთ მოიხსენიებს ფხოველთა მოწინააღმდეგებე ლაშქრის კოალიციაში. ასეთ წინააღმდეგობრივ, თუ მცდარ ცნობას ამ თხზულების განსწავლული ავტორი არ დაუშვებდა.

იმ, მინიმუმ, ცამეტი საუკუნის განმავლობაში, რაც ფხოვი არსებობდა და იხსენიებოდა (ყოველ შემთხვევაში - ამ სახელწოდებით), ჩვენს მატიანეებში ხევი - ხევად იყო სახელდებული (თუ არ ჩავთვლით ადრეფეოდალური ხანის წანარეთს), ხოლო თუშეთი - თუშეთად. ხევს პირველად ჟამთააღმნერელი ახსენებს ხუტლუ ბუღას შემოსევების დროს; არ არის გამორიცხული, რომ მანამდე იგი წანარეთადაც იწოდებოდა, თუნდაც, როგორც მისი შემადგენელი წანილი. ყოველ შემთხვევაში, V საუკუნეში, როცა ვახტანგ გორგასალმა დარიალში ილაშქრა და იქ ჩადგნა „გოდოლნი მაღალნი“, ჯუანშერი გვეუბნება: „და-ადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნიო“. ეტყობა, ამ დროს ხევის მოსახლეობა ჯერ კიდევ მოხევებად არ იწოდებოდა (არც წანარებად), თორემ სხვა ხალხზე აქ ლაპარაკი არ უნდა იყოს. წანარეთი, ალბათ, მოიცავდა თრუსოსა და ჯარიახის ხეობებსაც და საერთოდ - საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას. იყო თუ არა შესაძლებელი, რომ მთის ერთი პროვინცია გამხდარიყო მედროშე არაბული ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლისა? ეს დამაჯერებელი მაშინ უფრო იქნება, თუ კი მივიღებთ, რომ წანარეთი კახეთის გარკვეულ ტერიტორიებსაც მოიცავდა. არადა საისტორიო ტრადიცია ამ მისიას სწორედ წანარებს მიაწერს. აკად. 6. მარი წანარებში ხევსურებსაც გულისხმობდა, მაგრამ ეს მოსაზრება სინამდვილისაგან შორს უნდა იყოს თუნდაც იმის გამო, რომ ეთნონიმი „ხევსური“ მაშინ, წანართა ზეობისას, ჯერ საისტორიო მიმოქცევაში არ იყო. სხვა საქმეა - ფხოვი. ისე კი, გარკვეულ ეჭვს ბადებს ტოპონიმი „გომენარიც“, რომელიც ფშავში და თუშეთში დასტურდება. ეს „წარი“ ყურს „წანარის“ შეკვეცილ ფორმად ხვდება. ერთ მხრივ კი ისიც საინტერესოა, რომ VII ს. ანონიმი სომეხი გეოგრაფი კავკასიელ ტომებს რომ

ჩამოთვლის (რაჭველები, დვალები, ოსები, წანარები, თუშები, ხუნძები, ქისტები, ცხავატები, გუდამაყრელები, ძურძუკები, დიდოები, ლეკები), არ ახსეხებს მხოლოდ ფხოველებს. მართლა წანარეთში ხომ არ შედიოდა ფხოვი? ეჭვის საფუძველი ნამდვილად არსებობს და ამაში წარმოუდგენელიც არაფერია, მაგრამ გადაჭრით არც იმის თქმა შეიძლება, რომ ფხოვის ხსენებულ წყაროში მოუხსენიებლობა ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლეოდეს.

უძველეს თხზულებებში „ქართლის ცხოვრებისა“, ფშავი, ხევი და ხევსურეთი არ იხსენიება. ყოველ შემთხვევაში ამგვარი სახელდებით. მემატიანენი ამ კუთხეებს, ზოგადად, „მთეულბ“-ად, „მთეულეთად“ (კახეთისა), ან „მთეულეთად“ აფიქსირებდნენ, რაც შეეხება თუშეთს, მთიულეთს და გუდამაყარს, ისინი მაშინაც ამგვარივე სახელწოდებით მოიხსენიებოდნენ. ჯუანშერი კი, ისევე, როგორც არაერთი სხვა მემატიანე, იყენებს მთიელის აღმნიშვნელ კრებით სახელს - „მთეულნი“. ესეც ცალკე პრობლემაა ჩვენი საისტორიო (არამარტო) მწერლობისა.

ადრეული პერიოდის წყაროებში, როდესაც დამწერლობაში ასომთავრული ანბანი გამოიყენებოდა, ტექსტების გადაწერა-გამრავლების მომენტში, შესაძლებელია, რომ მრგვლოვანი ანბანის ი და ე ასოების მოხაზულობის მსგავსების გამო, კალიგრაფებს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ლაფსუსი მოსვლოდათ. მაშინ, მითუმეტეს დაზიანებულ ხელნაწერში, ამ ორი ასოს მკაფიო გარჩევა მართლაც გაჭირდებოდა, მით უფრო, როცა სიტყვის შინაარსი, ამ შეცდომის კვალიბაზე, რადიკალურად, თვალში საცემად არ შეიცვლებოდა. „მთ - ე - ული“ - „მთ - ი - ულის“ გრაფიკულად გადმოცემისას ეს მომენტი საგულისხმო უნდა იყოს. ამგვარი ვარაუდი პირად საუბარში გამოთქვა ენათმეცნიერმა ავთანდილ არაბულმა.

თავად თუშეთი ფხოვისაგან განცალკევებით სახელდება ჯერ კიდევ „ქართლის მოქცევაში“, როცა იქ თავი ლტოლვილმა ფხოველებმა შეაფარეს. ასე რომ, „იგი სხვაა, იგი სხვაა“... თავად თუშებს კი, სხვათა შორის, ხევსურული წარმოშობისად თვლიან თავიანთ ნაშრომებში ვ. ელანიძე, ვ. ლაგაზიძე, ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური... თ.

ოჩიაურს თუშეთში მრავლად გაპნეული ხევსურული „წარმოშობის“ სალოცავები იმის დასტურად მიაჩნია, რომ ოდესალაც აქ ხევსურეთიდან მოსახლეობა მართლაც მასიურად გადასახლდა. ა. შავხელიშვილი ნაშრომში „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“ იმასაც აღნიშნავს, რომ თუშები ამ კუთხის აბორიგენ მოსახლეობად მიაჩნია ვ. ბაგრატიონს, თ. ბაგრატიონს და ი. ჯავახიშვილს. ცხადია, ეს ასე უნდა ყოფილიყო და იქნებოდა კიდეც, რადგან ფხოველებს, მემატიანეს ცნობით, იქ, თუშეთში, არა დაუსახლებელი, არამედ დასახლებული ტერიტორია დახვდათ – თუშეთს გადავიდნენ, ე. ი. იქ, იმ არემარეზე, თუშები უკვე ცხოვრობდნენ და თავად არემარესაც თავისი სახელი ერქვა. ეგაა, რომ მერმინდელი საუკუნეების განმავლობაში მოხდა იქ გადასულ ფხოველთა სრული ასიმილაცია ადგილობრივ თუშებთან.

უნდა ვივარაუდოთ, რომ IV საუკუნეში თუშებმა უსამართლოდ დაწიოკებული ხალხი სტუმართმოყვრულად მიიღეს. ტრადიცია მათში უპირატესად აწინდელი ხევსურეთის თემებიდან აყრილ ხალხს გულისხმობს. ხახმატიდან და ლიქოკიდან, აგერ, სამოცი – ოთხმოცი(!) წლის წინათაც კი დადიოდნენ თუშეთში დიდ რელიგიურ დღესასწაულებში საჭირო წესრიგის დასაყენებლად; მეტიც, ლვოსმსახურება მხოლოდ მათი გადასვლის შემდეგ იძენდა სათანადო ლეგიტიმაციას, რაც გამოიხატებოდა „ჯვარიონთა“ რელიგიური ატრიბუტიკის თანხლებით მსვლელობაში სხვადასხვა სოფლებში და იქ აღსრულებული საკრალური რიტუალებით.

\* \* \*

ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, ჩვენთვისაც მისაღებია და მიგვაჩნია, რომ იმ ქარტეხილებს, რომლებიც საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს დაატყდა თავს, უკვალოდ არ უნდა ჩაევლო. ეთნოსის

მეხსიერებაში, თუკი ეს მეხსიერება გამძლეა, მისი თავგადასავალიდან განსაკუთრებულად გამორჩეული ეპიზოდები დროთა განმავლობაში თავისებურად ტრანსფორმირდება. მას ხალხის ხსოვნა აგროვებს, აკონიწებს, კრავს და დებს. მისი „ნაურით“ კი შემდეგ შთამომავლობის ფანტაზია იკვებება. მართალია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანთა დიდი თუ მცირე ჯგუფის ეს ძვირფასი „კაპიტალი“ საკმაო ცვლილებას განიცდის, მაგრამ მისი „ათვისების“ ცდუნებაც ასევე დიდია. ის, რაც ჩვენს შემთხვევაში ფხოველთა შთამომავლობის მეხსიერებას დაეკისრა, სხვაგან კალამსა და ეტრატს ევალებოდა. ამიტომაც ათეულობით თაობის გონებაში გამოტარებული ეს ამბები მითიური საბურველით შეიმოსა და ზოგისთვის დამაჯერებლობა დაკარგა. თუმცა, აგერ, ჩვენი დროის მთხოობელებსაც კი, ოდინდელი ანდრეზების რეალურობაში ეჭვიც კი არ ეპარებოდათ. მათ მონათხოობში რეალობა და ფანტაზია ისეა ერთმანეთში ჩაწერილი, რომ გათავავადება ძნელდება.

ფხოველთა აპსოლუტურმა უმრავლესობაშ ალპათ წერა—კითხვა არც იცოდა, მაგრამ ჰქონდათ დაუოკებელი წყურვილი წინაპართა საქმეების შესახებ ცნობის, ინფორმაციის, როგორც მიღების, ისე გადაცემისა. ამას ხან პოეტური ფორმით სჩადიოდნენ, ხანაც – პროზაულად, ოლონდ, აუცილებლად, ზეპირსიტყვიერების გზებითა და საშუალებებით. ამიტომაც ჩვენამდე მოღწეულ ანდრეზებში კონკრეტიკა თითქმის დაკარგულია და მისი მოძებნა მითოლოგიურ სიმბოლოთა ხლართებში გვიწევს, რაც არცთუ ისე იოლი საკეთებელია, მე ვიტყოდი – ურთულესი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ კონკრეტული და ცალსახადასკვნის გაკეთება, არგუმენტირებული მტკიცება რაიმესი, თითქმის შეუძლებელია, ჩვენთვის, ყოველშემთხვევაში. ჩვენი სურვილია ფხოველთა ნაკვალევის ალმოჩენა ანდრეზულ ლიტერატურაში მოცემული სამი საზოგადოების ყოფითი დეტალების შესწავლისა, შედარებისა და ანალიზის საშუალებით. ყოველ შემთხვევაში, „ციხე-სიმაგრის“ მისადგომებს მაინც მოვსინჯავთ, რადგან, რამდენა-

დაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერჯერობით ვერც ამ საქმის-  
თვის მოიცალა ვინმემ (ოჰ, ეს დალოცვილი მოცალეობა!..).

ანდრეზებში, უმთავრესად - ფშავ-ხევსურულში, მარ-  
თლაც სამი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საზოგადოებაა გა-  
მორჩეული: უამთა, დევ-კერპთა და ქაჯთა. სამივეს უნდა  
შევეხოთ, შევატრიალ-შემოვატრიალოთ და შევეცადოთ  
სამანის ჩაგდებას რეალურსა და ირეალურს შორის, ანუ  
ხომ არ აირეკლავს ეს ანდრეზები ფხოველთა ცხოვრების  
რომელიღაც ეტაპს? ფხოველთა იმიტომ, რომ სწორედ მა-  
თი შთამომავლები ჰყვებიან ყველაზე სახიერად, ღრმად  
და შთამბეჭდავად წინაპართა ნათქვამისა და ნაქნარის  
შესახებ.

## ვეოვი „ქართლის ცხოვრებაში“

მემატიანენი, რომელნიც ძველი საქართველოს ისტორიას წერდნენ, თავიანთ ნაშრომებში ფხოვის ლოკალიზაციას არ ახდენდნენ. ისინი ისტორიის მდინარებას მიჰყვებოდნენ, ამბებსა და ფაქტებს აღნუსხავდნენ, აანალიზებდნენ და იკვლევდნენ. ამა თუ იმ მოვლენის თხრობისას საკითხი გეოგრაფიულ ასპექტში, როგორც ჩანს, ნაკლებად აინტერესებდათ. ამით აიხსნება, რომ საქართველოს ისტორიული კუთხეების მყარად ჩამოყალიბებული საზღვრები ძველ თხზულებებში მოცემული არ არის და ეს, ალბათ, შეუძლებელიც იყო ჯერ მარტო იმიტომ, რომ მოსახლეობა ზოგიერთ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით ხშირად მოძრაობდა. ამა თუ იმ კუთხის პირობით საზღვრებსაც აქ განსახლებული ეთნოსისათვის ხელმისაწვდომი სამეურნეო ტერიტორიები განსაზღვრავდა. ამიტომაც საქართველოში (და სხვაგანაც) ადმინისტრაციული საზღვრების როლს ხშირად ბუნებრივი ზღლუდები თამაშობდა – წყალგამყოფი მთები, ქედები და თავად წყლები, მდინარეები. ასე რომ, კონკრეტული მდინარის აუზში თუ ხეობაში (მასშტაბს გააჩინა) განსახლებული ხალხი თემს წარმოადგენდა, ხოლო თემთა ერთობლიობა – ტომს, ე.წ. კუთხეს, რომელიც თავისი ცხოვრების წესითა და სხვა ყოფითი პარამეტრებით, მეზობლებისაგან გამორჩეული, განსხვავებული უნდა ყოფილიყო, (ზოგჯერ – რადიკალურადაც). თუ ამ გამორჩეულობას რელიგიაც განსაზღვრავდა, მაშინ ის მეზობლები, (ძალიან ხშირად) სხვადასხვა ეროვნულ ერთეულებად ყალიბდებოდნენ.

საქართველოში სახელმწიფო და ადმინისტრაციული საზღვრების აღწერასა და ფიქსაციას უდიდესი ღვანლი დასდო XVIII ს. პირველი ნახევრის მოღვაწემ, ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა. მისი დამოწმება ჩვენ ხშირად დაგვჭირდება ფხოვთან და მის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი ავტორები ფხოვის ხსენებისას არსად არ განმარტავენ (და, გასაგებ მიზეზთა გამო, ვერც განმარტავდნენ), რომ ფხოვი იგივე ფშავ-ხევსურეთია და, შესაბამისად, ამ სახელწოდებით მათთან იგი არსად არ ხსენდება. ფხოვისა და ფშავ-ხევსურეთის იდენტიფიკაციას მოგვიანებით ვახუშტი ბატონიშვილი ახ-დენს, თანაც არაერთგზის.

ახლა ძნელია იმის თქმა, ამას ის რაიმე ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით აკეთებდა თუ ტრადიცია, ხალხის მეხსიერება XVIII საუკუნეშიც კი ახლანდელ ფშავ-ხევსურეთს კვლავ ფხოვად აღიქვამდა. შესაძლოა, ერთიც იყო და მეორეც; ყოველ შემთხვევაში, მკვლევარს ამ ორი ცნების იდენტურობაში ეჭვი არ ეპარებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, გამეორებას მოერიდებოდა.

ისე კი, ვახუშტის თხზულება რომც არ არსებობდეს, ფხოვის ტერიტორიული ლოკალიზაცია შეუძლებელი არ იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ფხოვის განდგომის შესახებ რომ მოგვითხრობს, იქ ჩამოთვლილია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ის კუთხე, რომელიც გარს აკრავს ფხოვს: „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწო-თიანელთა“ (ქც, ტ II, 111). ამათ მიემატებოდნენ დურძუკნიც, რომელნიც „მოვიდეს ძლუნითა“ და „მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერდსაო“ (იქვე). აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებიდან აქ არ ჩანან მხოლოდ თუშები და გუდამაყრელები. წრე შეკრულია და რაც დარჩა, ფხოვიც ეგ უნდა იყოს.

ისტორიული წყაროები კი ფხოვის საზღვრების მკაფიო ლოკალიზაციის საშუალებას მაინც არ იძლევა. რელიგიურ, არქიტექტურულ, ანდრეზულ და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარულდოთ, რომ (ადგილობრივი ტოპონიმიკით თუ ვიხელმძღვანელებთ), არხოტის, მთასიქითის, მიღმახევის, ღილლოსა და ხამხის ტერიტორიები, მიუხედავად იქ მცხოვრებთა ეთნიკური ვინაობისა, ფხოვში შედიოდა. ამ შემთხვევაში უფრო გასაგები ხდება, თუ რაში დასჭირდა ივანე მხარგრძელს იმხელა კოალიციის შექმნა და სამთვიანი ლაშქრობა ფხოვში. ან-

დღეზული ქაჯავეთური და მხარგრძელის ფხოვური ლაშ-ქრობები, ერთიან კონტექსტში, ერთ სრულიად გასაგებ მიზანს პასუხობენ, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ასე რომ, ფხოვის საზღვრები, გარკვეულ დისტანციაზე, აღბათ, მდ. ასას ხეობაში უფრო ჩრდილოეთით ეშვებოდა. ჩანს, ასეთი წარსულის ანარეკლია ისიც, რომ ღილლოს ხეობაში ქრისტიანული სალოცავებია შემორჩენილი. მდ. ასას ხეობაში, მთიან ინგუშეთში დარჩენილი აშკარა ქრისტიანული კვალი (ტყობა ერდი, ალბი ერდი) მეტზე თუ არაფერზე, ოდინდელ ერთობაზე მაინც უნდა მეტყველებდეს. ხოლო ფშავები, მთავარ სალოცავები - ლაშარში - ქისტების საჯარეა. შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ისიც, რომ ამლის (არხოტი, რკენა), ლიქოკის (კარატე), ხახმატი-სა და ანატორის (ხევსურეთი) ჯვრები „რჯულიან-ურჯულოთა“ სალოცავებად იყო გამოცხადებული და იქ ჩეჩენეთ-ინგუშეთიდან გასული საუკუნის შუა ხანებამდე მოდიოდნენ სალოცავად. პირიქით ხევსურეთში (მუცო) სასაფლაოც კი საერთო ჰქონდათ ინგუშებსა და ხევსურებს. ყოველივე ამას-თან დაკავშირებით ისტორიკოსმა გიორგი გოგოჭურმა პირად საუბარში გამოთქვა ვარაუდი, რომ ფშავ-ხევსურეთში არსებულ „რჯულიან-ურჯულოთა“ სალოცავების მოლოცვა ვაინახების მიერ, ანარეკლი უნდა იყოს მოდილოეთ კავკასიის ისლამიზაციის პროცესისა, როცა თავი-ანთი ძველი რელიგიური რიტუალების აღსრულების საშუალება ადგილზე აღარ ჰქონდათ.

თამარის სამეფო ლაშქარში თუშები და გუდამაყრელები არ ხსენდებიანო, ითქვა. ეს კუთხეები იმ დროს, ანუ XIII ს. დასაწყისის ამბებში არ ჩანან, ანუ, მეორენაირად, მხოლოდ ესენი არ ჩანან. სამაგიეროდ, ჩანან ლეონტი მროველის თხზულებაში „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. თითქოს ერთი ისტორიკოსი მეორეს ავსებდეს, ან - მეორე პირველს. მაშასადამე, ეს ავტორი უკვე იცნობს ეთნონიმებს - თუში (ანუ თუშეთი) და გუდამაყრელი (ანუ გუდამაყარი).

უცნაურია ის გარემოება, რომ თამარის პირველი ისტორიკოსი, ფხოვის ამბებთან დაკავშირებით, რეგიონის კუთხეებიდან მხოლოდ გუდამაყარს არ ახსენებს. თუშეთთან მიმართებაში ცოტა სხვაგვარადაა საქმე: ჯერ ერთი - სახელ-

მნიუფოს ცენტრიდან გეოგრაფიულად საკმაოდ მოწყვეტილი კუთხეა, იმდენად, რომ შიშიანობის დროს ხალხი (ფხოველები) იქ თავის შესაფარებლად მიიღეტვის; როგორც ჩანს, ჯერ ვერც თუშეთში განმტკიცებულა ცენტრალური ხელისუფლება. და მეორე - ლეონტი მროველი გასაგებად გვეუბნება: „ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათიო“ - მოკლედ და კონკრეტულად. მთლად დედაწულიანადაც არ აიყრებოდნენ, მაგრამ, ეტყობა, საკმაოდ მრავლად გადავიდნენ მეზობლებთან და დარჩნენ კიდევ საბოლოოდ იქ. მოუშლელი იქნებოდა ნათესაური კავშირები და მისვლა-მოსვლაც. ხალხის მეხსიერება კი ისტორიული მოვლენების დანალექს დიდხანს და, შეძლებისდაგვარად, ფაქიზად ინახავს. მიგვაჩნია, რომ სამეფო ხელისუფლება თუშეთის მოსახლეობის დაყოლიერასაც შეეცდებოდა ფხოვზე სალაშქროდ, მაგრამ, უძველესი სანათესაო კავშირების გამო, ისინი ამას არ (ვერ) იზამდნენ.

ვითომ სულ ეს იყო და მეტი არაფერი? საეჭვოა. ფხოვი დატოვეს და გადავიდნენ თუშეთში, ე. ი. ერთი პროვინციიდან მეორეში. თუშეთი - თუშეთია, ფხოვი - ფხოვია. ის გადასვლაც იძულებითი გადასვლაა და არა აგრესიული მივარდნა. ამ ფაქტის შესახებ ისტორია მეტს არას გვეუბნება; ჩვენი ვარაუდით კი აქ საქმე უნდა გვქონდეს ანგარიშგასანევზი ძალის, ფხოვის ჯერ კიდევ დამოუკიდებელ ეთნოტერიტორიულ ერთეულთან. თუშეთში ალბათ იყო იმის საშუალება, რომ დიდი რაოდენობის ხალხი დაეკმაყოფილებინა სახნავ-სათესითა და სათიბ-საბორებით. ესაც არ იყოს, არც თუშები ჩანან სამეფო ხელისუფლების წინაშე ქედმოდრეკილი. ამ კონკრეტულ სიტუაციაში არავის არაფერს ეკითხებიან და თავს თავისუფლად და უშიშრად გრძნობენ. როდესაც ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ხალხს გულთბილად და ხელგაშლილად იღებ, ეს თავისთავად ისეთი უესტია, რომელიც ყველა ქვეყანაში ვასალის განდგომად და თავებედობად აღიქმება. ვის აძლევენ თავშესაფარს? იმას, ვინც ასევე განდგომილი თუ თავიდანვე ცალკე მდგომი იყო - ფხოვს.

რაღა მაინცდამაინც ფხოვის გაქრისტიანება „ნებავდა“ მეფე მირიანს „იძულებით მახვილითა“? ხომ არ ნიშნავს ეს იძულება იმას, რომ ფხოვი დამოუკიდებელი ერთეული იყო

და იბერიის სამეფო კარმა მისი მიერთება ახალი რელიგიის ქადაგების შირმით მოიწადინა? ნამდვილი მიზანი ამ ლაშ-ქრობისა ეს უკანასკნელი უნდა იყოს - ქრისტიანობის გავრცელება. კავკასიის ჩრდილოეთიდან მოძალებული საშიშ-როება იქ სამედო ზურგის საჭიროებას გულისხმობდა.

ყოველივე ის, რაზეც ახლა ჩვენ ვიღაპარაკეთ, თამარ მეფის ხელისუფლებას კარგად ეცოდინებოდა და შეიძლება ივანე ათაბაგის დამსჯელ ექსპედიციაში სამონაწილეოდ თუ-შები არც კი დაპატიჟეს, რადგან აქტიური მხარდაჭერის იმე-დი არ ექნებოდათ. ვარაუდის დონეზე შეიძლება დავუშვათ და დავსვათ კითხვა: ხომ არ ნიშნავს ყოველივე ბოლოთქმული ანუ ცნობები თამარის პირველი ისტორიკოსისა იმას, რომ XII საუკუნის მიწურულს ფხოვის ტერიტორია მოიცავდა გუდამაყარსაც და თუშეთსაც? რასაც არ უნდა გვეუბნებოდნენ ვახუშტი ბატონიშვილი და ბერი ეგნატაშვილი, ან სხვანი, მაინც, რა თქმა უნდა, XI-XII საუკუნეთა ავტორების ცნობები გაცილებით უფრო სარწმუნოა. ეს ავტორები კი გუდამაყარს მხოლოდ ერთხელ, IV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით ახსენებენ. იმავე ხასიათის მეორე ლაშქრობისას კი, სადაც დაწვრილებითაა ჩამოთვლილი თვით გუდამაყრის მოსაზღვრე თემები, ამ უკანასკნელის შესახებ ისტორიკოსი საეჭვოდ დუმს. მდგომარეობას ამ შემთხვევაში ვერც ის განმუხტავს, რომ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთებში დროისა და ისტორიული მოვლენებისა, არ ხსენდება აგრეთვე მთიულეთი, როგორც ასეთი.

ორიოდე სიტყვა მთიულეთის შესახებაც: აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეებიდან „ქართლის ცხოვრებაში“ მთიულეთი ყველაზე ხშირად ფიგურირებს. ამას ხელი უთუოდ შეუწყო იმანაც, რომ იგი გეოგრაფიული მდებარეობითა და საგზაო კომუნიკაციებით ერთნაირად საინტერესო იყო მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც, მაგრამ მისი ლოკალიზაციაც გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული და ამ საკითხს გასულ საუკუნეში არაერთი ქართველი ისტორიკოსი შეეხო. ჩვენ კი ახლა სხვა თემის ირგვლივ ვტრიალებთ და მსჯელობის გეზის შეცვლა, შესაბამისად, მიზანსაც აგვაცდენს. გვინდა ხაზი გავუსვათ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არც „ქართლის ცხოვრებაში“

უნდა იყოს. მაგალითად: ლ. მროველი ერთგან გვეუბნება - „მთიულნიო“ (ქც, I, 116), მეორეგან - „მთეულნიო“ (ქც, I, 125). აქ ფონეტიკურ-მორფოლოგიური სხვაობაა, თორემ შინაარსი ერთი და იგივე უნდა იყოს. ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა. „მატიანე ქართლისაში“ „ჭართალეთი“ და „მთიულეთი“ გაიგივებულია (ქც, 256). ამ მხრივ უფრო ჩამოყალიბებულია ჯუანშერი: აბიბოს ნეკრესელმა „მოაქცივნა მთეულნიო“ (ქც, I, 229). დაჩიმაც, ვახტანგ გორგასლის ძემ, ქრისტიანობის მისაღებად დაპატიჟნა „მთეულნი კახეთისანიო“ (ქც, I, 205); დარიალშიც „მთეულნი“ ჩააყენაო (ქც, I, 156). ე. ი. ჯუანშერი ხმარობს მხოლოდ ერთ ფორმას - „მთეულნი“ და, უნდა ითქვას, ამ ტერმინის ქვეშ იგი გულისხმობს არა საკუთრივ მთიულებს, არამედ - მთიელებს, კახეთის სამეფოში შემავალ მთიელებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც „მთიულეთს“ ხმარობს, „დიდი თურქობის“ ამბებს რომ გადმოგვცემს, ოლონდ ბუნდოვანია, თვითონ მთიულეთი აქვს მხედველობაში თუ ზოგადად - მთა. ალბათ ისე უნდა გავიგოთ, როგორც წერია...

აი, „მატიანე ქართლისა“ კი, აშოტ კურაპალატთან დაკავშირებით რომ საუბრობს, სხვა მხრივაც საინტერესო ცნობას გვაწვდის - „გრიგოლს უშუელეს მთიულთა და წანართაო“ (ქც, I, 252). ე. ი. მთიულები სხვანი ყოფილან, წანარები კიდევ - სხვანი, ოლონდ მეზობლები კი უნდა იყვნენ.

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორიც მთიელთა კრებითი სახელის აღმინშვნელ ტერმინს არჩევს - „ინყეს მთეულთა განდგომადო“ (ქც, II, 111).

უამთააღმწერელი კი უკვე ხშირად ხმარობს (განსაკუთრებით ხუტლუ ბუღას შემოსევებთან დაკავშირებით) „მთიულეთს“, ხოლო თვითონ ხალხს კი ეძახის „მთიულელს“ ან „მთიულთ“ და მხედველობაში ყოველთვის მთიულები და მთიულეთი ჰყავს.

ასე რომ, საკმაოდ ჩახლართული სურათია, თუმცა არც ისეთი, რომ გამოსავალი ვერ იპოვოს კაცმა.

ასეა თუ ისე, ფხოვთან დაკავშირებული ბატალიების აღწერის დროს მთიულეთი, კონკრეტულად ამ სახელწოდებით, არა ჩანს. სამაგიეროდ, იხსენიება ჭართალი, ხადა და ცხავატი. არის შემთხვევები „ქართლის ცხოვრებაში“, როცა

სამივე ეს პროვინცია მთიულეთთან ერთადაც იხსენიება. თუ მსჯელობის ძველ კვალს გავყვებით, მაშინ ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ფხოვში, გუდამაყარსა და თუშეთთან ერთად, მთიულეთიც შედიოდა. ეს კი სინამდვილისაგან საკმაოდ შორს უნდა იდგეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის კოალიციური ლაშქარი დასახული ამოცანის გადასაჭრელად საკმარისად მიიჩნიეს და ამიტომ მთიულეთ - გუდამაყარი აღარ „შეაწუხეს“. არადა - მაინც გაუგებარია, საიდან სად მოიყვანეს დვალნი და ცხრაზმელნი, ხოლო იქვე მყოფ მთიულ - გუდამაყრელთ კი გვერდი აუარეს? მითუმეტეს, რომ გზაც იქით ედოთ... საჩოთირო კითხვაა.

თუ მაინც ფხოვის შემადგენლობაში მოვიაზრებთ მთიულეთ - გუდამაყარს, მაშინ ჯერ იქ უნდა დაემყარებინა მხარგრძელს წესრიგი. მემატიანე ამ მომენტს არაფრით არ უგულვებელყოფდა . ფხოვში ლაშქრობას იგი პათოსით მოგვითხრობს, დეტალურად, მაგრამ საკმაოდ სიტყვაძვირად. სამეფო ლაშქარი ანინდელი მთიულეთის გავლით ავიდოდა „მთასა ხადისასა“. შესაძლოა, კოალიციის ჩამონათვალში მთიულეთი იმიტომ არ იხსენიება, რომ ლაშქრის დისლოკაციის ადგილად სწორედ მთიულეთის არაგვის ხეობა იყო გამოცხადებული. ამ შემთხვევაში მთიულებს „მოწოდება“ აღარ დასჭირდებოდათ, პირიქით - მასპინძლობაც კი მოეთხოვებოდათ. ხოლო: „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთაო“ (ქც, II,111), ცხადია, ამათ „მოწოდება“, მოწვევა დასჭირდებოდა. გამორიცხული არაა, ასეთი ვითარებით აიხსნას ის ამბავი, რომ ჩვენთვის საინტერესო ამბების თხრობისას, საკუთრივ მთიულეთი არაა მოხსენიებული. იგივე უნდა ითქვას გუდამაყარზეც; მით უფრო, რომ იქიდან ათაბაგის ლაშქარი საკმაოდ ხელსაყრელ პოზიციაზე გადიოდა, რათა ფხოვისთვის მოულოდნელი დარტყმები მიეყენებინა. ცხადია, არც ათაბაგი გაუშვებდა ხელიდან ამ პოზიციურ უპირატესობას ისევე, როგორც მერე და მერე არ გაუშვეს ზურაბ ერისთავმა, მეფის რუსეთისა და წითელი რუსეთის გენერლებმა...

თუშეთი კი, არ არის გამორიცხული, ისტორიის რომელიდაც მონაკვეთში მართლაც შედიოდა ფხოვის შემადგენლობაში, ან იქნებ ხევის ნაწილიც კი. შეიძლება ამიტომაა

ისიც, რომ IV საუკუნის შემდეგ თუშეთს „ქართლის ცხოვრების“ ისტორიკოსები კაი ხანს ცალკე აღარც კი ახსენებენ, თუ არ ჩავთვლით ჯუანშერის ცნობას, რომ აბუხოსრო „ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათაო“ (ქც, I, 243). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასეთი საერისთავო ქართულ სინამდვილეში არ დასტურდება; თანაც კიდევ - „ყოველთა წარმართთაო“, იქით - ხუნძეთი და აქეთ - თუშეთი, როგორ უნდა გავიგოთ ორივე ეს ერთეული მეზობელი ტომებითა და ტერიტორიებით, იმიერი და ამიერი? არა ჩანს მყაფიოდ, კონკრეტულად ვინ იგულისხმება ამ წარმართებში.

ყველაფერს რომ თავი დაგანებოთ, თუშური და ხევსურული (განსაკუთრებით პირიქით ხევსურული) დიალექტები ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ თუ შევადარებთ მათ ლექსიკას, სამეტყველო ინტონაციას და სხვა გრამატიკულ ნიუანსებს, მსგავსება ზედმინებითი და აშკარა გახდება. ამას, თავის დროზე, აკად. აკ. შანიძეც აღნიშნავდა. აქვე გაკვრით უნდა ვთქვათ, რომ თუშების ვაინახური წარმოშობის შესახებ ასევე თავის დროზე თეორიები წამოაყენეს მკვლევარებმა: ნ. მარმა, ა. გენკომ, ა. ნოვოსელცევმა, ა. მკრტუმიანმა და ა.შ. მაგრამ იგი ქართველმა მკვლევარებმა არ მიიღეს.

რაც შეეხება ხევს, მოხევეებს, „ქართლის ცხოვრებაში“ XII ს. მიწურულამდე ამ სახელწოდებით არც ისინი მოიხსენიებიან და სწორედ ეს გვათვიქრებინებს ხევის ფხოვში გაერთიანებას, მაგრამ ეს მხოლოდ პიპოთეტურადაა დასაშვები. რეალურად კი ხევის ტერიტორიაზე სხვა პროცესები მიმდინარებდა. ადრეფეოდალურ ხანაში იგი წანარეთად იწოდებოდა.

თუ გავითვალისწინებთ ვახუშტი ბატონიშვილის მინიშნებას (ქც, IV, 534) და გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არსებობდა (და არსებობს) ერთი ხევსურეთი, ერთი ფშავი, ფხოვის საზღვრები ძირითადად უნდა მოვიაზროთ ხევსურეთის არაგვისა და ფშავის არაგვის აუზებში. ფხოვს ადმინისტრაციული ცენტრი აღბათ არ ექნებოდა, რელიგიური ცენტრი კი შესაძლოა ჰქონდა და ეს იყო ხახმატი. ამ სტატუსისთვის მისი გეოგრაფიული მდებარეობაც შესაფერისი იქნებოდა.

დამაფიქრებელია აგრეთვე ფშავის არაგვის ხეობაში მდებარე სოფლების სახელნოდებებიც - შუა-ფხ-ო, ა-ფხ-უშო და, სხვათა შორის, დუშეთის მახლობლად მდებარე სოფლი-საც - ა-ფხ-ავი. ეს ტოპონიმები აშკარა და მრავლისმეტყველი ფაქტორია ფხოვის შესახებ. დღევანდელ სოფელ შუაფხოს თუ ფხოვის ტერიტორიულ ცენტრად აღვიძვამთ, მაშინ ფხოვის საზღვრების გარშემონერილობა დაუჯერებელად ვრცელ სივრცეს შემოხაზავს. ჩვენი აზრი უფრო იქითკენ იხრება, რომ ტოპონიმი „შუაფხო“ არა ფხოვის ცენტრს, არა-მედ „შუების“ ფხოვს უნდა გულისხმობდეს. ვაინახები ფშავლებს „შუებს“ ეძახოდნენ და შესაძლოა, რომ ფშავის, ფშავის არაგვის ხეობის ფხოვისშემდგომდროინდელი სახელნოდებაც სწორედ „შუების ფხოვი“ ყოფილიყო. ე.ი. ერთ მხრივ ერთი მდინარის აუზში „ფხიების“ (ხევსურების) ფხოვი, ხოლო მეორე მდინარის აუზში - „შუების“ (ფშავლების) ფხოვი. თუ ამ ვარაუდს მივიღებთ, მაშინ ფხოვის დაშლის პროცესიც და შედეგიც თითქმის გარკვეული სახის მკაფიო სურათს იძლევა. არა და ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ შუაფხოში არსებობს საკმაოდ მასშტაბური არქიტექტურული ძეგლის ნაშთი, რომელიც იქაური დასახლების დომინანტურ როლზე უნდა მიუთითებდეს. ასე რომ, ჯერჯერობით ბევრი რამ არის ბუნდოვანი და ეს, ალბათ, მანამ იქნება ასე, სანამ ფხოვის ტერიტორია საფუძვლიანად არ იქნება შესწავლილი არქეოლოგების მიერ. თავის მხრივ კი, ამ ფონზე, გაოცებას იწვევს ერთი გარემოება: კეთილი და XIII საუკუნიდან XVIII საუკუნემდე, ვაინახებს რომ თავი დავანებოთ, ქართველები რა სახელნოდებით მოიხსენიებდნენ ფხოვის ეთნიკურ და ტერიტორიულ მემკვიდრეებს? რატომ ედო ტაბუ ფშაველ - ხევსურთა ხსენებას? როგორ, არაფერი არ ხდებოდა იქ?

ძველ (VII ს.) სომხურ წყაროებში ხსენებული „ფხექი“, „ფასხი“ და „ფუსხი“, ისტორიკოსების აზრით, ფხოვს უნდა აღნიშნავდეს. აკად. გ. მელიქიშვილი ძვ. წ. XIV ს. II ნახევრის ხეთურ წყაროებში ნახსენებ „ფახუვას“ ქვეყანას ფხოვს უკავშირებს. მართლაც, არაა გამორიცხული, რომ წანარები (წანები, ჭანები), თუშები (ტუსკები), მესხები

(მოსოქები, მუშქები) და ფხოველები (ფახუები) ხეთური სახელმწიფოს რღვევის შედეგად ლტოლვილი მოსახლეობის შთამომავლები იყვნენ. ისტორია კარგად იცნობს შორეული მიგრაციის მაგალითებს. სწორედ ხეთური თვითმყოფადი კულტურის კვალი შეიძლება იყოს ზემოთ ჩამოთვლილი ხალხების თუ ტომების სამოსახლოებში დღემდე შემორჩენილი, გაუშიფრავი პიქტოგრამებიც, რომელთა მოძიებას, შეგროვებას, აღნუსხვასა და კვლევას, სხვათა შორის, დიდი ამაგი დასდო ბ - ნმა გ. გიგაურმა.

რაც შეეხება საზღვრებს, ჩვენთვის განსაკუთრებით ფხოვის ჩრდილოეთი საზღვარი იყო საინტერესო, მაგრამ ამის მკაფიოდ გამოხატულ მითითებას ვახუშტის თხზულება არ იძლევა;

ვახუშტი ბატონიშვილი თავის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ერთ თავს ასე ასათაურებს: „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კუალად თუშეთისა და დიდოეთისა“. კონტექსტი თუშეთისადმი, მთის დანარჩენ კუთხეებთან შედარებით, მეტ ყურადღებას გულისხმობს. იგი წარმოდგენილია, შეიძლება ითქვას, თითქმის ტოლად და სწორად ჰერეთისა და კახეთისა. შემდგომში რომ ცალკე თუშეთი არ იყოს აღწერილი და ცალკე ფშავი და ხევსურეთი, ცნობისმოყვარეობა წასძლევდა კაცს - ფხოვს ხომ არ გულისხმობს ავტორიო. აბა, რა შეუაშია პატარა თუშეთი იმხელა პროვინციებთან, სხვადასხვა დროს რომ ხან სამეფოებად იწოდებოდნენ და ხან - სამთავროებად?

ფშავ - ხევსურეთზე (განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე) ვახუშტი მნიორ ცნობებს იძლევა. ეს გასაგებიცაა იმდენად, რამდენადაც ავტორს ამ ნაშრომზე მუშაობა საქართველოდან შორს - რუსეთში უხდებოდა და საჭირო ინფორმაცია უცებ შეიძლება ვერც მოეპოვებინა. მაგრამ აი, თუშეთზე საკმაო ხანს ჩერდება, „ქვეყანასაც“ ამომწურავად აღწერს და, სხვათა შორის, თავად თუშებსაც საუკეთესოდ ახასიათებს, განსაკუთრებით ზნეობრიობის კუთხით. და ეს როგორდა? როგორ და იმ დროს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ინტენსიურ ხასიათს იძენდა, ხშირი იყო დიპლომატიურ მისიათა მიმოსვლა და ეს მიმოსვლა თუშეთზე გამავალი გზითაც ხორციელდებოდა. ამ პროცესებში

თუშები საკმაოდ აქტიურობდნენ. რუსეთის სამეფო კარზე მიღებულ მკვლევარს ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და ამ ხალხისადმი განსაკუთრებული ინტერესიც, შესაძლოა, სწორედ აქედან მოდიოდეს.

XVIII საუკუნის შუა წლებისთვის ფხოვი უკვე ის ფხოვი აღარაა. ამის ფიქსაციას ვახუშტი ბატონიშვილი ახდენს. ახლა უკვე თუშებიც, ფშავლებიც და ხევსურებიც დამოუკიდებელ ეთნოსებად ჩამოყალიბებულან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, ვახუშტი არსად არ აღნიშნავს, რომ თუშეთი ფხოვში შედიოდეს. ტრადიცია რომ ასეთი ყოფილიყო, აღბათ ერთხელ მაინც აღნიშნავდა. არ არის გამორიცხული, რომ ასეთმა ტრადიციამ ვახუშტიმდე ვერც მოაღწია.

ისე კი, თვალს თუ გავადევნებთ, ვახუშტი ბატონიშვილი სადაც კი ფხოვს შეეხება, ან უკეთ - ფშავ-ხევსურეთს, აუცილებლად იმასაც დააყოლებს ხოლმე - ეს უნინდელი ფხოვიაო: „ან უნოდებენ ფშავ-ხევსურსა (რომელსა პირველ ეწოდათ ფხოველნი“)“ (ქც, IV, 523); „არამედ ძუელად ეწოდა ამ ორთა ხეობათა ფხოველნი“ (ქც, IV, 534); „... ესე მოერთვის აღმოსავლეთიდამ, გამოსდის ძურძუკეთსა და ფშავ-ხევსურეთს (რომელ არს ფხოველი)“ (ქც, IV, 651).

მანამდელ მემატიანეთათვის კი ფხოვი - ფხოვია და მეტი არაფერი. ეს კი იმის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, რომ ცნებები „ფშავი“ და „ხევსურეთი“ მაშინ, როგორც ჩანს, არ არსებობდა. არადა საინტერესოა, მაინც როდიდან, როგორ და რა ვითარებაში გაიყო ფხოვი ორად?!

\* \* \*

ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ოფიციალური ვერსიით, მირიან მეფის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოწყობილი ლაშქრობა მიზნად ისახავდა იქაური წარმართი მოსახლეობის ქრისტიანულ რელიგიაზე მოქცევას. როგორც მემატიანე გვამცნობს, ეს იმდენად სერიოზული ექსპედიცია ყოფილა, რომ თვით მეფეს დაუგეგმავს:

„მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახვილითა მოვაქცივნეთ მთეულნიო“ (ქც, I, 125). შეწინააღმდეგებიან წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანე: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტიო“ (იქვე).

თავიდანვე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ თუ ისტორიულ თხზულებათა სიღრმისეული შრეების „ფეთქვას“ მახვილი სმენით მივაყურადებთ, ლეონტი მროველის თხზულებიდან უფრო მეტი (თუნდაც შედარებით) დრამატიზმის „ხმა“ ისმის, ვიდრე „მოქცევაი ქართლისაიდან“. „დაუტევეს ქუეყანა“ და „გარდაკრბეს“, მით უფრო კონტექსტში, ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი ზმნები არ უნდა იყოს. გარდა ამისა, მეტად საყურადღებოა „მოქცევას“ ერთი პასაუი. იქ თვით წმ. ნინოს ბრძანებით ხდება „მახვილის წარმართვა“: „ნინო უბრძანა ერისთავსა, რაითა წარმართოს მცირედ მახვილო“. ბევრის მეტყველია ეს ფრაზა... ამჯერად მხოლოდ ერთს შევნიშნავთ: როგორც ჩანს, მირიან მეფე და წმ. ნინო მთიელთა (არამარტო) გაქრისტიანების საკითხში ერთ პოზიციაზე დგანანა...“

მიუხედავად სასულიერო პირთა წინააღმდეგობისა, მეფეს, რომელიც, როგორც ჩანს, მტკიცე მიზანდასახულობით მოქმედებდა, მაინც არ დაუშლია და მოუწყვია მასშტაბური სამხედრო-რელიგიური მსვლელობა. წმინდა ნინო და ეპისკოპოსი იოანე, მოგეხსენებათ, ღვანლით დამძიმებული პიროვნებები იყვნენ. მათი თხოვნისა თუ რჩევისათვის მეფე მირიანს უსათუოდ ანგარიში უნდა გაეწია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ისე მოხდა, როგორც მეფეს „ნებავდა“. რაღაც მიზეზი თუ სიტუაცია დაუინებით მოითხოვდა მახვილის გაშიშვლებას. მეფემ ჯერ არ იცის, მთიელები ნათლისღებაზე დათანხმდებიან თუ არა და თავშივე აცხადებს: „იძულებით მახვილითა“ უნდა მოვაქცივნეთო. ესეც საყურადღებო ნიუანსია.

ჯერ კიდევ წელში გაუმართავი სასულიერო ფენა ხელი-სუფლის ნებას, ფაქტია, წინ ვერ აღუდგა. „მახვილის წარმართვა“ არც ქართველთა განმანათლებელს და არც ეპისკოპოსს, იქნებ არც მოეწონებოდა, მაგრამ ერისთავი, რომელიც, სავარაუდოდ, მირიანის ძლევამოსილ ომებში გამოწ-

რთობილი სარდალიც იქნებოდა, ალბათ გვირგვინოსანი მეფის მკაცრი მითითებებით ხელმძღვანელობდა. ის კი არა, შესაძლოა, მირიან მეფემ ამ ლაშქრობაში პირადად იმიტომაც არ მიიღო მონაწილეობა, რომ ან ზემოხსენებული პატივსაცემი პიროვნებებისა ეკრძალებოდა, ანაც ხმალზე რომ მიდგებოდა (დიდი ალბათობით) საქმე, ფრიად და ფრიად უხერხულ სიტუაციაში მოუწევდა თავის მართლება. ერთი სიტყვით, ალბათ თავი აარიდა მოსალოდნელ უსიამოვნებას.

მარტოოდენ მისიონერული განაზრახისთვის იმ უხერხულობათა თავიდან ასაცილებლად, რაც მოსალოდნელი იქნებოდა „პირუტყუთა სახეთა მათ კაცთაგან“, იქნებ მცირერიცხოვანი ამალაც იქმარებდა. იქ კი, ჩანს, მოსალოდნელი წინააღმდეგობა იმდენად სერიოზული იყო, რომ მეფემ თვით ერისთავი, სავარაუდოდ სამხედრო მოხელე, მიავლინა ლაშქრით. წილკან - ჭართალი და ფხოვ-გუდამაყარი, ალბათ მიმდგომი ტერიტორიებითურთ, ეტყობა, სერიოზულ ძალას წარმოადგენდა და, რაც მთავარია, ცენტრალურ ხელისუფლებასაც არ უქმევდნენ გუნდრუკას.

და აი, სამეფო კარმა შესაფერისი დრო იხელთა. ლეონტი მროველი, გასაგები მიზეზების გამო, აქ ენამზეობისაგან თავს იყავებს და მხოლოდ მშრალი, ოღონდ მეტყველი ინფორმაციით კმაყოფილდება - „ძლევით შემუსრნა კერპნი მათნიო“. ე.ი. წააწყდა კიდეც ერისთავი იმ წინააღმდეგობას, რასაც ელოდა. როგორც ჩანს, კერპნიც შემუსრნა და კაცნიც. აბა, მთელი ერთი ტომი თუ კუთხე (თუ პროვინცია) ასე იოლად არ „დაუტევებდა“ თავის „ქუეყნას“. ხოლო მეისტორიე „მოქცევას“ ამ ეპიზოდს ამთავრებს დასკვნით: „ამის-თვის წარკრბეს იგინი და შესცოეს და რომელნიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსმან და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს-აქამომდეო“ (ქც. I,126).

ეს უკანასკნელი „რომელნიმე“ უთუოდ ფხოველები იქნებოდნენ, რადგან იქ ყველაზე გვიან შეაღწია ქრისტიანობამ, უპირატესად კი ხევსურეთში.

ასე რომ, ფხოვის მოსატეხად მახვილი პირველად მირიან მეფეს გაუშიშვლებია, ოღონდ აქ ბრძოლა შეფარულ – შენიღბიულად კი არ წარმართულა, არამედ პირდაპირ და შიშ-

ვლად, თანაც განმანათლებლის თვალწინ; არა სტიქიურად და მოულოდნელად, არამედ წინასწარ გათვლილ – გააზრებული ტაქტიკითა და სტრატეგიით. ძალიან უცნაურია ეს ფაქტი თავისთავად. ფაქტია, რომ ახალ რელიგიას მაინც და მაინც დიდი ხალისით არ შეჰვებებიან. ჯვარისმტვირთველთა მხარდამხარ საჭურველთმტვირთველნიც ირჯებოდების. რჩება შთაბეჭდილება და ასეც უნდა ყოფილიყო, რომ ფხოვი სანიმუშოდ დაისაჯა. აქედან სათანადო დასკვნები გააკეთეს დანარჩენმა მთიულებმა და ახალ სარწმუნოებას კარი ფართოდ გაუღეს. მოსე ხორენელს თუ დავერწმუნებით, წმინდა ნინოს დარიალამდის ჩაუღწევია. თუმცადა ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომ მიუხედავად არაერთგზისი „დაპატიუებისა“, მაინც ძველი სარწმუნოების ერთგულნი დარჩნენ. ჯუანშერი მათ მოიხსენიებს როგორც „მთიულთა კახეთისათა“ (ფხოელნი, ყვარელნი, ლოპოტელნი...).

მერეც ლაშერობდა მირიანი კავკასიონს გადაღმა, ხან ისებთან, ხანაც ხაზარებთან. საამისოდ გზა დარუბანდზე და დვალეთზე ედო. დარიალი აქ არ ხსენდება, მაგრამ უსათუოდ ისარგებლებდა ამ პირდაპირი, მოკლე და მოსახერხებელი გასასვლელით. გზად კი, რბილად რომ ვთქვათ, ალბათ თავისი მხედრული ძალმოსილების დემონსტრირებასაც მოახდენდა. ამის შედეგიც უნდა იყოს ის, რომ ურჩ ქვეშევრდომთა შორის ხევი და მთიულეთი (ხადა, ცხავატი, ჭართალი) არ მოიხსენიება.

თუშეთი, ჩანს, ამ ძალმომრეობის ზონის მიღმა დარჩა და ლტოლვილი და წარმართი მეზობლებიც იმიტომ ეძებდნენ იქ თავშესაფარს. ის რომ ამ დროს ფხოვის შემადგენლობაში ყოფილიყო, მემატიანენი სხვაგვარ კონტექსტში არ მოიხსენიებდნენ.

\* \* \*

ლეონტი მროველის თხზულებიდან „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ისე გამოდის, მირიან მეფეს მესამე რელიგიის აღიარება მოუხდა. ეს, თავისთავად, იშვიათი შემთხვევაა. ქასრემ რომ მირიანი მცხეთას „დასუა“, შვიდი წლისა

იყო; ამიტომ მას რეგენტად დიდგვაროვანი მირვანოზი დაუნიშნა. მცირებლოვან ბავშვს, წესით, მამა თუ არ ხერხდებოდა, დედა მაინც უნდა ჰყოლოდა გვერდით, მაგრამ მეუღლეს ვეღარ შეელია ქასრე, „რამეთუ უყუარდა დედა იგი მირიანისი, ვითარცა თავი თვისიო“ (ქც. I, 64 ).

გამეფებულ ყმანვილს სპარსეთიდან ცეცხლთაყვანის-მცემლური მრნამსი მოჰყვა, საქართველოში კი წარმართული, კერპთაყვანისმცემლური დახვდა. ქართველთა, ანუ იძერიელთა, რელიგია ქასრესთვის პრინციპულად მიუღებელი არ ყოფილა და, სავარაუდოდ, არც სპარსული ყოფილა დაუთმობელი. ასე და ამდენად, ფუნდამენტალიზმისაგან შორს მდგარა. მან სიტუაცია რეალისტი პოლიტიკოსის თვალით შეაფასა. იქაურობის გასაკონტროლებლად მირვანოზს 40 000 - იანი მხედრობა ჩააბარა, ხოლო შვილის რელიგიური კუთვნილების საკითხი სრულიად მარტივად გადაწყვიტა: „და იყოს შვილი ჩემი ორსავე სჯულსა ზედა: მამათა ჩუენთა ცეცხლის-მსახურებასა და თქუნთა კერპთასა“ (იქვე).

ძნელი სათქმელია, როგორ უნდა მოეხერხებინათ აღმზრდელებს ყრმის სულსა და გულსა და გონებაში ორგვარი რელიგიური მრნამსის სინთეზი. ერთი კია: მერე და მერე, უკვე წამოზრდილ მეფეს ორი კერპის მსახურება უსათუოდ შინაგან დისკომფორტს შეუქმნიდა. შესაძლოა ამ ორ რელიგიას შორის ფუნდამენტური ზღვარი არც გადიოდა, მაგრამ ნაძვილად იქნებოდა არსებითი სხვაობა და წინააღმდეგობრივი ბარიერი, ბოლოსდაბოლოს - მრნამსსა და რიტუალურ მხარეს შორის მაინც. ასეთ ვითარებაში კი შემდეგში სწორედაც რომ ხსნა იქნებოდა ახალი რელიგიის გამოჩენა, მაგრამ ამაზე მოგვიანებით...

ზემოთქმული ჩვენი ვარაუდია, თორემ მემატიანე, რომელიც პირველი ქრისტიანი მეფის შესახებ და, ამავე დროს, ქართლში ქრისტეს რჯულის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ამბებს გვიყვება და, ამდენად, შესაძლოა, რამდენადმე ტენდენციურიც კი იყოს, სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვიხატავს: მირიანის გამზრდელ მირვანოზს ქართლის სიმაგრეთა განმტკიცებისათვისაც უზრუნია და თავისი შვილობილის სანიმუშოდ აღზრდისათვისაც. დავეხსნათ

საკითხის წმინდა პოლიტიკურ ჭრილში ჩერეკას და ყოველი-  
ვეს ჩვეულებრივი მოკვდავის თვალით შევხედოთ.

ლეონტი მროველი გვიმეორებს, რომ აღიზარდა მირია-  
ნიო „მსახურებასა მას შინა შვიდთა მას კერპთასა და ცეც-  
ხლისასაო“ (იქვე). ასეთ სარწმუნოებრივ გაორებას მისთვის  
ხელი არ შეუძლია, რომ შეეყვარებინა ქართველნი, დაევიწ-  
ყებინა მშობლიური ენა და შეესწავლა ქართული. ბავშვი კი  
იყო, როდესაც საქართველოში ჩამოიყვანეს, მაგრამ მაინც  
საკვირველია, როგორ მოხდა, რომ უამრავი დიდი და მცირე  
სპარსელით გარშემორტყმულმა მშობლიური ენა დაივიწყა.  
ეტყობა, გონიერი ყმანვილი იყო და გამზრდელიც შორ-  
სმჭვრეტელი შერჩა... შეაბიჯა რა სიჭაბუკეში, კერპნიც და  
მისი მსახურნიც „შეიტყბო“ და, ასე განსაჯეთ, თვით შეფე  
ფარნავაზსაც კი მისი საკადრისი პატივი მიაგო. შედეგმაც  
არ დააყოვნა: „შეიყვარეს იგი ყოველთა ქართველთა უმეტეს  
ყოველთა მეფეთასა“ (იქვე, 65).

ქასრემ კი რა: დაიგულვა თუ არა თავისი ძე მცხეთის  
ტახტზე, უბოძა კიდევ 7 000 მონასპა ყოველგვარი მოულოდ-  
ნელობის გამოსარიცხავად, ხოლო თვითონ „წარიხუნა ყო-  
ველნი ხევნი კავკასიანთანი და დასხნა ყოველგან მთავარნი,  
და უბრძანა მათ ყოველთა, რათა იყვნენ მორჩილ ძისა მისი-  
სა“ (იქვე, 65), ხოლო ძესა და მის მამამძუძეს უბრძანა, რათა  
„ჰბრძოდნენ ხაზართა“.

გულისხმავყოთ, რომ ქასრეს კავკასიის მთიელები  
მორჩილებაში მოუყვანია და ვიდრე სპარსეთში გაბრუნდე-  
ბოდა, შვილისთვის შესაბამისი დირქეტივებიც მიუცია. თა-  
ნაც, უნდა ვიგარაუდოთ, რომ ყოველივე ეს შეეხებოდა კავ-  
კასიის როგორც ამიერ, ისე იმიერ ბინადართ. ცნებაში „კავ-  
კასიანი“ ჩვენი ძველი ისტორიკოსები ზოგადად კავკასიის  
მთიანეთში მცხოვრებ ტომებს გულისხმობდნენ; აქ მნიშვნე-  
ლობა არ ჰქონდა მათ წარმომავლობას, რელიგიას და პოლი-  
ტიკურ ორიენტაციას.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ „როცა წარიხუნა  
ყოველნი ხევნი კავკასიანთანი“, იქაურობის ხელისუფალნიც  
თავადვე განაწესნა.

ახლა საინტერესოა, შეეხო თუ არა ქასრეს მსახვრალი  
ხელი ფხოვსაც? „ყოველნი ხევნი“ სწორედ იმას უნდა გულის-

ხმობდეს, რომ შეეხო, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ მემატიანე რამდენადმე არაზუსტი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში იმდენად, რომ, როგორც შემდგომ გამოჩენდება, მისგან „წარხმული“ ხეობის მკვიდრთ, რომელთაც აგრეთვე მისგან დანიშნული „მთავარნი“ მართავდნენ, არათუ „არა ნათელიღეს“, არამედ „არცა მოვიდეს მოფენასა მის ნათლისასა“ (ქც. I, 116).

საფიქრალია, რომ ეს ჯიუტი „მთიულნი კავკასიანნი“ შესაძლოა სწორედ ფხოველები ყოფილიყვნენ. ამიტომ გამოარჩია შემდეგში მირიანმა და სწორედ ამიტომ მოეპყრო სასტიკად და სხვათაგან განსხვავებულად. და იყო საქართველოში სადმე ფხოვის გარდა სხვა შემთხვევა ქრისტიანული რელიგიის ასე დაძალებისა? აღმოსავლეთ საქართველოს მთაში პირველსავე შეთავაზებაზე არსად არ მიუღიათ ქრისტიანობა, მაგრამ ამისთვის არც მახვილი სადმე „წარუმართავთ“. ასეთი გამეტების ზუსტი მიზეზის პოვნა ახლა მატიანეებში კირვიტით, სამწუხაროდ, აღარ ხერხდება, სავარაუდო მიზეზები კი უკვე მოგახსენეთ და აქ აღარ გავიმეორებთ.

ხოლო ის 47 000 - იანი არმია, რომელიც ქასრებ საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებთან განათავსა, ემსახურებოდა ჩრდილოეთიდან ხაზართა მოწოლის შეკავებას და საქართველოს შენარჩუნებას ვასალურ მდგომარეობაში.

მაგრამ - „წარიხუნა ყოველნი ხევნი კავკასიანთანიო“. სავარაუდოდ, ქასრებ აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდილო და სამხრეთი „ხევნი“ დაულაშქრავს. ეტყობა, რომ იქ საქმე ისე ვერ მიდიოდა, როგორც მას სურდა. ამ სამხედრო ექსპედიციის მთავარ მიზანს აღბათ დარიალის კარის გასაღების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. შესაძლოა, დარიალი სპარსელებს მანამდეც კი ჰქონდათ გადაკეტილი, რადგან იქიდან, მირიანის მეფობის უამს, მხოლოდ ერთხელ გამოვიდნენ ოსები და ისიც მაშინ, როცა იგი საქართველოში არ იმყოფებოდა. აი, ხაზარები კი წამდაუწუმ მოადგებოდნენ ხოლმე დარუბანდს და მირიანიც, როგორც მამამ დაუბარა (!..), მაშინვე იქ გაჩიდებოდა და ხაზარებს არ აძლევდა სამხრეთისკენ ლაშქრობის საშუალებას.

ჩანს, რომ მაშინ მთიელები სპარსელებსაც ეურჩებოდნენ და ადგილობრივ ხელისუფლებასაც. ხაზართა მოძალების უამს, რომლებიც მრისხანე სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ, მერყევი მთა, თავისი სტრატეგიულ - გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ქასრეს პოლიტიკურ ამბიციებს სამხრეთ - აღმოსავლეთ კავკასიაში ეჭვქვეშ დააყენებდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქასრეს ის ლაშქრობა სასტიკი იქნებოდა; იმიტომ, რომ მთის საკითხის გადაჭრის შემდეგ, როგორც ჩანს, დაუყოვნებლივ გაბრუნებულა სპარსეთს. სათუო სიტუაციის შემთხვევაში ქასრე ეგრევე სამშობლოში არ გასწევდა. ე.ი. მთაში, ყოველ შემთხვევაში სადამდეც მისწვდა, ალბათ, ცეცხლითა და მახვილით დაამყარა წესრიგი. ამის დამადასტურებელი უნდა იყოს ისიც, რომ შემდეგში, როცა იქ უკვე მირიანის ერისთავმა ილაშქრა, ხალხს უთუოდ ახსოვდა ქასრეს მიერ ჩადენილი „საქმენი საგმირონი“ და სათუო შებმას გარიდება ამჯობინეს. გარიდება იმიტომ, რომ ან ფიცხელ კვეთებაში ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა (თუნდაც სამხედრო ძალის აშკარა სიმცირის გამო), ანაც - უნინდელიც მწარედ ახსოვდათ და, სადაც არ სჯობდა - გაეცალნენ. ამაზეც შემდგომ, ოღონდ აქ ერთი საზრისიც იკვეთება, სახელდობრ ის, რომ ფხოვის მოსარჯულებლად, რომელიც იოლად ხელნამოსაკრავი ძალა არ იქნებოდა, მირიანს ლაშქარიც შესაბამისი რაოდენობისა გაუგზავნია - საკმაოდ მრავალრიცხოვანი. ძალთა თანაფარდობაში რომ უპირატესობა აშკარად სამეფო ლაშქრის მხარეს არ ყოფილიყო, ხალხი თავისი მიწანცლიდან ასე იოლად არ აიყრებოდა. ამგვარი პრეცედენტი ისტორიაში იშვიათად ხდებოდა და, სხვათა შორის, ხშირად არც ის ხდებოდა, რომ ხელისუფლება რელიგიური სარჩულით საკუთარ ხალხს ლაშქრავდეს და ხარკავდეს.

მაგრამ მეფე მირიანს არაგვის ხეობის გასწვრივ სალაშქროდ სხვა მიზეზიც ჰქონდა. მაშინ, როცა „ნათელ - იღო მეფემან ხელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა“ (ქც. I, 116), როცა მთელი ერი საოცარი ენთუზიაზმით მიეშურებოდა მცხეთას მოსანათლად, „როცა ნათელ - იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, თვიზიერ ხოლო არა ნათელ - იღეს მთიულთა კავკასიანთა“ (იქვე).

ასეთი განზე დგომა, ცხადია, მეფეს არაფერში ეპიტნავებოდა. ის კი არა, როგორც ზემოთ ითქვა, „არცა მოვიდეს მოფეხასა მას მადლისასაა“, აგრძელებს მემატიანე. მაშინ ძალა არავის დაუტანებია. უბრალოდ, მტკიცედ იდგნენ მამა - პაპურ რჯულზე და შესაძლოა, ქრისტიანობის შესახებ ყურმოკვრითაც კი არაფერი გაეგონათ. ასეთი გულგრილი დამოკიდებულება იმ რელიგიის მიმართ, რომელიც თვით მეფემ და დედოფალმაც კი მიიღეს, ქვეყნის უმაღლესი ხელი-სუფალისთვის შეურაცხმყოფელიც კი იქნებოდა. არც კი მოვიდნენ - თითქოს გულდანყვეტილია ლეონტი მროველი.

უფრო გულდანყვეტილი იქნებოდა წმ. ნინო, მაგრამ მომხდარი კი მოულოდნელი არამც და არამც არ იქნებოდა, რადგან ემახსოვრებოდა კაი ხნის წინანდელი საუბარი უფლის კვართის შესახებ სარა ნიაფორთან. ქართველთა მომავალი განმანათლებელი მაშინ დაინტერესდა, თუ „სადა არს ჩრდილოსა იგი ქუეყანა სადათ - იგი მოსრულთა მათ ჰურიათა წილ ხუდა და წარიღეს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესიონ“. სარა ნიაფორმა უპასუხა: „არს აღმოსავლეთით ქალაქი სახელით მცხეთა, ქუეყანა ქართლისა და სომხითისა - მთეულეთი სანარმართო, არამედ უამსა ამას უჟიკთა სახელმწიფოდ შექმნილ არს იგიო“ (ქცI, 79). ოღონდ „მთეულეთი“ აქ მთიულთა ან მთიელთა ქვეყანას არ უნდა ნიშნავდეს, არამედ მთიან ქვეყანას, რომელშიც უცხოტომელნი ხელმწიფობენ.

ასე რომ, მცხეთაში, ქვეყნის დედაქალაქში, ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ახლა, ვინ არ მიიღო კიდევ ქრისტიანობა? ვის მარაქაში გაერივნენ ტრადიციული რჯულის ერთგული მთიელები? ვინ და ებრაელებმა და სპარსელებმა, სახელდობრ, მეფის სიძე ფეროზმა. მაშინ კი რელიგიური ერთობა ალბათ უკვე ქვეყნის ერთიანობის მთავარ პრინციპადაც აღიქმებოდა. ასე რომ, უკვე საკმაოდ ძლიერ და ამბიციურ მეფე მირიანს ლაშქრობის საბაბი ხელთ ჰქონდა. გარდა ამისა, ქრისტიანობას, როგორც უცხო და უცნობ რელიგიას, არა მარტო შორეულ კავკასიაში, არამედ თავად მეფე მირიანის გარემოცვაშიც კი (ფეროზი) გაუბედავად ეკიდებოდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ უცხოტომელებზე. წმინდა ნინოსთან დაახლოებული აბიათარიც კი

ამ სიახლოვისთვის კინაღამ ჩაქოლეს თანამემამულე ეპრაელებმა. ქრისტიანობის მიმართ ასეთი განწყობა საკვირველი და მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან, ბოლოსდაბოლოს, ელემენტარული პიროვნული ეთიკის საკითხია, ერთგულებდე იმ რელიგიას, რომლის აღმსარებელიც ხარ. მირიანმა, ეტყობა, კარგად იცოდა იმ ხალხის ხასიათი, ვისკენაც მახვილის წარმართვას აპირებდა. არ არის გამორიცხული, ეს „კარგად ცნობა“ შიშშიც გამოიხატებოდა, შიშში იმისა, ვაი თუ ურნმუნო მთიელებმა წმ. ნინოს რაიმე ხიფათი შეამთხვიონო. ეს კი ბიზანტიის სამეფო კარზე (და სხვაგანაც) ქართლის ავტორიტეტს ჩრდილს მიაყენებდა. იქ ხომ ქრისტიანობის გამარჯვებას წინ აღარაფერი ედგა.

ფხოველებს ქრისტიანობა არც მერე შიულიათ. ლეონტი მროველი ამ თემაზე ლაპარაკს იმით ამთავრებს, რომ საგანგებოდ აღნიშნავს - სხვა „ მთეულებმაც “ არ ნათელიღესო, თუმცა, ბოლოს, ზოგი მათგანი მაინც მოუქცევია აბიბოს ნეკრესელს.

აბიბოს ნეკრესელი, ერთ - ერთი ასურელ მამათაგანი, მეტად ენერგიული საეკლესიო მოღვაწე ყოფილა. იგი საქართველოში VI ს. II ნახევარში შემოსულა და ზედაზენს დამდგარა. მის მიერ მთიელთა მოქცევა სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო, ანუ მთელი ორასი წლის შემდეგ ქართველთა მასიური გაქრისტიანებიდან. სხვათა შორის, ამ მორიგ მისიონერულ ძალისხმევას, შედარებით ადრინდელთან, ფართო რეზონანსი აღარ გამოუწვევია. აქ, ეტყობა, პროცესი მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ კალაპოტში მიედინებოდა, ანუ მახვილი „მცირედაც“ აღარავის წარუმართავს და გარკვეულ პერიფერიებში შედეგისთვისაც მიუღწევიათ. ფხოველნი ჩაიკეტნენ, გადაიხვენენ, ხოლო ერწო - თიანელთ მირიანისავე დროს აღიარეს ქრისტიანობა. გამოდის, რომ აბიბოს ნეკრესელს მოუქცევია ჭართალელნი, წილკანელნი და გუდამაყრელნი. ისინი კი, რომელნიც „დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს აქამომდე“, უეჭველად ფხოველნი უნდა იყვნენ. ქართული სამეფოს ისტორიაში, თუ არ ვცდებით, არ იყო მეორე პროვინცია, სადაც უფრო ნაკლები გავლენა ექნებოდა ქრისტიანობას, ვიდრე ფხოვში. გარკვეული თვალსაზრისით ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, დღემდის

გრძელდება. საინტერესოა, სცადა კი აბიბოს ნეკრესელმა ფხოვის მოქცევა? იქნებ იცოდა თავის წინამორბედთა შესახებ და, მათგან განსხვავებით, რადიკალური მოქმედებებისა-გან თავის შეკავება ამჯობინა. სავარაუდოა, რომ ნეკრესში სამოღვაწეოდ გადასვლასთან დაკავშირებით იგი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა თავისი მისიონერული გარჯა არაგვის ხეობის გასწვრივ.

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: ჯუანშერი მოგვითხრობს ქართლის მთავარ სტეფა-ნოზის შესახებ, რომელმაც „დაუწერა კრება“ ეკლესიის მსახურთ საუფლო დღეების მიხედვით. აქ სამშაბათი დღე განაწესეს სპარსთაგან წამებულთა და აბიბოს ნეკრესელის ხე-ნებისათვის, რომელსაც თურმე ყველაზე მეტ დამსახურებად უფლის წინაშე მიუთვალეს ის, რომ „მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნი“ (ქც,I,229).

ამ მოქცეულთა შორის „მოსახვედრად“, სამწუხაროდ, ფხოვს ყველაზე ნაკლები შანსი აქვს, მაგრამ მის ტერიტორიაზე გაბნეული ეკლესიათა ნაშთები, შესაძლოა, სწორედ აბიბოსის ღვაწლის შედეგიც იყოს, თუ, რასაკვირველია, ქრონოლოგიურად დაემთხვევა. ისე კი, ამაზე მკაფიო გამოხატულების ძეგლი მთაში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, შესაძლოა, ჩვენს ისტორიაში არც იყოს. როდესაც საეკლესიო მოღვაწის მისიონერულ ამაგს ეკლესია ასეთი ხაზგასმით აღნიშნავს, ეს არის უთუოდ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომელსაც მემატიანე რატომღაც ძალზე ლაკონურად გადმოგვცემს.

საინტერესოა აქ ერთი გარემოებაც: მირიან მეფე აშკარად ძალმომრეობს და ძალმომრეობს იგი ქრისტიანობის სახელით. ამის ნიადაგზე მთაში მეფეს იმხელა წინააღმდეგობა შეხვედრია, რომ ფაქტიურად თავისი მისია ლამის ვერ შეუსრულებია, მხოლოდ ერწო - თიანელნი მოუქცევია. მოსახლეობა მთისა, რომელსაც მემატიანე შთამბეჭდავი ეპითეტით ამკობს - ( „პირუტყუთა სახეთა მათ კაცთაო“), სამად გაიყო: ზოგმა აღიარა ქრისტიანობა, ზოგი გადაიხვეწა, ხოლო ვინც არც აღიარა და არც გადაიხვეწა, „ დაუმძიმა მათ მეფემან ხარჯი“.

ალბათ ესეც, რბილად რომ ვქვათ, მოულოდნელი რამ სასჯელი იქნებოდა. ისედაც დახარკულ ხალხს, აქაოდა ჩემ მიერ შემოთავაზებულ სარწმუნოებას არ იღებთო, კიდევ უფრო დაუმძიმა ხარკი...

„ქართლის ცხოვრების“ ეს ეპიზოდი კი იმით არის საინტერესო, რომ ჩვენს ისტორიაში ქრისტიანობის სახელით ჯერ დალაშქვრა და შემდეგ დახარკვა საკუთარი ხალხისა, ალბათ, აღარასოდეს მომხდარა; ხოლო ეს სასჯელი ფხოველებმა ( და სხვებმაც) მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო მიიღეს, რომ საკუთარ ტრადიციულ სარწმუნოებას არ განუდგნენ და არ მიიღეს მათთვის სრულიად უცხო და უცნობი რელიგია, რომელსაც ძალით ახვევდნენ თავს.

თუ ჩავუკვირდებით ლეონტი მროველის თხზულების იმ პასაჟს, სადაც „მთეულთა“ გაქრისტიანებაზეა ლაპარაკი, დავინახავთ, რომ წმ. ნინოს, ეპისკოპოს იოვანეს და ერის-თავს (ლაშქარს), რომელნიც წობენს, სადღაც ჟინვალის მიდამოებში დამდგარან, ალბათ წინასწარი მოლაპარაკების მიზნით და, ალბათ, სასულიერო პირთა დაშინებით, აქ მოუხმიათ მთიელები. მირიანმა კი თავიდანვე განაცხადა: „მნებავს ესრეთ, რათა იძულებით მახვილითა მოვაქცივნეთ მთეულნიო“, მაგრამ რაკილა მისმა ერისთავმა ეგრევე მახვილზე არ გაიკრა ხელი, ჩანს, წმ. ნინოს ნებას ვერ აღუდგა წინ. თუმცადა ეს „მორჩილება“ ეპიზოდური გამოდგა, რადგან მახვილი მოგვიანებით მაინც ჩაერია საქმეში და საკმაოდ ეფექტურადაც...

წობენში კი მოსალაპარაკებლად, ცხადია, მთელი ერი ვერ გამოცხადდებოდა. ამ მისიას ალბათ თავიანთ ხევისბერებს მიანდობდნენ. და ხევი, ხეობა რამდენილა იყო? - ხუთი: ქსნის (წილკანი), მთიულეთის არაგვის (ჭართალი), ფშავის არაგვის, ხევსურეთის არაგვის (ფხოვი) და გუდამაყრის არაგვის (გუდამაყარი). საგულისხმოა ისიც, რომ აქ არ ხსენდება დანარჩენი კუთხეები აღმოსავლეთ საქართველოს მთისა: თავად მთიულეთი (ჭართალს ზემოთ) - ხადა-ცხავატი, ხევი და თუშეთი. ცხადია, ამ კუთხეებისათვის ქრისტიანობა ჯერ უცხო ხილი იქნებოდა. იძლევა თუ არა ეს გარემოება იმის საბაბს, რომ აქ ჩამოთვლილი ხუთივე კუთხე შედიოდა ფხოვის შემადგენლობაში? ერთი შეხედვით, ეს ასე უნდა

იყოს, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არც მთლად ასეა...

თუშეთში ფხოველთა მასიური გადასახლების დასტურად მიჩნეულია ხახმატისა და ლიქოკის „ჯვრების“ რიტუალურ-რელიგიური მსვლელობანი ამ კუთხეში. ამ საკითხს თავის დროზე შეეხნენ ვაჟა-ფშველა, ვ. ბარდაველიძე, თ. ოჩიაური...

წუთით გვერდზე გადავდებთ „ქართლის ცხოვრებას“ და თავს უფლებას მივცემთ, გავიმეოროთ არაერთგზის დასმული შეკითხვა: საიდან გაჩნდა თუშეთში ხევსურულის მსგავსი დასახელების ამდენი სალოცავი და ტოპონიმი? საკითხის უფრო მკაფიოდ გამოკვეთისათვის ჩამოვთვლით თუშეთის იმ სოფლებს, სადაც კარატისა და ხახმატის (ხევსურეთი) სალოცავებია დავანებული: ომალო, ხისო, შტროლთა, ხახაბო, დართლო, კვავლო, ფარისმა, საჩილოლო, ვესტომთა, ვერხოვანა, დოჭუ, დადიკურთა, ალისგორი, ილურთა... (თ. ოჩიაური, „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, გვ.61). თქმა არ უნდა, რომ აյ შემთხვევითობა გამორიცხულია. თანაც ეს სოფლები ხევსურეთის მოსაზღვრე ხეობებში კი არ მდებარეობენ, არამედ მთელს თუშეთი არიან გაფანტული.

მთაში (და ბარშიც) წესი იყო ასეთი: როდესაც ეთნოსი საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა, თან მიჰეონდა სათემო თუ სასოფლო სალოცავიდან აღებული სიწმინდეები, რომლებსაც შემდეგ თავიანთ ახალ საცხოვრისში განალაგებდნენ იმ ადგილას, სადაც ქადაგ-მკითხავთა პირით „ჯვარი“ შემოუთვლიდა. ასე უნდა მომხდარიყო თუშეთშიც.

თუშეთში გადასულ ფხოველთა დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, უკან ალარ დაბრუნებულა და ახალ მიწა - წყალზე სამუდამოდ დამკვიდრებულა; მაგრამ მაინც ვინ უნდა ყოფილიყვნენ ესენი და საიდან უნდა აყრილიყვნენ? ჩვენი ვარაუდით, თუ ადგილ - მდებარეობას პრიორიტეტულ მოცემულობად ჩავთვლით, ესენი ძირითადად უნდა ყოფილიყვნენ ბისო - ხახმატისა და, უფრო, ლიქოკის თემის მკვიდრნი, მეორე მხრივ კი ფშავის არაგვის ხეობის სილრმები მცხოვრები მოსახლეობა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ „ჯვარიონნი“, რომელნიც რელიგიური მისით და რეგულარულად გადადი-

ოდნენ თუშეთში, გადმოცემით, მიემგზავრებოდნენ ხახმატისა და კარატის ჯვრების სიწმინდეების თანხლებით. თუშეთში დარჩენილთა უმრავლესობა ლიქოკელები უნდა ყოფილიყვნენ იმიტომ, რომ ტერიტორიულად ლიქოკის ხეობა ბორბალოს რაიონში თუშეთს მიუდგება, რაც ხელსაყრელ გარემოებას ქმნიდა, რათა განსაცდელს სწრაფად გასცლოდნენ. ამ ვარაუდის განსამტკიცებლად ისიც მეტყველებს, რომ ხევსურებსა და ქისტებს შორის გამართულ უთანასწორო ბრძოლაში, რომელიც ბორბალოს მთის მახლობლად, „ნაროვანზე“ მოხდა, სწორედ ლიქოკელები, კარატის ჯვარის ყმები ყოფილან ხახონ ხახიკაურის წინამძღვრობით (შ. არაბული, „ნარჩევი ხევსურები“). ეს ხევსურები თუშეთში მცხოვრები თავისიანების „დასამწყალობლებლად“ იყვნენ გადასულნი და იქიდან ბრუნდებოდნენ. ლიქოკელივე ყოფილა აპა ჩალხურიც, თავისი თემის ლაშქრით ფშავლებთან და დანარჩენ ხევსურებთან ერთად თუშეთში ფარსმის დასაცავად რომ გადასულა და თავიც უსახელებია და ა. შ. (იქვე). ლიქოკელთა ასეთი თავგამოდება თუშების მიმართ შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ყველა - ყველა და, ერთი ჩვენამდე მოღწეული ტრადიციაც ადასტურებს თუშ - ხევსურთა ოდინდელ ერთობას. საქმე ეხება ტრაგიკულად გარდაცვლილი პირის სულის „დახსნას“ კარატის ჯვარის დროშის შემწეობით (ზ. კიკნაძე, „ანდრეზები“, გვ. 382). ამ მიზნით ხევსურეთში (ლიქოკში, კარატეში) საქართველოს მთის არც ერთი კუთხიდან არ მიღიან და რომც მივიდნენ, არავინ გაჟყვება, თუ მიკვალებული ხევსურული წარმოშობისა არ არის. ამ წესის დასაყენებლად მხოლოდ სურვილი არ კმარა. მისი ალსრულება მყარად ჩამოსხმული რიტუალის თანხლებით ხდება. ეს ყველაფერი მიცვალებულის სულის ეშმაკეულისაგან დახსნის მიზნით კეთდება, რაც მოსდევს ზვავის, წყლის და ა. შ. მიზეზით დამდგარ ტრაგიკულ სიკვდილს. ამ მისით ლიქოკის ჯვარის თუშეთში „ვლევა“ მრავლისმეტყველი და საინტერესო ფაქტია.

ერთიც უნდა შევნიშნოთ: ცნობილია, რომ „ნამყოფლავზე“ დამკვიდრებული ახალმოსახლენი სახატე ან საადგილმამული ბეგარას იხდიდნენ. ჰქონდა თუ არა ამას ადგილი თუ-

შეთში, და სთხოვდნენ თუ არა ასეთი სახის გადასახადს ხევ-სურებს? ამის მაგალითები ჩვენთვის უცნობია.

ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვას აღვიდეთ.

ქრისტიანობაზე უარი თქვა მირიან მეფის სიძე ფეროზ-მაც ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მცხეთაში მასიური ნათლობა ჩატარდა. გულში ჩარჩენილი ეს აღმოაჩნდა მირიანს და, აი, როგორც კი მისთვის ხელსაყრელი „ტაროსი“ ჩამოდგა, სიძის წინააღმდეგაც მახვილის გაშიშვლება დააპირა.

ასეთი ხასიათი თუ ჰქონდა მირიანს - ვისგანაც წყენა და გაუგონრობა ახსოვდა, არაფერს შეარჩენდა და საჭირო დროს მრისხანე მზერას მისკენ მიმართავდა. იმ დროს რანში მყოფი ფეროზი და სპარსი მისნი იოლად გადარჩენენ. ეს იქნებ „მთეულთა“ უნებლიე „დამსახურებაც“ იყოს. მათ რომ ქედი მოეხარათ, კარგი დღე იქნებ არც ფეროზს დასდგომოდა...

ქრისტიანობაზე უარი თქვეს აგრეთვე „ჰურიათა მცხე-თელთა“, მაგრამ მათ ზოგი გასაგები და ზოგი გაუგებარი მიზეზის გამო, ეპატიათ, ეპატია ფეროზსაც და „ერსაც მისსა“.

და არ ეპატია ფხოველთ, წილკუნელთ, ჭართალელთა და გუდამაყრელთ.

ხოლო როცა „გაგზავნა ბრძანება მირიან მეფემან ყოველთა თანა ერისთავთა, სპასალართა და ყოველთა პირთა სამეფოსათა მოწოდებად წინაშე მისსა“ (ქც,I,116), „მთიულთა კავკასიანთა“ ყურიც არ შეიძერტყეს. ეს თუ ჰქონდა ჩადებული გულში მეფეს, თორემ სხვა, აბა, რითი უნდა განერისხებინათ ასერიგად ხელისუფალი?!?

წმინდა წინომ, მოაქცივნა რა ერწო-თიანელნი, რანს წასვლა გადაწყვიტა ქრისტიანობის საქადაგებლად. რანი კი სწორედ მეფის სიძეს - ფეროზს-ეპყრა, მაგრამ მოციქულთასწორი ამ დროს გარდაიცვალა და ფეროზის გაქრისტიანების საქმეც გაურკვეველი ვადით გადაიდო; თუმცა მან მოგვიანებით, ბაქარ მირიანის ძის დროს, მაინც მიიღო ქრისტიანობა. როგორც ჩანს, ეს ამბავი მშვიდობიანად, სომეხთა ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე მომხდარა. აი, მაშინ კი, რანს რომ ეღირებოდა, ეტყობა, არც ერისთავი ვინმე იახლა წმ. წინომ და არც ჯარი - ახსოვდა რა მთიელთა თავზე დატეხილი უბედურება. ყოველ შემთხვევაში, „მოქცევიდან“

ასეთი რამ არ გამოსჭვივის. ჩანს, ახლა უკვე ოდენ „სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა“ ეპირებოდა მისის აღსრულებას.

\* \* \*

ფხოვი, მართალია, არ ხსენდება მირიანის სიჭაბუკის-დროინდელი ლაშქრობების მარშრუტებში, მაგრამ ისე უტრიალებდა გარშემო, ისე არ იქნებოდა, ბრჭყალი მისთვისაც არ გაეკრა. საქართველოს სამეფოსთვის (არამარტო) მაშინ უმთავრეს საშიშროებას დიდი და ძლიერი ჩრდილოელი მეზობელი წარმოადგენდა - ხაზარეთი. მირიანი სპარსელთა დახმარებით ჯერჯერობით აოკებს ხაზართა მონოლას. მდგომარეობას კი ისიც ართულებდა, რომ კავკასიელი მეზობლებიც მირიანის წინააღმდეგ გამოდიოდნენ: „ოდესმე გაუდგიან მირიანს ლეკნი და გამოიყვანიან ... ხაზარნი თანაშემწედ მათდა“, ხოლო „ოდესმე დურძუკუთა და დიდოთა მოირთნიან და გამოიყვანიან ხაზარნი“ (ქც.I,66). გამოდის, რომ „ოდესმე“ კავკასიელი მთიელები იბერთა წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ. ამ დროს ფხოვი მთლად პირნათელიც არ უნდა ყოფილიყო მირიან მეფის წინაშე. მათ შორის მკაფიოდ გამოხატული კონფლიქტი რომ ყოფილიყო, მემატიანე ჩრდილოელ ტომებთან ერთად ფხოვსაც მოიხსენიებდა. მათთან მირიანს, როგორც ჩანს, ხშირად უწევდა შებმა „და ყოვლადვე მირიან სძლის. და ესრეთ მრავალგზის გარდაიხადა წყობა ხაზართა“ (იქვე). მიუხედავად ამ წარმატებული ლაშქრობებისა, ამ დროს ფხოველთა პოზიცია უმნიშვნელო არ უნდა ყოფილიყო. ისინი შესაძლოა რაღაცნაირი ფორმით ეხმარებოდნენ ან თანაუგრძნობდნენ მაინც თავიანთ მეზობლებს. აღბათ ასე იყო, თორემ მირიანი მოგვიანებით თავს რატომ გამოიდებდა - მაინცდამაინც „იძულებით მახვილითა“ უნდა მოვაქციო მთიელებიო. მთიელებში კი აქ არა მარტო თანამედროვე ფშავ-ხევსურეთი, არამედ მთიულეთ-გუდამაყარი და უფრო მეტიც იგულისხმებოდა. ეს კი ნამდვილად ანგარიშგასაწევი ძალა იყო. უცნაურია, რომ ასეთ სიტუაციაში ხსენებაც კი არ არის ხევისა (წანარეთისა) და ეს მაშინ, როცა

დარიალის გასასვლელი, რომ იტყვიან, ჰაერივით სჭირდებოდა მირიანს. თავად თუ ვერ იღაშქრებდა ამ გზით, ხაზართათვის მაინც საიმედოდ უნდა ყოფილიყო გადაკეტილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხევს სწორედ ეს ფუნქცია ეკისრებოდა და თავსაც კარგად ართმევდა, რადგან მირიანის დროს დარიალის გზით ხაზართა შემოსვლას საქართველოში „ქართლის ცხოვრება“ არ აფიქსირებს. პირიქით - სულ დარუბანდში უწევს ლაშქრობა მირიანს, „რამეთუ მოვიდიან ხაზარნი და მოადგიან დარუბანდს“ (იქვე). ასე, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ხევში პრობლემები არ უნდა ჰქონოდა.

მთიელები მირიანს აშკარად არ მოსდიან თვალში, ამას კი თავისი მიზეზი უნდა ჰქონდეს. კიდევ ერთხელ დავსვამთ კითხვას და ვიტყვით: აბა, ისე რაში დასჭირდებოდა ხელში მახვილის აღება? ასეთი ნაბიჯი მას არც მანამდე და არც იმის შემდეგ თავის სამეფოში აღარ გადაუდგამს. „მოქცევა“ კი ამ მიზეზის გამო დუმს. ვარაუდით მხოლოდ და მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მთის კუთხები სამეფო ხელისუფლებას ეურჩებოდნენ, სრული მორჩილების უღელს არ იდგამდნენ. სამეფო კარიც, ჩრდილოეთთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე, გადამჭრელი ზომების მიღებას დრომდე საჭიროდ არ თვლიდა, თუმცადა, უნდა ითქვას, რომ საამისო ძალა შესწევდა. ის „დრო“ როცა მოვიდა, ეს მაშინვე კარგად გამოჩნდა. მირიანმა მთიელთა მორჩილებაში მოსაყვანად მართლაც ხელსაყრელი დრო შეარჩია: ახალი რელიგიის ქადაგება მისთვის პოლიტიკურ ზრახვათა აღსრულების საბაბი იყო, ხოლო წმ. ნინოსთვის - ცხოვრებისეული მრნამსი.

საინტერესო კი ისიც არის, რომ შერისხულთა შორის აღმოჩნდა თვით მეფის სიძე და მისთვის ამოღებული ხმალი - ფეროზი. მას ქართველთა ერთი რჯული უკვე მიღებული ჰქონდა და ახლა სიმამრი პირველის სანაცვლოდ მეორეს სთავაზობდა. იმ მდგომარეობაში, რაშიც მაშინ საქართველოს სამეფო იმყოფებოდა, ფეროზის წინააღმდეგ იარაღის ძალით მოქმედება იმ ტოტის მოჭრას ნიშნავდა, რომელზეც თვითონ იჯდა. გარდა ზემოთ მოყვანილი მიზეზისა, ქვეყანაში ქრისტიანობის ისედაც საყოველთაოდ გავრცელების გამოც, მკაცრი ზომებით მოქმედება, ჩანს, საჭირო აღარ გამხდარა. არადა ფეროზის საერისთაოც საკმარისად ანგარიშ-

გასაწევი ძალა იყო - „ ხუნანითგან ბარდავამდე, მტკუარსა ორივე კერძი“.

ჩვენი აზრით, აქ მუქარა და იქ ძალისმიერი მეთოდებით მოქმედება იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქვეყნის შიგნით სამეფო ხელისუფლებას გარკვეული სახის პრობლემები ჰქონდა, რომელთა მოწესრიგებასაც მანამდე ხელისუფალი ლიად ვერ ბედავდა. ნინააღმდეგ შემთხვევაში მისიონერულ მოძრაობას არ ამოეფარებოდა და არც ხარქს დაუმძიმებდა იმათ, რომელიც „არა მოიქცეს“.

საბოლოოდ კი გამოდის, რომ მეფე მირიანის მიზეზით მისიონერული „დელეგაციის“ მსვლელობამ მთიელთა „ქვეყანაში“ ლამის (ლამის, ვიმეორებთ) კრახი განიცადა. ამის შედეგი თუ იყო ის, რომ წმ. ნინო „ნარემართა წარსლვად რახს, მოქცევად ფეროზისა“ (ქც, I, 126), ოღონდ ახლა უკვე ერისთავის გარეშე. ერისთავი (და, მამასადამე, ლაშქარიც) რომ ხლებოდა, აქაც აღნიშნავდა მემატიანე, თუკი ზემოთ აღნიშნა.

კრახი კი იმიტომ, რომ მხოლოდ ერწო-თიანელნი მოაქციეს, ხოლო „მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცნეს“. ნინააღმდეგ შემთხვევაში აბიბოს ნეკრესელის ძალისხმევაც საჭირო აღარ იქნებოდა, თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, იმ „უმრავლესთაგან“ ბევრი თვით აბიბოსმაც კი ვერ მოაქცია.

ფხოველებმა კი (მათმა ანგარიშგასაწევმა ნაწილმა) უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს: არც ხარკი დაიდევს და არც „ შეინყნარეს და ნათელ - იღეს“, არამედ „დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“ (ქც, I, 126). როგორც ჩანს, სამეფო ლაშქრის სისასტიკე ველარც სასულიერო პირებმა შეაკავეს, თორემ მსგავსი რამ - ხალხი, ტომი რომ თავისი სამოსახლოდან მასიურად აიყაროს და ხელისუფლების შიშით სხვაგან გადაიხვენოს, კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, გარდა უცხოტომელი დამპყრობლებისა, საქართველოში ალბათ სხვა არცერთ ხელისუფალს არ ჩაუდენია და არც უცხო რელიგიის მიღება ვინმეს დაუძალებია ქვეყნის შიგნით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველივე ამას თავადაც სასულიერო პირი მოგვითხრობს, უნდა ვიფიქროთ, რომ სინამდვილეში მოვლენებს გაცილებით დრამატული ხასიათი ექნებოდა. მთიელთა განწყობილება და პოზიცია ახალი, გაცილებით პროგრესული და

ჰუმანური, მაგრამ მაინც უცხო რელიგიის მიმართ ისეთი ურყევი და გამძლე აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ აბიბოს ნეკრესელმაც კი ვერ მიაღწია ბოლომდე მიზანს: „რომელიმე უკანასკნელ მოაქცივნა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოს-მან და რომელიმე მათგანი დარჩეს წარმართობასავე შინა დღეს აქამომდეო“, - მოგვითხრობს XI ს. ისტორიკოსი.

„მოქცევაში“ „ფხოელთა“ ნაცვლად „ყუარელნი“ იხსენიება. ეს იმ ეპიზოდს შეეხება, სადაც ფხოველთა გაქრისტიანებაზე და თუშეთში გადასვლაზეა ლაპარაკი. მკვლევარი თ. პაპუაშვილი „ყუარის“ ლოკალიზაციას უფრო ივრის სათავეებთან ახდენს (თ. პაპუაშვილი, „რანთა და კახთა სამეფო“, გვ. 71). უნდა შევნიშნოთ, რომ ყვარა (მოხეურად - ყორა) ხევშიც არსებობს, საქმაოდ ვრცელი ხეობაა, და არსებობს ხევსურეთშიც. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გარდა „მოქცევაისა“ „ყუარას“ ხსენებას სხვა ისტორიულ ნყაროებში აღარ ვხვდებით და ტრადიციაც ხსენებულ ეპიზოდში ყოველთვის ფხოვს გულისხმობს; ასეა თვით სასულიერო ლიტერატურაშიც კი (მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“).

მირიანის ძეს, ბაქარს, კავკასიის მთიანეთში მოქცევია ის ხალხიც, რომლებიც ვერ მოაქცია მამამისმა. საერთოდაც „ქართლის ცხოვრების“ ის პასაუი, სადაც ბაქარ მირიანის ძეზეა ლაპარაკი, თითქმის მთლიანად სარწმუნოებისადმი თავგამოდებას შეეხება. პირველსავე სტრიქონში საგანგებოდაა ხაზგასმული: „ამან მოაქცივნა უმრავლესნი კავკასიანი, რომელი ვერ მოექცივნეს მამასა მისა“ (ქც,I, 130). გარდა ამისა, მან შეძლო „დისიძის“ - ფეროზის მოქცევაც, რისთვისაც მას რანში გაუცვალა ვრცელი მამულები სამხრეთ საქართველოში, ალბათ საკუთარი ინტერესების საზიანოდ იმდენად, რამდენადაც ეს იძულებითია ან სამაგიერო ნაბიჯი უნდა ყოფილიყო.

ფეროზთან ერთად ქრისტიანობა მიიღო „ერმან მისმან“, თავად კი უდიდესი ღვანლი დასდო ახალი სარწმუნოების განმტკიცებას, თავადვე იყო მაგალითის მიმცემი რწმენითაც და საქმითაც.

ტერმინი „კავკასიანი“ კი, როგორც ითქვა, უმთავრესად იმიერკავკასიელ ტომებს გულისხმობდა და, ზემოთქმულს რომ მივუპრუნდეთ, გარკვევითა აქვს წათქვამი ლეონტი მროველს თუ ვინ ვერ მოაქცია მირიანმა. მირიანსა და ბაქარს კავკასიონს მიღმა ხელი არ მიუწვდებოდათ. აქ, ამ შემთხვევაში, ხევი და თუშეთი არ უნდა იგულისხმებოდეს. ერთადერთი პროვინცია, რომელიც მოსაქცევი იყო დარჩენილი, უნდა ყოიფილიყო ფხოვი. არადა მაშინ ხომ შეიძლებოდა, პირდაპირ ფხოვი ჩაეწერა მემატიანეს? ვითომ მცდარ ინფორმაციასთან უნდა გვქონდეს საქმე?

ასე, რომ არაგვზე და მის აღმოსავლეთით რელიგიური საკითხი გადაჭრილია: ფეროზთანაც ყველაფერი რიგზეა, ასევეა ერწო-თიანეთში, მოქცეულნი უნდა იყვნენ ჭართალელნი და გუდამაყრელნიც, რაკილა ჯუანშერი გვარწმუნებს, აბიბოს ნეკრესელმაო „მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნი“, მხოლოდ ფხოვლენი ვერ შელევიან წარმართობას.

აბიბოს ნეკრესელის საგანმანათლებლო ღვანლს ჯუანშერი უფრო სხვა რაკურსიდან გვაჩვენებს, რაკი წერს, რომ ეპისკოპოსმა აბიბოს ნეკრესელმა „მოაქცივნა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნიო“. გამოდის, რომ მირიანის დროს უმცირესნი მოუქცევიათ და ეს ასეც იყო. ამის შესახებ ლეონტი მროველი უფრო კონკრეტულია და აქაც, ჯუანშერთანაც, არაგვის აღმოსავლეთში აღბათ ერწო - თიანეთი იგულისხმება.

როგორც ჩანს, ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ძნელად მიიკვლევდა გზას და ეს საკითხი ქვეყნის ხელისუფალთა დღის წესრგიდან არა და არ ამოდიოდა.

შემდეგი მეფე, რომელმაც წარმართობაზე დარჩენილი მთიელების გაქრისტიანება მოინალინა, იყო დაჩი - ძე ვახტანგ გორგასალისა, ანუ მეფისა, რომელმაც უდიდესი ღვანლი დასდო ქრისტიანობის განმტკიცებას საქართველოში. ასეთ ვითარებაში აღზრდილი და თავადაც ბევრის მხილველი დაჩი გულგრილი ვერ დარჩებოდა იმ საკითხის მიმართ, რომლისთვისაც მისმა მამამ, აღბათ, ვერ მოიცა-

ლა. „მეფემან დაჩი დაპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არა ინებეს და განდგეს ყოველნი ნოპატელნი“ (ქც,I,205).

განდგეს და დაჩის მცდელობაც ეტყობა ამით ამონ-წურა, მირიან მეფის „მეთოდის“ გამოყენებისაგან თავი შეიკავა. მარტოდენ „დაპატიჟებით“ კი მთის ზონის მოსახლეობა სისხლში გამჯდარი ტრადიციული რელიგიის დატოვებას არ აპირებდა. „კახეთის მთეულთა“ რიცხვში კი, გარდა ჩრდილოეავეკასიელებისა, ახლა თუშეთიც უნდა ვივარაუდოთ, მხარე, რომელიც მტერთაგანაც და მოყვარეთაგანაც ერთნაირად შეუვალი იყო და სადაც თავს აფარებდნენ ლტოლვილი ფხოველები.

მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ წარმართი მოსახლეობის იძულებით მოქცევის პრეცედენტი მირიან მეფის შემდეგ საქართველოში აღარ ყოფილა. წმინდა ნინო კი ურჩევდა და მიუთითებდა: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩუუნოთ გზა ჭეშმარიტიო“, მაგრამ საქართველოს მეფეები ზოგჯერ მაინც ძალადობის გზას ირჩევდნენ. ასე დაუინებით, ალბათ, იმიტომ მოქმედებდნენ, რომ ქვეყნის ერთი რელიგიური მრნამსის ქვეშ მოქცევა მეფის ხელისუფლების იურისდიქციის გაფართოებასაც ნიშნავდა. სხვათა შორის, ასეთი საქციელი არც ისეთ მეფეთათვის ყოფილა უცხო, შემდეგ რომ ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა. აღმოსავლეთ კავკასიონის ამიერ და იმიერ მცხოვრები მოსახლეობისთვის ქრისტიანობის მიღება საკმაოდ დიდხანს გაიწელა და, შეიძლება ითქვას, ჩვენს დრომდეც კი მოალწია. ამ შემთხვევაში მხედველობაში მისაღები ხევსურეთი და თუშეთი უფროა. აღმოსავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთით ქრისტიანობამ საბოლოოდ კრახი განიცადა. თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ხევსურეთში, თუნდაც, აგერ, XIX ს. მეორე ნახევარში, ვაჟა - ფშაველას ეთნოგრაფიული წერილებიდანაც კარგად ჩანს. ქრისტიანობისადმი პასიურ ან ფორმალურ დამოკიდებულებას თუშ - ფშავ - ხევსურეთში, ერთ მხრივ, რელიგიის მესვეურთა დაუდევრობა განაპირობებდა (რბილად რომ ვთქვათ), მეორე მხრივ კი

ადგილობრივი კულტმსახურების ძლიერი ინსტიტუტი, რომელიც აშკარად ჩრდილავდა ქრისტიან მღვდელმსახურთა გავლენას.

XX ულმერთობის საუკუნე იყო და საქართველოში (არა-მარტო) ყველას ერთნაირად უჭირდა. XXI საუკუნის გარიურაჟზე კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა: ნაცად ქადაგ - ხუცესთა „იალში“ შესვლამ და შევსების მიუღებლობამ, რაც გახდა შედეგი თანამედროვე ფხოვის ლამის - ლამის გაუკაცრიელებისა, ბარად ჩამდგარი ახალგაზრდობა ყოველგვარი მახვილის გარეშე შეაბრუნა ეკლესისაკენ. ასეთი საერთო განწყობილების ფონზე, მთამი უკვე სხვა პრობლემამაც იჩინა თავი - ფშავ - ხევსურეთში (განსაკუთრებით ამ უკანასკნელში) არ აღმოჩნდა ეკლესიები, სადაც ერი და ბერი ღვთისმსახურებას აღასრულებდა. არის შემთხვევები, როცა ხალხი ითხოვს ეკლესიას (ფართო გაგებით), მაგრამ არ ჩანს ამშენებელი, რადგან იგი, შავანი სასულიერო პირის სიტყვებით რომ ვთქვათ, რენტაბელური ვერ იქნება! თუმცა ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ ერთს: აქამდე კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ახლა მეტვება, რომ საქმეს ან ერმა უშველოს, ან - ბერმა, ან კიდევ ორივემ ერთად. XX ს. მეორე ნახევრის საქართველოს ყველაზე დიდი ტრაგედია მთის დაცლა იყო. რა ხდებოდა და როგორი მდგომარეობა იყო ამ მხრივ საუკუნეთა სილრმეებში? მივყეთ ჩვენს მემატიანეთა თხზულებებში დაცულ ძუნნ ცნობებს და შევეცადოთ სურათის აღდგენას.

დაჩის არ იყოს, არჩილმაც დაინდო მთიელები და ქრისტიანობაზე სიტყვა აღარ ჩამოუგდო; იმ არჩილმა, არა-ბებმა რომ ანამეს მოგვიანებით, სარწმუნოების გამოცვლაზე რომ თქვა უარი და წამებულის ეკლის გვირგვინით რომ შეიმოსა. შემდეგ კიდევ წუქეთს რომ ჩავიდა იქაური საქმეების მოსაწესრიგებლად და ციხე-ქალაქი ნუხპატი აღაშენა აღმოსავლეთის საზღვრების გასამაგრებლად, მურვან ყრუსაგან ისედაც განახევრებული ნუხპატელნი, რომელნიც „უნინარეს იყვნეს კაცნი წარმართნი და მხეცის ბუნებისანი... იძულებით მონათლნა“ ( ქც, I,244 ).

წარმართთა „შემკობა“ ლეონტი მროველსაც ეხერხება და ჯუანშერსაც - მხეცის ბუნებისანიო, თუმცა, ეგ იქით იყოს და, იქვეა ერთი ცნობაც, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ „მთეულნი“ არც VII - VIII საუკუნეებში გაქრისტიანებულან, მაგრამ ერისთავის სახელოში კი ყოფილან მოქცეულნი: „და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზე-და და ყოველთა წარმართთა მის მთისათა, სახელით აბუხუ-ასრო“ (ქც.I,243).

აქ ისე გამოდის, რომ თუშეთი და ხუნძეთი ხომ თავის-თავად და მთის დანარჩენი ტომებიც კვლავ წარმართები ყოფილან. ამათში კი უპირველესად ფხოველები უნდა ვიგულისხმოთ. იქითაც მიმართავდა მზერას არჩილი ნუხპატელთა მოქცევის შემდეგ, მაგრამ არაბობისაგან სისხლგამომ-შრალ ქვეყანას შინაური ომი აღარ ეჭირვებოდა და ეგეც არ იყოს, ფხოვი, დიდოეთი, თუშეთი, ხუნძეთი... აქ წარმატების მისაღწევად სერიოზული ძალა იქნებოდა საჭირო და ექნებოდა კი არჩილს ამის საშუალება? საეჭვოა.

რაც შეეხება ჩრდილოელ ტომებს (ხუნძეთი, დიდოეთი), ქართველი მეფეები მათ თავიანთ ქვეშევრდომებად რომ მო-იაზრებდნენ, ზემოხსენებული აბუხოსროს ეპიზოდიდანაც კარგად ჩანს.

\* \* \*

### აგერ უკვე VI საუკუნეა.

ზათქითა და ზრიალით ჩაუვლია V საუკუნის მეორე ნახევარს, ძლევამოსილი მეფის - ვახტანგ გორგასლის ეპოქას.

ახლა ტახტზე ძე ვახტანგისა - დაჩი ზის. მამამისმა ვე-რა და ვერ მოიცალა ფხოვისთვის. მოიცალა არანაკლებ ლვანლმოსილმა მეფე მირიანმა, მოიცალა მისმა ძემ - ბაქარ-მა. ამან ვერ მოიცალა. ქვეყნის ოთხივ კუთხით იქნევდა ხმალს და ვერ მოიცალა. ადმინისტრაციულ ერთეულებადაც დაჰყო სამეფო, მაგრამ იქ ფხოვი არსად ჩანს, არც სხვა „კავ-კასიანი“. ვითომ კახეთ - კუხეთში იგულისხმებოდნენ? - ფხოვი მეეჭვება.

რომელი მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ, აშკარაა, ფხოვს დამოუკიდებლად უჭირავს თავი; ყოველ შემთხვევაში - დისტანცირებულია სამეფო კარისაგან. მისი ასეთი ყოფა საუკუნეების მანძილზე გაგრძელდა, მეტ-ნაკლები წარმატებით, მაგრამ მაინც. ეს შეიძლება ერთგვარ უცნაურობადაც კი აღიქმებოდეს, რაკილა არვის რას ედავებოდა, აქტიურად არ ჩნდებოდა. არადა თუ შემდეგდროინდელ მოვლენებსაც კარგად გავაანალიზებთ, ასეთი ვარაუდი უფრო და უფრო თვალშისაცემი გახდება.

აქეთ კიდევ, ვისაც მიესვლებოდა, გაჭირვების უამს მაინც მთას მიაკითხავდა

ჯერ კიდევ როდის, სუმბატ ბივრიტიანი რომ მოადგა ქართლს უფლისწულ ზარენის გამოსახსნელად, „მაშინ მეფე-თა ქართლისათა უბრძანეს ქუეყანასა მათსა შელტოლვა ციხეთა და ქალაქთა და მთეულეთთა განამაგრნეს ციხენი და ქალაქენი“ (ქც, I, 49).

მოყოლებული აქედან „ქართლის ცხოვრების“ ავტორები მრავალგზის მოიხსენიებენ მთას, როგორც ბარის მოსახლეობის საიმედო სახიზნარს. ეს ფუნქცია საქართველოს მთამ XX საუკუნეშიც კი შეინარჩუნა.

ვახტანგ გორგასალი რომ ვახტანგ გორგასალია, იმასაც კი დასჭირვებია ხალხის გასახიზნად მთა. მისი ძე დაჩიც აღმოჩენილა ასეთ არასახარბიერლო სიტუაციაში ყრმობისას და ვინ იცის, ყმაწვილის მეხსიერებამ რა თანაგრძნობის სითბო შემოინახა. ძნელია სთქვა, თუ სხვას რას უნდა მიეწერებოდეს მეფე დაჩის ერთჯერადი და უაღრესად მშვიდობიანი მცდელობა მთიელთა მოქცევისა. ქვეყნის წარსული მას ამ მხრივ მეტად კონტრასტულ ფონს სთავაზობდა, იმან კი მხოლოდ „დაპეატიუა მთეულთა“ ქრისტიანობაზე. ხოლო მათ „არა ინებეს“ და მეტად აღარც შეუწუხებია ისინი. თუმცა ეს იმას არაფრით არ ნიშნავს, რომ ფხოვი (ფშავ -ხევსურეთი) საერთოდ ქრისტიანიზმის მიღმა დარჩა. პირიქით, იქ გასული საუკუნის 80-90 -იან წლებში მკვლევარების გ. გოგოჭურისა და გ. რჩეულიშვილის მიერ ჩატარებულმა საძიებო სამუშაოებმა სწორედ საწინააღმდეგო მტკიცებულებები წარმოაჩინა. პირველმა ხევსურეთში ჩატარა არქეოლოგიური კვლევები, მეორემ - ფშავში და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ

ქრისტიანობის გავრცელებას ფხოვში საკმაოდ სწორხაზოვანი მიმართულება ჰქონდა. ეს გამოიხატება ფხოვის ტერიტორიაზე არსებულ მრავალრიცხოვან წაეკლესიარებში, მიცვალებულის დაკრძალვის წესში, ასევე სახუცო ტექსტების შინაარსსა და იქ გამოყენებულ საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში და ა.შ.

პირველი კონფლიქტი ცენტრალურ ხელისუფლებასთან სწორედ რელიგიურ მოტივზე აღმოცენდა და, აი, მეფე დაჩის მიერ დაპატიჟება რიგით მეოთხე იყო: მეფე მირიანი, ბაქარი, აბიბოს ნეკრესელი და დაჩი. ასეთი გადაჭარბებული „ყურადღება“ ფხოვის მიმართ თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ეს პროვინცია თან ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, თან ძალიან სჭირდებოდა ხელისუფლებასა და ქვეყანას. უნდა ითქვას, რომ ამათგან რეალურ შედეგს აღბათ ბაქარმა და აბიბოს ნეკრესელმა მიაღწიეს და ეს მცდელობანი, ბოლოს და ბოლოს, წარმატებითაც დასრულდებოდა, რომ არა თამარ მეფის მხედრობის ექსპანსიონისტური ხასიათის ლაშქრობა ფხოვში.

\* \* \*

ამის შემდეგ, მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში, „ქართლის ცხოვრებაში“ ფხოვის ხსენება აღარაა. ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ჯერ არაბობის, ხოლო შემდეგ თურქობის ფონზე, ფხოვი არც არავის აგონდებოდა და არც არავის ეცალა მისთვის. თავად კი ბრჭყალი ჯერჯერობით არ გამოეჩინა...

ისიც თავისთავად იგულისხმება, რომ მასზე აღარც პოლიტიკურ და აღარც რელიგიურ ზენოლას ახორციელებდნენ; ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფხოვმა ამოისუნთქა და ამოისუნთქა მაშინ, როცა ბარი დამპყრობელთა უღელქვეშ გმინავდა. ასეთ დროს ფხოვი და, ზოგადად - მთა, ლტოლვილი მოსახლეობის თავშესაფარს წარმოადგენდა. ბარის მოსახლეობის ეს უმნეო კატეგორია მით უფრო უშიშრად და უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, რაც უფრო უდაბური და ძნელად მისადგომი იყო მათი თავშესაფარი. ამ მხრივ კი ფხოვი

სწორედაც რომ მისწრება იყო. ასეთ ვითარებაში არც მათი სიჯიუტე ვინმეს აგონდებოდა და არც მათი წარმართობა...

მაგრამ ქართულმა ფეოდალურმა არისტოკრატიამ შეძლო ძლიერი, ცენტრალიზებული მონარქიის შექმნა. ქვეყანა ძალთა კონსოლიდაციას ახდენდა და ღონეს იკრებდა, რამაც, საბოლოოდ, შედეგად ის მოიტანა, რომ ქართული სამეფო - სამთავროები ბაგრატიონთა სკიპტრის ქვეშ გაერთიანდნენ და მამულის მიწა - წყალი დამპყრობელთაგან განმინდეს. ჯერი საშინაო საქმეების დალაგებაზეც მიდგა, რაც იმას გულისხმობდა, რომ ქვეყნის ყოველი კუთხე თუ პროვინცია ერთი, ცენტრალური ხელისუფლებისაგან მართული უნდა ყოფილიყო. ეს კი, თავის მხრივ, იმას გულისხმობდა, რომ უნდა დაწყებულიყო მოსახლეობის დიფერენციაციის პროცესი, რაც თავისითავად წარმოშობდა ანტაგონიზმს. გვაროვნული წყობილებით მცხოვრებ ფხოვს კი ეს სიახლენი არაფრად ეპიტრავებოდა. ისევე, როგორც ფეოდალური დიფერენციაცია, ქრისტიანული რელიგიაც ფხოვში სუსტად იქნებოდა წარმოდგენილი, ყოველ შემთხვევაში XIII ს-მდე. აქედან კი ვითარება, განსაკუთრებით რელიგიურ სფეროში, რადიკალურად შეიცვლებოდა.

დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში შეხვდა ფხოვი დავით ალმაშენებელსა და მის მემკვიდრეებს და სამეფო კარის გავლენის ქვეშ მოქცევაც ფხოვისა, ალბათ, მათი ძალისხმევის შედეგად მოხდებოდა. კონკრეტულად როდის და რა ვითარებაში, „ქართლის ცხოვრება“ ამის შესახებაც დუმს; თუმცადა ფაქტია, რომ ეს საქმე თამარს მოგვარებული დახვდა და გარკვეულ დრომდე ფხოველთა და ხელისუფალთ ერთ ჭრექვეშ მშვიდობიანად უცხოვრიათ.

მაგრამ იმისათვის, რაც თამარის მეფობის მიწურულს მოხდა, ფხოველებს ალბათ განდგომის გარდა სხვა დანაშაულიც გაუხსენა სამეფო კარმა. საქმე იმაში გახლავთ, რომ XII ს. ბოლოს, 90 - იანი წლების დასაწყისში, თამარ მეფის წინააღმდეგ მოხდა მასშტაბური აჯანყება, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო გიორგი რუსის დაბრუნება საქართველოს სამეფო კარზე.

იმისათვის, რათა მაშინდელ ფხოვს უფრო ფართო სამზერიდან შევავლოთ თვალი, სჯობს მოკლედ გავიხსენოთ ის-

ტორიულ ლიტერატურაში ისედაც კარგად შესწავლილი ეს შეთქმულება.

სამეფო კარის საშინაო პოლიტიკით უკმაყოფილო დი-დებულებმა ერთხელ უკვე გაძევებული გიორგი რუსის პრე-ტენიები ხელზე დაიხვიეს და სამხრეთ - დასავლეთ საქართველოდან აგორებული ჯანყი თამარის სამეფო კარს წალეპვით დაემუქრა. თავად განსაჯეთ: სამხრეთი: ტაო, კლარჯეთი, შავშეთი და სამცხისა და მესხეთის ნანილი; დასავლეთი: აფხაზეთი და სვანეთი, გურია და სამეგრელო, რაჭა, თაკვერი და არგვეთი და ამათ მიმატებული „ სანიგნი და ქეშიგნი“. მთელს ამ ტერიტორიაზე ყველა დიდებულმა, „თვინიერ ივანე ციხისჯუარელისა“, მეფის წინააღმდეგ შეკრა პირი. მათ სათავეში ჩაუდგნენ გუზან ტაოელი, ბოცო სამცხის სპასალარი და ვარდან დადიანი. ამ უკანასკნელს მაინც რა რჯიდა. მას ხომ ერთი სამეფოსხელა ტერიტორია ეპყრა: „ლიხთაქით პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ - იქით ნიკოფ-სამდის უცილობელად“ (ქც, II, 49).

ეს ერთი მხარე. მეორე მხარეს კი დადგნენ: ჰერნი, კახნი, ქართლელნი, სომხითარნი და მცირე ნანილი მესხთა და სამცხელთა. გენერალიტეტს კი ომებში გამობრძმედილი სარდლები შეადგენდნენ: თორელნი, მხარგრძელნი და თვით ამირსპასალარი გამრეკელი.

აჯანყებულებმა „აღიღეს მახვილები და წათები, წარმოებანს პატრონსა ღმერთ - შემოსილსა ზედა“, ოღონდ, ალბათ ნამეტნავად დარწმუნებულნი თავიანთ ძალებში, ორად გაიყვენ და სტრატეგიული შეცდომაც აქ დაუშვეს.

ერთმა ნანილმა გადმოლახა ლიხი, აიკლო მისი მიმდგომი ქართლი და ჩამოდგა ნაჭარმაგევსა და გორს. ამათ, ეტყობა, დაკისრებული თუ თავსდებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეს და აქ დაელოდნენ ლაშქრის მეორე ნანილს. მეორე ნანილმა კი, ვარდან დადიანის სარდლობით, „ გადაიარეს რკინის- ჯუარი და ჩავიდეს ციხის- ჯუარს და დაწვეს ქალაქი ოძრხე“ ( ქც, II, 51 ), სამხრელთა ძალიც აქვე მოირთეს ბოცო სპასალარის მეთაურობით.

და აი, აქ, სადღაც ჯავახეთს, მტკვრის ხეობაში, ზედ ხიდზე შეიბნენ ამიერ და იმიერ ქართველნი, მაგრამ ვიდრე

გამარჯვების სასწორი რომელიმე მხარეს დაქანდებოდა, ღა-  
მე ჩამოდგა და გათავთავადდნენ.

აჯანყებულებმა სამხრით დაიხიეს, მიჰყვა სამეფო სპაც  
და მეორედ შეიძნენ თმოგვის გადაღმა. აქაც შეიქნა „მფეთე-  
ბანი ხრმალთანი და მხეთქელობანი ჰოროლთანი“ და სასტი-  
კად სძლიეს აჯანყებულთ. ეგ იყო, რომ „ ივანე სარგისის ძე  
დაკოდეს“. ასე რომ, ერთი აჯანყება უკვე დაიფერა ივანე  
მხარგრძელის სისხლით...

აჯანყების (თუ სამოქალაქო ომის) ბედი უკვე გადან-  
ყვეტილი იყო.

და ფხოვი? სად იყო ამ დროს ფხოვი და ვისი მხარე ეჭი-  
რა მაშინ, როცა მთელი საქართველო ერთმანეთს იყო შეხეთ-  
ებული?

აქ, აქ იყო, გორთან, ოღონდ, როგორც ყოველთვის, ხე-  
ლისუფლების მონინააღმდეგეთა ბანაკში: „ნინაძლუანვითა  
დავით მეფისა სვიანისათა, დასხმა ყვეს ქართლს მყოფთა,  
რომელთა მიერთნეს ვიეთნიმე ქართველნიცა და სიმრავლე  
ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“ (ქც, II, 53).

კი, მაგრამ, იკითხავს მავანი, აქ ფხოვის ხსენებაც რომ  
არააო?

საქმეც მაგაშია! თანაც იმ მავანს უსათუოდ ემახსოვ-  
რება ისიც, რომ ბარე ორჯერ სხვაგანაც მოვიქეცით ასე. ამი-  
ტომაც, ჩვენი ვარაუდის განსამტკიცებლად, შევეცდებით,  
მოვიხმოთ სათანადო არგუმენტაცია.

ინტერესის საგანია, იგულისხმება თუ არა ფხოვი  
(ფხოველები) „მთეულებში“, „მთიულებში“ და „კავკასიანებ-  
ში“, ოღონდ აქ ლაპარაკია „ქართლის ცხოვრების“ იმ კონ-  
კრეტულ პასაჟებზე, სადაც მოვლენები, სავარაუდოდ,  
ფხოვში ან მის გარშემო ვითარდება, თორემ იმავე ეთნონი-  
მებში სხვადასხვა დროს კავკასიის სხვა მთიელებიც იგუ-  
ლისხმებიან.

ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში ფხოვი ხსენდება ან  
იგულისხმება სავარაუდოდ ექვს შემთხვევაში. მივყვეთ ქრო-  
ნილოგიური თანმიმდევრობით: ლეონტი მროველი: „არა ნა-  
თელ იღეს მთიულთა კავკასიანთა“ (ქც, I, 116). სხვანაირად  
რომ ვთქვათ, არ მოინათლნენ კავკასიელი მთიულებიო. აქ  
რომ მთიულებზე, როგორც კონკრეტულ ეთნოსზე იყოს ლა-

პარაკი, მაშინ ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ გარდა კავკა-სიისა, მთიულები, როგორც ასეთნი, სხვაგანაც ცხოვრობდნენ, რაც აბსურდია. რა თქმა უნდა, აქ სიტყვაში „მთიულთა“ იგულისხმებიან კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ქართველი ტომები. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ მოგვიანებით მეფე მირიანმა ურჩიობისათვის მკაცრად გადაუხადა სამაგიერო სწორედ იმათ, ვინც მაშინ, პირველი „დაპატიჟებისას“ არ მოინათლა. ესენი კი იყვნენ ჭართალები, ფხოველნი, წილკანელნი და გუდამაყრელნი. ასე რომ, „მთიულობა“ აქ ფხოველებზეც ვრცელდება. მეტიც - გაუგონრობისათვის, როგორც აღვნიშნავდით, ყველაზე მეტი, ეტყობა, მათ მოხვდათ და, ალბათ, მემატიანე პირველ რიგში მთიულებში (მთიელებში) სწორედ ფხოველებს გულისხმობდა.

სხვაგან კი ლეონტი მროველი იმავე შინაარსის მატარებელ სიტყვად ხმარობს გამოთქმას - „მთეულნი“: „იძულებით მახვილითა მოვაქცივნეთ მთეულნიო“. აქ არა ჩანს მკაფიოდ, თუ კონკრეტულად ვისზეა ლაპარაკი, მაგრამ, ცოტა ქვემოთ, მეისტორიე „მთეულებს“ ზუსტად იმ თანმიმდევრობით ჩამოთვლის, როგორც ზემოთ ჩვენ ვახსენეთ და ამ სახელწოდებას ზედიზედ ორჯერ ხმარობს. ასე რომ, მემატიანე ფხოველებს „მთეულებშიც“ გულისხმობს.

იმავე ეპიზოდში გვხვდება კიდევ უფრო მეტი კონკრეტიკა: „ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გადავიდეს თუშეთს, და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცნეს“ (ქც, I,126). „სხვა მთეულნიო“, ე.ი. ეს „მთეულნი“, (ჭხადია, ფხოველნიც ყოფილან.

ბაქარ მირიანის ძემ კი მოაქცივნა „უმრავლესნი კავკა-სიანნი“, რომელნიც მამამისს ვერ მოაქცივნენ და რომდებიც უკვე დავასახელეთ ზემოთ. ჩანს, რომ ისინი უკვე უმცირესნი კავკასიანნია და მათ რიცხვშია აგრეთვე ფხოვიც. გამოდის, რომ სახელწოდება „ კავკასიანნი“ გულისხმობს აღმოსავლეთ საქართველოს იმიერ და ამიერ კუთხეებს ზოგადად და, მაშასადამე, თავად ფხოვსაც.

დაჩი ვახტანგის ძემაც „ მთეულნი კახეთისანი“ „დაპატიჟნა“ ქრისტიანობაზე და ფხოვი აქაც აუცილებლად უნდა

ვიგულისხმოთ, როგორც სარწმუნოების გამოცვლაზე ყველაზე მეტად გაჯიუტებული კუთხე.

ასე რომ, თამარ მეფის ისტორიული ფრაზაში „ სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“, როგორც მონანილენი თამარის წინააღმდეგ მოწყობილი დიდი აჯანყებისა, აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ფხოვსაც.

არადა საინტერესოა, რაღა მაინცადამაინც მთის ხალხი გადაუდგა თამარს; მთელი აღმოსავლეთი საქართველო ხომ მის მხარეზე იყო?!

დაახლოებით იგივე სიტუაცია მნიშვნელება, მირიანის დროს რომ იყო.

აჯანყებულებს „მიერთნეს ვიეთნიმე ქართველნი“. ესენი ალბათ ისინი იქნებიან, ლიხსაქეთნი, ვიდრე ნაჭარმაგევამდე და გორამდე რომ სახლობდნენ და ახლა ნებით თვისით თუ მოაჯანყეთა დაძალებით, თამარის წინააღმდეგ მოუხდათ გამოსვლა. „ ქართლის ცხოვრებაში“ არც ამ და არც ქვემორე ეპიზოდში არაფერია ნათქვამი ფხოველთა (მთეულთა) ჯანყის მიზეზების შესახებ, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ საქმე მთის ფეოდალიზაციის მტკიცნეულ პროცესთან უნდა გვქონდეს. სწორედ ასე მიიჩნევს ქართული ისტორიოგრაფიაც. შიდა პოლიტიკურ ძალისხმევას დაერთვოდა მოსახლეობის იძულებითი ქრისტიანიზაციაც. როგორც ჩანს, ფხოვში მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ ისეთი გაქანება ვერ მიიღო (განსაკუთრებით ხევსურეთში), როგორიც მთის სხვა კუთხეებში, გნებავთ აღმოსავლეთ და გნებავთ დასავლეთ საქართველოში. ის ფაქტი, რომ იქ ეკლესიები მაინც მდგარა (არქეოლოგი გ. გოგოჭური მარტო ხევსურეთში ოცამდე ძეგლს ითვლის), ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების პოსტულატად ვერ გამოდგება. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა ფშავში. მოკიდებული ადრეფეოდალური ხანიდან, იქ მრავალი ეკლესია მდგარა (ნეძისი, თვალივი, გუდრუხი, კართანა, ბზიანა, გომენარი და ა.შ.) იმ იავარქმნილი ეკლესიების ნაშთები, რომელთაც არქეოლოგები პოულობენ ფხოვის მიწაზე, სანინააღმდეგოს უფრო მკაფიოდ მეტყველებენ. მაშინ, როდესაც იქ არაქრისტიან დამპყრობელთა დამანგრეველი შემოსევების შესახებ ცნობები არა გვაქვს, ვის უნდა დაენგრია ფხოვის

მიწაზე ეკლესიები თუ არა თავად ადგილობრივ მოსახლეობას? და თუ ანგრევდნენ, ეს იმიტომ, რომ არ სჭირდებოდათ, ხოლო არ სჭირდებოდათ იმიტომ, რომ ქრისტიანობა არ მიაჩნდათ ბოლომდე „თავის“ რელიგიად.

საქართველოს ხელისუფლება და ეკლესია მშვიდობიანი თანაცხოვრების რომელიაც ეტაპზე ფხოვშიც ააშენებდა ეკლესიებს, რადგან ეს მათ ინტერესებში უფრო შედიოდა, მაგრამ ხალხში რომ ქრისტიანული სული სრულყოფილად დღემდე ვერ განსხეულდა, რომ ადგილობრივ რელიგიურ რიტუალებში ქრისტიანული მრნამსი და ტექსტები დამახინჯებულად აისახა, ეს ნიშანი უნდა იყოს იმისა, რომ იქ იქსო მაცხოვრის რელიგია მთლად უცხოც არ ყოფილა, მაგრამ მისი გრძნობისმიერი აღქმა კი ველარ მომხდარა. იქ სამოღვანეოდ არც სასულიერო პირებს გამოუდივიათ თავი და არც ხალხში აღმოჩენილა ის ფენა, რომელიც საამისო მზრუნველობას იდებდა თავს. უხეშად რომ ვთქვათ, ფხოვში ქრისტიანობა არ სჭირდებოდათ, რადგან არ ესმოდათ იგი. ფხოვურ სახუცო ტექსტებში შერეული დამახინჯებული სალვატისმეტყველო ტერმინოლოგიაც ამის დასტურია, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ჯვარს, როგორც გრაფიკულ სიმბოლოს (ტალავრის მოქარებულობა), ფხოველები ძველთაგანვე უპრობლემოდ აღიარებდნენ და თვით რელიგიურ - საკულტო ნაგებობასაც „ხატს“ კი არა, როგორც ყველგან სხვაგან, არამედ „ჯვარს“ უნდოდებდნენ. ჯვარს უნდებენ ფრინველის სახით გააზრებულ აბსტრაქციასაც, რომელიც, მათი წარმოდგენით, დაუბრკოლებლად გადაადგილდება დროსა და სივრცეში ( მტრედი, მფრინავი ცეცხლი....).

მთიელთა ფეოდალურ და ქრისტიანულ ჩარჩოში მოქცევა მათი სურვილით არ მოხდებოდა, ხოლო რასაც გაძალებენ, სწორედ ის ინვეცის პროტესტის გამძაფრებულ გრძნობასაც. გარდა ამისა, საკუთრივ ფხოვი ანგარიშგასანევ ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა, რომელიც ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრებში კი იყო მოქცეული, მაგრამ ავტონომიის ნიშნებსაც შეიცავდა.

პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად კი უნდა მიანიშნებდეს მემატიანე, რომ იმ დროს არაგვების ხეობებში განსახლებული ტომები რიცხვმრავალ და ძლიერ პერიფერიას წარმოად-

გენდნენ. თავად ჟინვალი, ეს კარიბჭე მთისა, აგრეთვე ანგა-რიშგასასაწევი დასახლებაა, „ქალაქი და ციხე“, რომელიც მან-დატურთუხუცესის სახელოში შედის, „მრავლითა მთეულე-თითაო“, შენიშნავს მემატიანე. ყოველივე ეს იმის მინიშნება უნდა იყოს, რომ იმ დროს მთა, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერი და ოონიერია და ეს გამოჩნდება კიდეც მოგვიანე-ბით. არც ესაა გასაკვირი, ასი წელია, ქვეყანამ სული მოით-ქვა, კაცნიც მომრავლდნენ და ხვასტაგნიც...

არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ახლა 1191 წელია, ქართული სახელმწიფოებრიობა ზენიტისაკენ მიემართება, ხოლო თამარის გამეფებიდან შვიდიოდე წელია გასული. სხვა იყო დავით აღმაშენებლის პოლიტიკა იმიერ და ამიერ კავკა-სიაში, სხვა - გიორგი III-ისა და თამარისა. თამარს ხელი სამ-ხრეთისა და აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა გაწვდილი და აგერ აქვე, ყურისძირში წამოყელყელავებულ ურჩ და პრეტენზი-ულ საზოგადოებრივ წარმონაქმნს ვერ აიტანდა.

მოკლედ: „ქართლის ცხოვრების“ ფონზე ფხოველთა და, საერთოდ - მთიელთა აჯანყებულთა მხარეზე დადგომის ზუსტი მიზეზის წარმოსახვა ძნელი საქმეა, მაგრამ ერთი კი ცხადია: მთა და ბარი პირიპირში ვერ მოდიან. უკეთ - აღმო-სავლეთ საქართველოს მთიელი ტომები ხელისუფალისა და ხელისუფლების შეცვლის მომხრენი ჩანან, ამიტომაც გაუვ-ლიათ ამხელა გზა და ამიტომაც ჩასულან ქართლს.

და ბოლოს: რაკილა მთიელთა აჯანყებაში ჩაბმის მიზე-ზებს ვეძებთ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამარისა და მის წინამორბედთა კარზე თუ ქვეყანაში, საერთოდ, დრო-დადრო ჯანყი ან შეთქმულება გაიელვებდა ხოლმე და როცა ჩამოდგებოდა ხოლმე ჟამი განკითხვისა თუ განკიცხვისა, შე-რისხული ამბოხნი მთაშიც მოძებნიდნენ თავშესაფარს და იოლადაც იპოვიდნენ მას. არ არის გამორიცხული, რომ სწო-რედ ისინი ჩაუდგნენ სათავეში ისედაც უკმაყოფილო მთიე-ლებს; მით უფრო, რომ გადმოცემები ადასტურებენ ხევსუ-რეთში, მაგალითად, ორბელების მოსვლისა და წასვლის ფაქტს. სოფლებიც კი იყო ასეთი გორშელმის და არხოტის თემებში - ორბეულთა. ხოლო ორბელები კი არც ისე დიდი ხნის წინ იყო რომ დააწიოკეს. ხალხური ლექსიც არის ასე-თი:

„აქით წასულნი ორბელნი  
იმერეთს წყალში გავდესა,  
იმას კი ნურავინ იტყვის -  
ვერ იყვნეს, იმით წავდესა.“

ოღონდ აქ, ამჯერად, უკვე რაღაც მიზეზით ხევსუ-  
რეთიდან ლტოლვილ ორბელებზე უნდა იყოს ლაპარაკი...

ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებასაც, რომ  
1191 წლის აჯანყებაში სამონანილეოდ მთის რეგიონიდან  
საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჩასულა ქართლში. ერ-  
თხელაც მოვახდენთ თამარის ისტორიკოსის ციტირებას: „  
დასხმა ყვეს ქართლს მყოფთა, რომელთა მიერთნეს ვიეთნი-  
მე ქართველნიცა და სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთე-  
ულობისა“. აქ ისე ჩანს, რომ კავკასიონზე მცხოვრებ ქარ-  
თველებთან ერთად არაქართველი (ან ეგებ - მაშინ ქართვე-  
ლი) ტომებიც აჯანყებულან. ამის ნიშანი უნდა იყოს ხსენება  
„ყოვლისა კავკასიისა“ ცალკე და „მთეულობისა“ ცალკე-  
ესეც ნიშანდობლივი ფაქტია. გამორიცხულია, რომ აქ ფხო-  
ვი არ იგულისხმებოდეს.

თამარ მეფის ერთგული ლაშქარი კი, დავით სოსლანის  
მეთაურობით, თავს დაესხა ქართლში დაბანაკებულ ამბოხე-  
ბულებს და „ამონწყვიდნა და გააქცივნა“.

აჯანყებამ, რომელიც საკმაოდ მასშტაბური იყო, სრუ-  
ლი ფიასკო განიცადა.

ჩამონვა ოცნლიანი დუმილი მთასა და ბარს შორის.  
ეს დუმილიც როგორ გავს მირიანის ეპოქას...

\* \* \*

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ თამარის მე-  
ფობის მიწურულს, ფხოველთა განდგომის შესახებ საუბ-  
რობს: „მათ უკუე უამთა იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა  
ფხოველთა და დიდოთა“ (ქც, II, 111).

კიდევ ერთხელ მივაქციოთ ყურადღება: „მთეულთა...  
კაცთა ფხოველთა და დიდოთაო“. აკი ამაზე ვლაპარაკობ-

დით ახლახან - „მთეული“ აქ უკვე პირდაპირაა განმარტებული, როგორც „ფხოველი“. მაშასადამე, „მთეული“ აქაც „მთიელის“ მნიშვნელობითაა ნახმარი და უფრო მეტიც - დაკონკრეტებულიც კია. მთიელი - მთიელია; არა აქვს მნიშვნელობა, კავკასიონზე ჩრდილოეთით ცხოვრობს თუ სამხრეთით; არა აქვს მნიშვნელობა, „რასმე ეშმაკს“ სცემენ თაყვანს თუ „ქრისტიანობასა იჩემებენ“ და არც იმას, ფხოველია თუ დიდო.

თანაც განზე გადგომა დაუწყიათ. ე.ი. ერთი სახელმწიფოს საზღვრებში კი ცხოვრობენ ჯერჯერობით, მაგრამ ამ საზღვრებიდან გასვლა თუ მისი იგნორირება განუზრახავთ. სხვა რა უნდა იყოს განდგომა, თუ არა მცდელობა ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნისა. ხსენებული ისტორიული თხზულების ანონიმი ავტორი ამაზე პირდაპირ ლაპარაკობს, არც ქვეტექსტები ჩანს და არც ირიბი გამონათქვამები. არაა გაძორიცხული, რომ ფხოვისა და დიდოეთის კავშირზე ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ფორმირებაც კი იგეგმებოდა რომელიმე შიდაქართული ოპოზიციური ძალების ან სულაც მტრულად განწყობილი მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან. თუმცა ამის რეალური მინიშნება ისტორიაში არსად ჩანს. თავის მხრივ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ესაა ფხოვის ძლიერების პერიოდი და მის შემადგენლობაში მეზობელი ქართველი მთიელი ტომებიც შეიძლება მოიაზრებოდნენ ისევე, როგორც დიდოეთის თანამოაზრებად მოჩანან მისი მეზობელი ტომები, უპირველესად კი - დურძუკები. კავკასიელ ტომთა ეს კონგლომერატი უთუოდ ანგარიშგასაწევი ძალა იქნებოდა და თავისი ჩანაფიქრის დაცვასაც ალბათ მოახერხებდა. ასე რომ, „მთეულთა განდგომა“ ქართული ძლევამოსილი სახელმწიფოსთვის დიდ საშიშროებას თუ არა, კაიოდენ უსიამოვნებას მაინც მოასწავებდა.

მემატიანე არას იტყვის ამ „განდგომის“ მიზეზთა შესახებ ისევე, როგორც მაშინ, როცა, მართალია, არ „გამდგარან“, მაგრამ თავიანთი პოზიცია კი, რბილად რომ ვთქვათ, მკაფიოდ დააფიქსირეს - იარაღი აისხეს და მეფე-დედოფლის მოწინააღმდეგეთა დროშის ქვეშ დადგნენ. ის აჯანყება იყო, ეს კი - განდგომა. უეჭველია, ფხოველთა პრობლემები

ამ ოცი წლის მანძილზე კი არ შემცირდა, არამედ - გაიზარდა. თამარის სამეფო კარმაც ფხოველთა გაორგულებაზე, ეტყობა, თვალი დახუჭა და წაუყრუა, მაგრამ მხედველობის არეში ყოველთვის ეყოლებოდნენ. შესაძლოა, მეფის ხელისუფლება სიტუაციას დინჯად და გულმოდგინედაც სწავლობდა. ეს რომ ასე იყო, გადამწყვეტ მომენტში გახდა საცნაური.

თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ ფხოველთა აჯანყებისა და განდგომის (პრინციპულად განსხვავებული ცნებებია) მიზეზებზე მეისტორიე საქვოდ დუმს. ეს დუმილი კი იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ხელისუფლების მიერ პერიფერიებში გატარებული პოლიტიკა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს იწვევდა, მაგრამ ისტორიკოსმა, რომელიც თამარ მეფის აპოლოგეტად გვევლინება, სიმართლის თქმას დუმილი არჩია.

ერთი რამ ცხადია: თამარის სამოხელეო აპარატი ფხოველებზე გარკვეული (უფრო - გაურკვეველი) სახის ზენოლას ახორციელებდა, რის გამოც ფხოველებმა ჩათვალეს, რომ ასეთი ხელისუფლება მათ არაფერმი სჭირდებოდათ...

და ხალისნაჭამნიც იქნებოდნენ, რაკილა ამბოხების პირველი, მაგრამ უშედეგო ცდა ხახვივით შერჩათ.

„ისტორიანის...“ ავტორი იქვე, საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის, ორივე გამდგარი კავკასიელი ტოშის მოკლე დახასიათებას იძლევა და ამას ისე აკეთებს, რომ იმავე მკითხველის თვალში თან ფხოველნი და დიდონი ნარმოაჩინოს უარყოფით ასპექტში, თანაც შემდეგში სამეფო ლაშქრის სასტიკი მოქმედების გამართლება მოახდინოს. აქ, ცხადია, ობიექტური და მიუკერძოებელი მემატიანე, სწორედ აქ ჩანერდა ფხოვისა და დიდოეთის დაწიოკების ნამდვილ მიზეზებს. ირიბად მოუპარმა მემატიანემ კი ლამისაა ასეთ „მიზეზებად“ მიითვალოს ის, რომ დიდოები „მშთვართა და უხარშავსა ჭამენ და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მოიყვანებენ ცოლადო, ზოგნი „ეშმაკსა თაყუაზის-ცემენ“, ხოლო „ზოგნი უნიშნოსა შავსა ძალლსაო“ (ქც, II, 111). ფხოველთა საქმე უფრო მსუბუქადაა, მათ მხოლოდ ის „ბრალდებათ“, რომ „ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ“ (იქვე).

ეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა ჩვენთვის. ჯვარის მსახურნიაო. ჯვარი და ქრისტიანობა რას გაუყვია! ერთი შეხედვით დამაბნეველი ცნობაა. თუკი ჯვარს ემსახურებიან, ქრისტიანობის „დაჩემება“ რაღა შუაშია? რაში და ეს შეიძლება უნიკალური ცნობაც კია იმ მხრივ, რომ ისტორიულ წყაროში პირველად დასტურდება ფხოვური სალოცავი იმ სახელწოდებით, რასაც დღესაც კი უხმობენ ხევსურეთში - „ჯვარი“. არა „ხატი“ და „ხატება“, როგორც ყველგან სხვაგან და როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, არამედ - „ჯვარი“. ეს საინტერესო ცნობაა და უფრო ღრმა წიაღსვლასაც მოითხოვს. ამჯერად კი მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ მაშინ, როცა საქართველოში ქრისტიანული რელიგია და არქიტექტურა ყვაოდა, მის ერთ პროვინციაში „ჯვარი“ („ჯვარი“), როგორც სარიტუალო ნაგებობა, სულაც არ ნიშნავდა ქრისტეს სახლს კლასიკური გაგებით. როგორც ჩანს, ფხოველთა (არამარტო) საკულტმსახურო ცენტრების ჯვარობით მოხსენიება ძველ საქართველოში ჩვეულებრიობას ნარმოადგენდა და და ოფიციალურადაც მიღებული იყო. ახლა ზოგს ეს ცნობა მემატიანის ლაფსუსადაც კი მეიძღება მოეჩვენოს, არადა ზუსტი ცნობაა და ერთობს საინტერესოც. ყოველივე ამის შესახებ ამომწურავი შეხედულება გააჩნია ბ-ნ გ. გოგოჭურს: „ჯვარი, ქვა-ჯვრები, სტელები და ა.შ. ქრისტიანული კულტმსახურების ობიექტებია. ისინი ასრულებდნენ ეკლესიის მაგივრობას სანამ ეკლესიები აშენდებოდა... 324-325 წლებში მირიანმა კონსტანტინეპოლიდან ორგზის მოიწვია ოსტატები, რომლებსაც ჯვრები უნდა აღმართათ და ეკლესიები აეშენებინათ ქართლში. მსგავსი ჯვრები უნდა აღმართათ ფხოვშიც, საიდანაც მომდინარეობს სალოცავთა სახელდებაც. ჯვარი, „ჯვარი“ სახელწოდება გავრცელდა შემდგომში შენობა-ნაგებობებზე და ჯვარი, როგორც მონუმენტი, როგორც ქრისტიანული თაყვანისცემის ობიექტი, თვალსაწიერიდან გაქრა. ბარში ჯვრების და სტელების წინაშე კულტმსახურება წყდება მე-8-9 საუკუნეებში, მათი არსებობა აუცილებლობას აღარ წარმოადგენს, რადგანაც მათ ადგილზე აშენდა ეკლესიები. გავიხსენოთ მცხეთის ჯვრის შიგნით აღმართული ჯვარი. როგორც ჩანს, ზუსტად ამ ჯვარის თაყვანისცემას საყვედუ-

რობენ ფხოველებს, რომლის არსებობა ბარში უკვე კაი ხნის მივიწყებულია.“ (ნინამდებარე ტექსტის რედაქტირებიდან).

ჰოდა, „ისტორიანი და აზმანის...“ ავტორმა კი აშკარად დაინდო ფხოველნი, თორემ ჯერ იყო და ლეონტი მროველმა - პირუტყვებს გვანანო, ხოლო მოგვიანებით უამთააღმწერელმა - მხეცის ბუნებისანი არიანო.

ეს ისე, სხვათა შორის...

აი, „ამათ იწყეს რბევად და ხოცად და ტყუეობად, ცხადად და ღამით“ (ქც, II, 111).

საკმაოდ მძიმე ბრალდება და დანაშაულია.

ხელისუფლება ამას უკვე ვეღარ მოითმენს!..

კი, მაგრამ ვის, ვის არბევენ, ხოცავენ და ატყვევებენ, თანაც ასე მოურიდებლად და გამომწვევად - დღისითაც კი? ვის და ვინც თვალში არ მოსდით. ასეთი ტოტალური ძალადობა ჰაერიდან არ ჩამოვარდებოდა. მიზეზი, შესაძლოა, ძალიან ღრმაც, აუცილებლად ექნებოდა. ეს რბევა, სავარაუდოდ, ხელმწიფის კარის სამოხელეო აპარატის ადგილობრივ წარმომადგენლებს შეეხებოდა. არ არის გამორიცხული, რომ გაბუდაყებული ფხოველები არაგვის ხეობით დაღმა ეშვებოდნენ და იქაურ მშვიდობიან მოსახლეობას მეკობრეებად ევლინებოდნენ. ხომ შესდგა ამის პრეცედენტი მოგვიანებით მუხრანში და თქმულებაც ხომ არის იმის შესახებ, რომ ფშავევსურებს ოდესლაც ჟინვალი დაულამქრავთ, ხოლო მაშინ-დელი გიგაურების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ჟინვალის ზემოთ, ორივე არაგვის ხეობაში.

ასე იყო თუ ისე, საკუთარ ქვეყანაში მსგავს თავნებობას არცერთი ხელისუფალი არ მოითმენდა და „მოუწოდა მეფემან (თამარ) ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართალელთა, ერწო -თიანელთა“ (ქც, II, 111.).

საკმაოდ წარმომადგენლობითი ლაშქარი დამდგარა ათაბაგის საომარი დროშის ქვეშ; შვიდი პროვინციაა ჩამოთვლილი, შემდეგ რვა გახდება, დურძუკები რომ შეუერთდებიან და მეცხრე თავად ივანე მხარეგრძელი სამეფო სპით. მთელს აღმოსავლეთში სახელგანთქმული სარდალი ორიოდე

მეჯინიბის ან საჭურველთმტვირთველის ამარა ხომ არ მივიღოდა არმიაში! მასშტაბი ნათელია...

ყურადღება მივაქციოთ იმასაც, როგორი სკრუპულობური თანმიმდევრობით ჩამოთვლის მემატიანე კოალიციის შემადგენლობას, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, დვალეთიდან - თიანეთამდე.

მაშინაც, მიზეზისა და მიზნის დაფარვა რომ არავის დასჭირვებია, არანაკლებ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა მირიან მეფის ერისთავი თუ სარდალი თუ ორივე ერთად: ოთხ კუთხეში უნდა დაემყარებინა რელიგიური წესრიგი. ჭართალი, ფხოვი, გუდამაყარი და წილკანი ერთად აღებული საკმაოდ ვრცელი ტერიტორიაა და აკი გაუსხლტნენ კიდეც ფხოველნი.

ჩვენი დიდი წინაპრებიც კი სწავლობდნენ შეცდომებზე. თამარ მეფის სამხედრო საბჭოზე მირიან მეფის მიერ დაშვებულ შეცდომებს აუცილებლად გააანალიზებდნენ.

ვისაც ტყვევნიდნენ და კლავდინენ ფხოველნი, ცხადია, არ იქნებოდნენ არც იმერელნი, არც ქართლელნი და ა.შ. ესენი ან მეფისა და ეკლესის მოხელენი იყვნენ, ან - მეზობელი ტომები. შესაძლოა, ორივე მხარეც. ჩვენ უფრო მეორე გვგონია. აი, რატომ: სამეფო ლაშქარში ვხედავთ ფხოვის მოსაზღვრე კუთხეებს, ანუ მათ, ვისზეც ფხოველებს ხელი მიუწვდებოდათ საძარცვავად. გაზრდილი მოსახლეობა ფხოვისა, ალბათ, იძულებული იყო ამ „ხელობით“ ეშოვა საარსებო სახსარი და თვალი მეზობელ ტომებს დაადგეს. ასეთი ლოკალური ხასიათის თარეში მთაში მიღებული ისედაც იყო. თუშებთან ფხოველებს განსაკუთრებული, თბილი დამოკიდებულება ჰქონდათ და, ცხადია, მათენ არც რისხვასა და მახვილს მიმართავდნენ. თავის მხრივ, თუშების გამოკლება კოალიციური ლაშქრიდან, ამითაც უნდა აიხსნას. ფხოვი თუშეთს, რომლის მოსახლეობის ანგარიშგასანევი ნაწილიც მისი, თუმცა შორეული, მაგრამ მაინც სისხლისმიერი ნათესავი იყო, არაფერს ერჩოდა. კეთილგანწყობას თუშებმაც კეთილგანწყობით უპასუხეს და კოალიციაში მონაწილეობისაგან თავი შეიკავეს. სამაგიეროდ მთის დანარჩენმა ტომებმა, რომელთაც ფხოველთაგან, ალბათ, ბევრი უსიამოვნება

ახსოვდა, მომენტით ისარგებლეს და ათაბაგის საომარი დროშის ქვეშ უყოფანოდ დადგნენ.

თამარის სამეფო კარმა უთუოდ კარგად იცოდა ფხოვის მეზობელ მთიელთა რევანშისტული დამოკიდებულების შესახებ ფხოველთა მიმართ. ფიცხი მთიელების მგრძნობიარე ნერვი მათ საჭირო დროს გაატოვეს და შედეგიც მოსალოდნელი მიიღეს - ფხოველთა წინააღმდეგ ყველანი ერთხმად დაირაზმნენ. ლაშქრობის მიზეზი და მიზანი მოტივირებული იყო. ფხოველთა უკმაყოფილო მეზობლებს სამაგიეროს გადახდის საშუალება ეძლეოდათ და ლაშქრობაში მონაწილეობაზე სიამოვნებით დათანხმდნენ. სამეფო კარმა კი ერთი ტყორცნით ორი ხოხობი მოინადირა... მიგვაჩნია, რომ ასეც უნდა აიხსნას კოალიციური ლაშქრის სიჭრელე და თუშების იქიდან გამოკლების მიზეზი.

და ეს მართლაც გაუგონარი მარშუტით სვლა თამარის ლაშქრისა, ალბათ, იმიტომაც ხდებოდა, რომ კვლავ პირშიჩალაგამოვლებულნი არ დამრჩალიყვნენ და თანაც, ამ მანევრით, თუშეთის იზოლაციაც მოეხდინა. თუშები რომ კოალიციაში გაერთიანებულიყვნენ, მემატიანე ჩამონათვალში აუცილებლად დაასახელებდა. რჩება ორი ვარიანტი: ვერ დაიყოლია რა თუშეთი ფხოვის წინააღმდეგ, ხელისუფლებამ ინიციატივა თვითონ იპყრო ხელთ და მოახდინა მისი (თუშეთის) სრული იზოლაცია; ან კიდევ, კონკრეტულად ამ მომენტისათვის (და არა საერთოდ) თუშეთი მართლაც შედიოდა ფხოვის შემადგენლობაში.

უცნაურად კი ისიც მეჩვენება, რომ გაერთიანებული ლაშქრის შემადგენლობაში გუდამაყრელებიც არ ჩანა.

ივანე ათაბაგზე უკეთ ვის მოეხსენებოდა, რომ ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი სჭირდება. ტრამალთა ომებში გამობრძმედილ მოლაშქრეთ ნაკლებ განვრთნილი და ნაკლებ ორგანიზებული, მაგრამ ადგილობრივ პირობებში ნაცადი მთიელები არჩია.

თავად ის გარემოებაც, რომ თამარმა ამ ლაშქარს ამირ-სპასალარი ივანე მხარგრძელი უსარდლა (და არა „ერისთავი ერთი“), მრავლისმეტყველი ფაქტია და იმაზე მიანიშნებს, თუ როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ სამხედრო ოპერა-

ციას სამეფო კარი. უნდა ვივარაუდოთ (ჰმ... ან ვიფიქროთ, ან ვივარაუდოთ!..), რომ ერთად აღებული ფხოვი და დიდოეთი, ადგილობრივ გეოგრაფიულ გარემოში, მრისხანე სამხედრო ძალას წარმოადგენდა და თუ ასე ფიქრობდა სამეფო დარბაზიც, არ შემცდარან, რადგან ათაბაგის ლაშქარს ადგილზე აკი უამრავი საქმე დახვდა...

ივანე მხარგრძელის მხედრულ ნიჭში ეჭვის შეტანა არ ეგების, სადღა არ მოექნია ხმალი და, ვინ იცის, ეგებ ეს ლაშქრობა დანარჩენთაგან განსაკუთრებულად გამორჩეულიც კი იყო. ყოველ შემთხვევაში, ადრე ხომ არ შეურცხვენია თავი, პირველი ჯანყისას, ორგზის რომ დაამარცხა ამბოხებული სამხრელ - დასავლელი და „მთეულნიც“ ზედ მიაყოლა. მართალია, მაშინ მძიმედ კი დაიჭრა, მაგრამ მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა და საქართველოს საზღვრებმაც გარეგარე გაინია. ჰოდა, დაუსრულებელ ომებში მიღებულმა გამოცდილებამ თავისი ქნა - ისეთი მანევრი განახორციელა, „რომელი არავის ექმნა, არცა პირველ, არცა შემდგომადო“ (იქვე). „პირველ“ - შეიძლება, „შემდგომისა“ კი რა მოგახსენოთ!..

ბედნიერი კაცი იყო „ისტორიანისა და აზმანის...“ ავტორი, რადგან სჯეროდა, რომ ათაბაგის შემდგომ ვეღარავინ (ალარავინ) ააოხრებდა ფხოვს. არადა, იგივე მანევრი წარმატებით გამოიყენეს ჯერ 1813 წელს, შემდეგ კი 1922 - ში. იგივეს, ოღონდ მცირე მასშტაბით, ცდილობდა ზურაბ ერისთავიც XVII ს. დასაწყისში, არანაკლებ გამობრძმედილი სარდალი იყო ისიც, მაგრამ იმას, რაც ვეებერთელა იმპერიებმა შეძლეს, „ერისთავი ერთი“ როგორ იზამდა...

სხვათა შორის, 1813 წელს, რუსის ჯარი რომ ალექსანდრე ბატონიშვილის ნაკვალევმა შატილში მიიყვანა, ისტორია ლამის ზედმიწევნით განმეორდა. რუსებმაც ისევე მოაქციეს ალყაში ხევსურეთი, როგორც საუკუნეების წინ ივანე ათაბაგმა და იმაზე არანაკლებ ააოხრეს.

1813 წელს ხევსურებს ალექსანდრე ბატონიშვილის მასპინძლობა „დაპბრალდა“, ხოლო 1922 წელს - ქაქუცა ჩოლოყაშვილის.

ხოლო ხევსურეთის ცაზე რომ უკვე ნასოფლარებიდან შემაღლებული შავი კვამლი ცაზე მზეს ეტოქებოდა, იქ აღარც ერთი იმყოფებოდა და აღარც - მეორე!...

ჰოდა, ივანე მხარგრძელი ფხოვს ზურგში მოექცა, ხელთ იპყრო სამეზობლო ულელტეხილები და უნინარესად ფხოვი და დიდოეთი ერთმანეთისაგან გათიშა; ცალკერდ კი-დევ დურძუკეთი გაინაპირა ამათგან, რომელიც ფხოვისა და დიდოეთის პოტენციურ მოკავშირედ მოიაზრებოდა. აქვე იყო თუშეთიც, ხელის განვდენაზე და აქაც, წესით, აუცილებლად უნდა ხსენებულიყო იგი, ან - ასე, ან - ისე.

როცა ათაბაგის ლაშქრობის მარმრუტს ვეხებით, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ისინი სწორხაზოვნად და უმნიშვნელო რელიეფური წინააღმდევობების დაძლევის გზით მოძრაობდნენ. სხვათა შორის, ამ ექსპედიციის მოძრაობის რამდენადმე ზუსტი მიმართულებანი არც მემატიანეს-თვის უნდა იყოს მთლად წათელი. „აღვიდა მთასა ხადისასა და წარვლო წუერი მთისაო“; ბუნდოვანია აქ აზრი, არ ჩანს, რომელ წვერზეა ლაპარაკი. ორიენტაციაში ისევ მეორე ფრაზა გაგვარკვევს: „წარდგა მთასა ფხოველთასა და დი-დოთასაო“, ე.ი. ზემოდან მოჰკცევია ფხოველთა და დიდოთა შორის გამავალ მთას. არც აქა ყველაფერი წათელი, რადგან ზუტად არაა ცნობილი თუნდაც ის, თუ სად ლოკალიზდება იმ დროს დიდოეთი, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, აქ წყალგამყოფზე უნდა იყოს ლაპარაკი; ამის თქმის უფლებას, თავის მხრივ, აგრეთვე მომდევნო ფრაზა იძლევა: „ერთ კერძო და-ურჩა დურძუკეთი და ერთ კერძო დიდოეთი და ფხოეთიო“. სადღაც მაღლა კი „წარსდგნენ“, ყველანაირად ცდილობენ, რომ ზემოდან მოექცნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მარ-შრუტი აზრს დაკარგავს. ასე რომ, კავკასიონის მთავარ წყალგამყოფზე სადღაც უნდა გასულიყვნენ, იქ კი, ჩრდილოეთ კალთებზე ალბათ დიდონი სახლობდნენ. მარშრუტი ჩვენ ასე გვესახება (დღევანდელი ტოპონიმიკით), რომ ათაბაგმა ფშავისა და ხევსურეთის წყლების სათავეებს შემოუარა, ხელში ჩაიგდო საძელის, ფხიტუს, დათვისჯვრის და ანუნტის გადასასვლელები და სწორედ აქედან „ინყეს ზეიდალმან ბრძოლა“. „ ისტორიანი და აზმანი...“, სამწუხაროდ, მძიმე სტილშია დაწერილი, მძიმე და ერთობ დაწნეხილ სტილში და

ძნელდება ახლა იმ სალაშქრო მარშრუტის რამდენადმე მა-ინც სიზუსტით დადგენა. როცა დასაწყისი იცი (მთა ხადისა), დასასრულიც იცი, ასე თუ ისე (მთა ფხველთა და დიდოთა), მაგრამ არ გაქვს არავითარი ცოდნა შუალედურ პუნქტებზე. მხოლოდ სამი ზმნის ამარა ხარ დარჩენილი: „აღვიდა“, „წარ-ვლო“ და „წარდგა“. აქედან ხდება საცნაური, რომ ფხოვს ათაბაგმა ზურგიდან დაარტყა.

ჩვენი ვარაუდი უფრო იქითკენ იხრება, რომ ლაშქა-რი მხოლოდ ერთი მიმართულებით, ერთი ხეობით არ შე-ვიდოდა. შესაძლოა, ორად, ან სამადაც იყო გაყოფილი და შევიდა ხევიდან (მდ. ჯუთისწყლის ხეობით საძლის უღელტეხილზე. არხოტისა და ლილლოს თემების მიმარ-თულება), ხადა - გუდამაყრიდან (ფხიტუს უღელტეხილზე - აწინდელი ხევსურეთის არაგვის აუზის მიმართულება) და ივრის ხეობით ბორბალოსკენ (აწინდელი ფშავის არაგვის აუზი და სათავეები). მთავარი ამოცანა იქნებოდა დათ-ვისჯვრისა და აწუნტის უღელტეხილებისა და, საერთოდ, ბორბალოს რაიონის ბლოკირება, რათა ფხოველთა ხეო-ბებს სათავეებში მოჰქცეოდნენ და, მაშასადამე, არ დაეშ-ვათ დიდოთა და ფხოველთა ლაშქრის გაერთიანება. მემა-ტიანე დურძუკთა მოქმედების შესახებ არაფერს გვეუბნე-ბა. სავარაუდოდ ბორბალოს მიდამოები სწორედ მათ უნ-და აეყვანათ კონტროლზე და ამგვარად დაემტკიცებინათ მეფისათვის ერთგულება. ვარაუდების დაშვება კიდევაც შეიძლებოდა, მაგრამ ვშიშობ, თავი მოვაწყინე მკითხველს ამდენი ვრაუდებით...

თამარ მეფემ კი კარგად იცოდა დიდო - ფხოვეთის ძალა და სიმტკიცე მათი „ქვეყნისა“. ამიტომაც წარავლი-ნა იქ რჩეული სარდალი რჩეულივე სპიტ, თორემ განა მოგვიანებით არ ილაშქრა დიდოეთში თეიმურაზ I- მა, ჩა-ნაფიქრი იმასაც დაახლოებით იგივე ჰქონდა, მაგრამ ვე-რაფერი გააწყო, „მტირალი“ და დამარცხებულ - დაზარა-ლებული გამობრუნდა უკან.

ეს დროში განელილი და ურთულესი ოპერაცია იქნებო-და, ამიტომაც მოუნდნენ მთელი ზაფხული და ამიტომაც შე-ნიშნავს მემატიანე, ასეთი რამ მანამდე არავის ექნაო, „არცა პირველ და არცა შემდგომადო“ (აკი ვეჭვობდით და იქნებ მართლაც ასეა. შემდგომისა რა მოგახსენოთ და „პირველ“

ნაქნარში კი ისტორიკოსი უთუოდ მირიანისდროინდელ ამბებს უნდა გულისხმობდეს). აქ მთის ბევრი ადიდებული მდინარე და უგზო - უკვლო ხეობა გადაეღობებოდათ (დაგვეთანხმება, ვინც იქაურობას იცნობს) და ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ბუნებრივ პირობებს ფხოველები უფრო ეფექტურად გამოიყენებდნენ. მეფის სპასალარი ეტყობა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, თორემ იოლად რომ წასულიყო საქმე, ისეთ სისასტიკეს აღარ გამოიჩენდა, სოფლებს მაინც აღარ გადაწვავდა. ომის დროს ერთი მხრიდან გამოვლენილი სისასტიკე, ყოველთვის პირდაპირპორციულია მეორე მხრისაგან განეული წინააღმდეგობისა.

ისე კი, ისტორიულად, დურძუკები, დიდოები, ღლილვები ... ფხოვთან და მთის სხვა კუთხეებთან ერთად და თანასწორად შედიოდნენ კახეთის სამეფოში (კვეტარის საერისთაო) და აღიქმებოდნენ ქართული სახელმწიფოს განუყრელ შემადგენელ ნაწილად. ამის ნათელი დადასტურებაა ის ისტორიული მასალაც, რაც ეხება ფხოვისა და დიდოეთის განდგომას.

ეს ისე კარგად მოფიქრებული ოპერაცია იყო, რომ სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით წუნს ვერ დასდებდი. მაშინ, როცა დიდი საშიშროება რეალურად იყნოს და „მოვიდეს ძლუნითა მეფენი დურძუკოთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერდსა“ (იქვე), ფხოვის გარშემო პრაქტიკულად ავისმომასწავებელი წრე შეიკრა. ლაშქრობაში მონაწილე მხარებიდან, გარდა დვალეთისა და ცხავატისა, ტერიტორიულად ყველა ფხოვს მიუდგებოდა. თავად დიდოეთი კი, რომელიც მაშინ ფხოვს ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა, მისგან უკვე იზოლირებული იყო. ასე ორად გაყვეს დიდოეთი და ფხოვი და ცხადია, სათითაოდ მოუღებდნენ ბოლოს.

თამარის ეპოქაში გადახდილ წარმატებულ ბრძოლებს რომ მიმოიხილავენ, ფხოვი-დიდოეთის ოპერაციას არავინ ახსენებს. არადა, თუ მისი სირთულის ხარისხს კარგად გავიაზრებთ წმინდა ტაქტიკურ-სტრატეგიული თვალსაზრისით, ანუ სამხედრო ხელოვნების კუთხით, მეტი რომ არ ვთქვათ, ისტორიკოსთა ყურადღების ლირსი კი ნამდვილად უნდა იყოს. ბოლოს და ბოლოს, სამთვიანი ომი თუ, ზოგადად - სამხედრო ოპერაცია, რაც გენებოთ, ის დაარქვით, ჩვენს სამ-

ხედრო ისტორიაში რაღაც არ მახსენდება. პირობითად მის-  
თვის ასეთი სახელიც კი შეიძლებოდა გვეწოდებინა - „ლაშ-  
ქრობა ცაში“. ვაჭარბებ? - არა მგონია. გავიხსენოთ ერთი,  
რამდენი სამხედრო ოპერაცია ჩატარებულა მსოფლიო ის-  
ტორიის მასშტაბით ისეთი, რომელიც ერთდროულად მოი-  
ცავდა ზღვის დონიდან 3 000 მეტრზე გაჭიმულ ოთხსა თუ  
ხუთ უღელტეხილს? ეგაა, ნაკლები რეზონანსი და ისტორიუ-  
ლი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის, ვიდრე ის ბრძოლები,  
რომელთა შედეგიც ქვეყნის ბედს ცვლიდა და წყვეტდა. თუმ-  
ცალა ამ ლაშქრობამ ფხოვის ბედი კიდეც შეცვალა და კიდეც  
გადაწყვიტა...

თამარ მეფეს, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვს ფხოველ-  
თა მონაწილეობა ადრინდელ აჯანყებაშიც და ეტყობა ჩაი-  
ფიქრა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, „მთეულთა“ საკითხი  
ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა.

ხოლო მემატიანე: „ და ინყეს ზეიდალმან ბრძოლად, და  
რბევად, და კლვად, და ტყუეობად, და დაწუად; მოსწყვიდეს  
ურიცხვი კაცი დიდო და ფხოვი“ ( ქც, II, 111 ). ოპერაციის  
მიმდინარეობისა და განსაკუთრებით ფინალის შესახებ ეს  
ისტორიკოსი უფრო გულახდილია, ვიდრე ის - ლეონტი  
მროველი.

მოგვიტევეთ, მკითხველო, კიდევ ერთხელ უნდა შევა-  
ყოვნოთ თქვენი ყურადღება და ვიკითხო: განა ამაზე მეტი სი-  
სასტიკე გამოუჩინიათ ან მანამდელ და ან მერმინდელ დამ-  
პყრობლებს საქართველოისა? მართალი გითხრათ, ვერ ამიხ-  
სნია, თუ რაში დასჭირდა ასეთი სისასტიკე თავისი განვითა-  
რების ზენიტში მყოფი ქვეყნის ხელისუფლებას! განა რა ისე-  
თი საშიშროება მოდიოდა იქიდან? დამატებულია თავად მე-  
მატიანის ჰეროიკული სტილიც კი.

ივანე ათაბაგის მანევრი რომ ორიგინალური და გამორ-  
ჩეული იყო, მემატიანის შეფასებიდანაც ჩანს - „ ხოლო ივანე  
გონიერად ყომ“, უქებს სიჭკვიანეს სარდალს და აღტაცებას  
აშკარად არ ფარავს, რაკიდა ასე „გონიერად“ ფხოვის მი-  
მართ არავინ მოქცეულიყო „ არცა პირველ, არცა შემდგო-  
მად“. მაინც რამ გამოიწვია მემატიანის აღფრთოვანება?  
ცხადია, წარმატებული სამხედრო ოპერაციის მახვილგონივ-

რულმა დაგეგმვამ, რაც, ალბათ, იმაში გამოიხატებოდა, რომ „ განდგომილებს“ არ მიეცათ კონსოლიდაციის საშუალება, რომ ფხოველ - დიდოელთა მთავარი მოკავშირე დურძუკეთი არა მარტო გაანეიტრალეს, არამედ თავის სასარგებლოდაც კი გამოიყენეს და რომ ურთულეს გეოგრაფიულ პირობებში ისე სწრაფად და მიზანდასახულად მოქმედებდნენ, რომ შე-საძლებელი გახდა ოპერაციის ზემოდან ქვემოთ განხორციე-ლება და არა პირიქით - ქვემოდან ზემოთ, რაც, მთის პირო-ბებში, ყოველთვის ნამგებიან პოზიციაში აყენებს თავდამ-სხმელს (ჩვენს შემთხვევაში -სამეფო სპას).

აქ მართლაც იბადება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამირ-სპასალარი და მეფე (მაინც) ნამდვილად იცნობდნენ მირიან მეფის ერისთავის ხარუმატებელი ლაშქრობის პერიპეტიებს და ეს პრაქტიკა, სწორედაც რომ გონივრულად გამოიყენეს, თუმცადა, უნდა ითქვას, რომ მიზეზშედეგობრივად სხვა-დასხვა ხასიათის მოვლენებთან გვაქვს საქმე.

ასეთი სისასტიკე აღარავის გამოუმჟღავნებია „არცა პირველ და არცა შემდგომად“, წლების განმავლობაში შენა-ხულმა რისხვამ ახლა იჩინა თავი და ფხოველებს ძველიც და ახალიც ერთად ამოაყრევინეს. კაი დღე, ცხადია, არც დიდო-ელებს დაადგებოდათ. დროც კარგი შეურჩიეს: „ივნისი, ივ-ლისი და აგვისტოსი“.

სხვა რა გზა იყო, აღიარა ფხოვმა და დიდოეთმა მარ-ცხი.

მისცეს მძევლები და დაიდვეს ხარკი.  
დაზავდნენ.

გამარჯვებული მთავარსარდალი ამაყად წარსდგა მე-ფის წინაშე და უპატაკა: „ძლიერო მეფეო! იქმნა ბრძანება შე-ნი, მოვაოხრენ ურჩინი შენი დიდოეთი და ფხოეთი. ხოლო მე-ფემან დიდად დაიმადლა და უაღრესსა პატივსა აღიყვანა“ (ქც, II, 112).

აქედანაც კარგად ჩანს, რომ თამარი მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევდა ფხოვის ურთულესი საკითხის გადაჭ-რას, ხოლო ამის მოქმედნი კი განსაკუთრებულ პატივში აჰ-ყავდა.

და... ეს იყო თამარის უკანასკნელი ომი!

+++

თამარ მეფეს, მის წინააღმდეგ მოწყობილი დიდი აჯანყების შემდეგ, რომელშიც ფხოველებიც მონაწილეობდნენ, ცხადია, გულზე არ ეხატებოდა ფხოვი. მართალია, მაშინ მეფეს ამბოხებულები მკაცრად არ დაუსჯია, მაგრამ გარკვეული სახის ზომები მაინც მიიღო, რაც გამოიხატა სახელობიდან გადაყენება - დაქვეითებაში. ასეთთა შორის ფხოვის ან ფხოვის მფლობელის ხსენებაც არაა. ეს, თითქოს, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ პროვინციის სტატუსი ქვეყნის ხელისუფლებას განსაზღვრული არ ჰქონდა; ეს კი საეჭვოა. ფხოველთა ოპოზიციური განწყობა მომენტალური უნდა ყოფილიყო. ეს ფაქტი, თავის მხრივ, მეტყველებს იმაზე, რომ ფხოვი საკმაოდ ძლიერი ადმინისტრაციული (თუ პოლიტიკურიც?) ერთეული ყოფილა. ამას ისიც ადასტურებს, რომ თამარმა იქ ვინმე რიგითი სარდალი კი არა („ერისთავი ერთი“), არამედ საქვეყნოდ ცნობილი და სახელმოხვეჭილი ამირსპასალარი მიავლინა. როგორც ჩანს, სამეფო კარს განზრახული ჰქონდა, რომ ფხოვის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრა და ეს ასეც მოხდა. თამარის მოღვაწეობის ბოლო წლებში მომხდარი ამ ამბების შემდეგ, ეს კუთხე „ქართლის ცხოვრებაში“ მხოლოდ ორჯერ ხსენდება. აქ ისეთი აღარაფერი მომხდარა, რომ მემატიანეთა ყურადღება განსაკუთრებულად მიექცია.

ივანე მხარგრძელის ლაშქრობის შემდეგ ფხოვი საბოლოოდ დაეცა. რბევა, კვლა, დატყვევება და გადაწვა... - აი, რა შედეგი მოყვა ფხოველთა განდგომას და რაც მთავარია - „მოსწყვიდეს ურიცხვი კაცი“. ასეთი სისასტიკით თანამოძმეთ არ უსწორდებიან. ხანდახან ეჭვიც გაკრთხება ხოლმე - ეს ფხოველები განსხვავებული და გამორჩეული მოდგმის ხალხი ხომ არ იყო? ამის თქმის საფუძველს იძლევა მათი უნიკალური, ყოფითი თავისებურებანი რელიგიის, სამართლის, სალაშქრო, „წოლა - დგომის“, სახელოვნებო და სხვა მიმართულებით, თუნდაც პიქტოგრამების უპრეცედენტო სიმრავლე. ყოველივე ეს მათ შთამომავლებს დღემდე შემორჩათ მეტნაკლები არქაული ელფერით. მართლა ხომ არ არიან ანასხლეტი რომელიმე უძველესი ცივილიზაციისა?

ხოლო დამსჯელი ექსპედიციის სისასტიკეს, ცხადია, თავისი მიზეზი ექნებოდა და ეს უნდა ყოფილიყო ე.წ. გიორ-

გი რუსის აჯანყებაში მათი მონაწილეობა, ხოლო მიზანი, საქართველოს საზღვრების ჩრდილოეთ კავკასიაში გადაწევა. მემატიანე არაფერს ამბობს, მაგრამ უნდა ვივარაულოთ, რომ სამეფო სპას ქრისტიანობის გავრცობა - განმტკიცებაც ექნებდა დავალებული. ათაბაგი სამი თვე ტყუილად როდი დაჯდებოდა ფხოვსა და დიდოეთში. შორეულ ქვეყნებში ლაშქრობებს არ ალევდნენ ამდენ დროს და აქ რა იყო საამისო? საფიქრალია, რომ ორიდან ერთი უნდა იყოს (ორივე თუ არა): ან ძალიან გასჭირვებიათ მოწინააღმდეგეთა გატეხა, ან გატების შემდეგ ყოფილან მნიშვნელოვანი საქმეებით დაკავებული. ჩვენ ასეთად მიგვაჩნია ქრისტიანული ეკლესიებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობა. ასე რომ, საქმე, ასეთიც და ისეთიც, თავზესაყრელი ექნებოდათ.

ისედაც მნირ და მკაცრ გეოგრაფიულ პირობებში მცხოვრებ ფხოველებს ხარკი, რომელიც სავარაუდოდ მძიმე იქნებოდა, აუტანელ ტვირთად დააწვებოდათ. მძევლები რომ წამოუსხამთ, ესეც იმაზე მეტყველებს, რომ ვერ ენდობოდნენ მათ მიერ გამოჩენილი სისასტიკის გამო გულანთებულ მოსახლეობას, რომელმაც ძალმომრეობა და ქედის მოდრეკა რა იყო, შესაძლოა, მანამდე არც კი იცოდა. ე.ი. იმდენად მკაცრი და სასტიკი ყოფილა ათაბაგი, რომ ხელახალი ამბოხი მოსალოდნელი ყოფილა.

მემატიანე დამსახურებულად ენამზეობს ივანე მხარგრძელის მიმართ, რომელმაც დაგეგმილი ოპერაცია მარლაც საუცხოოდ ჩაატარა, მაგრამ ეს მაინც როგორ უნდა გავიგოთ, ასეთი რამ „არცა პირველ, არცა შემდგომად“ არავის ექნაო? ე.ი. მანამდელი და შემდგომი ოპერაციები ვერ მივიდოდნენ ამასთან, თუ ეს იყო პირველიცა და უკანასკნელიც? პირველი ოპერაცია რომ არ იყო, ვიცით, მემატიანესაც ჩვენზე უკეთ ეცოდინებოდა, მაგრამ რომ არც ბოლო ყოფილა?

ჩვენი აზრით, სწორედ ათაბაგის დამანგრეველ - დამარბეველი ლაშქრობის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ფხოვის დაშლა - გაყოფა ფშავად და ხევსურეთად. ის, რომ ამის შემდეგ „ქართლის ცხოვრება“ კიდევ მოიხსენიებს ფხოვს, ინერცია უნდა იყოს, ძველი სახელნოდების მექანიკური გამეორება. გაყოფაც ასე, ერთი დაკვრით, არ მოხდებოდა. ვთიქ-რობთ, ხევსურეთის არავის ხეობაში უფრო მკაცრი ზომები

გაატარა სამეფო სპამ, ვიდრე ფშავის არაგვის ხეობაში. თა-მარისა და ლაშა გიორგის სახელზეც მაშინ უნდა დაარსებულიყო ან გარდასახულიყო საკულტმსახურო ძეგლები ( ლა-შარი, თამარლელე ).

ფშავმა (მერმინდელმა) მიიღო, აღიარა მეფის ხელი-სუფლების პრინციპატი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, და კიდევაც უერთგულა მას. თამარ მეფის ძე - ლაშა გიორგი ლვთაების რანგში იქნა აყვანილი. თვით ეს ფაქტია სახიერი დადასტურება იმ აღიარებისა. თავის მხრივ კი ბაგრა-ტიონების სამეფო დინასტიამ ბოლომდე შემოინახა და შე-ინარჩუნა განსაკუთრებული ურთიერთობა როგორც ლა-შარის ჯვართან, ისე - ფშავლებთან; იმდენად, რომ 500 წლის შემდეგაც კი, ხსენებულ სალოცავს არა ლაშარს, არამედ პირდაპირ „ლაშა გიორგის“ უნდებდნენ. ერეკლე I -ისა (1699) და იმამყული ხანის (1716) წე. მიერ ფშავლე-ბისადმი მიცემულ წყალობის წიგნებში (აკ. შანიძე, თხზუ-ლებანი, ტ. I, 1984) ჯვარს, როგორც ასეთს, საერთოდ არ ახსენებენ, არამედ მოიხსენიებენ მას, როგორც „ლაშა გი-ორგის“, „ლაშა გიორგის ფშავის თავისას“, ან, უბრალოდ, როგორც „მოძმეს“. ე.ი. ტრადიცია ბაგრატიონებისა ურ-ყევად ადასტურებს ლაშა გიორგის „განსხეულებას“ ლვთა-ებაში - წმ. გიორგი. ნიშანდობლივია, რომ ხსენებულ წყა-როში მოტანილ სხვა დოკუმენტებში, რომლებსაც უკვე ფშავლები წერენ, „ლაშა გიორგი“ კი აღარ ფიგურირებს, არამედ „გიორგი ლაშარის ჯვარი“, ან, უბრალოდ, „ლაშა-რის ჯვარი“. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უბრალო ნიუ-ანსია, დამოკიდებულებაა გამოხატული, თორემ არსებითი განსხვავება სახელწოდების შინაარსში, ცხადია, არ არსე-ბოშა.

ის კი არა, ლვთაებრივ რანგში აყვანის პატივი თავად მხარებელსაც კი არ მოჰკლებია და მისი სახელის უკვდავ-საყოფად თამარლელის სალოცავში ქვის სკამი დაუდგამთ. ფშავის არაგვის ხეობის მოსახლეობის ასეთი დამოკიდე-ბულება სამეფო ხელისუფლებისადმი, თავისთავად, მათ ლოიალობას გამოიწვევდა და კიდევ ერთ ნიშანსვეტს მო-ნიშნავდა ფხოვის გახლეჩაში.

ამ ამბების შემდეგ უნდა მომხდარიყო ახალი რელიგიური ცენტრის გაჩენა ან, სულაც, ძველის გაძლიერება - გაფართოება ფშავის არაგვის ხეობაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფხოველთა ერთიანი საყმო გაიხლიჩა. აი, ამის შემდეგ და შედეგად უნდა გაჩენილიყო ახალი ეთნიკური ერთეულები - ფშავი და ხევსურეთი, რომელიც არც ამ სახელწოდებით და არც ძველით (ფხოვი) XIII ს. შემდეგ, ვიდრე XVIII ს. შუახანებამდე, აღარ იხსენიება. ვახუშტი უკვე ახალ სახელწოდებებს ხმარობს - ფშავი და ხევსურეთი, მაგრამ აუცილებლად იქვე მიუთითებს, ეს ძველი ფხოვიაო.

სავარაუდოდ, ჭაბუკი ლაშა გიორგი თვითონაც მონაწილე იქნებოდა მხარგრძელის ლაშქრობისა, ფინალურ მომენტში მაინც. ყოველ შემთხვევაში, ისე ჩანს, რომ ამ კუთხისადმი (ახლა უკვე ფშავისადმი), თამარს ლიბერალური დამოკიდებულება გამოუმჟღავნებია და იქაური ხალხის რეაქციასაც არ დაუყოვნება - ჩნდება იმ დროისათვის უპრეცედენტო, პიროვნებებზე აქცევტირებული, წარმართულ - ქრისტიანული სალოცავები. ამას კი ქრისტიანული მრნამსი და დოგმები მკვეთრად ემიჯნება. ხევსურეთში კი (ახლა უკვე ხევსურეთში) ყველაფერი შებრუნებით მოხდა. იქნება ამიტომაა, რომ აქ თამარის სახელზე ქვაც კი არ დადებულა ქვაზე, თუ არ ჩავთვლით ციხეს ხახმატში, რომელიც ანდრეზებში თამარ მეფის ციხედ მოიხსენიება.

ყურადღების მიღმა არც ფხოვის უკიდურესი ჩრდილოეთის მხარე დარჩენია სამეფო კარს. ცნობილია, რომ მთელი პირიქითი ხევსურეთი იყო სადედოფლო მამულები, კონკრეტულად კი ექვსი სოფელი: კისტანი, გური, შატილი, მუცო, ხახაბო და არდოტი. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ეს სოფლები გამოირჩევა სტრატეგიული მდებარეობითა და მტკიცე და შეუვალი თავდაცვითი ნაგებობებით. ყოველივე ეს კი შემთხვევითი, ცხადია, არ არის. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ფშავიც ბაგრატიონთა სახასო სამფლობელო იყო და არც ის, რომ ხახმატის ჯვარს ქაჯავეთური ლაშქრობიდან ტყვეებად, რატომდაც, მხოლოდ ქალები მოჰყავს, რომელთაგანაც ერთი - სამძიმარი (თამარი?) ღვთიშვილთა რანგში აჲყავს ხახმატის ჯვარს. ამგვარი ანდრეზული ეპიზოდი, გარკვეული კუთ-

ხითა და გადმოცემის განსაკუთრებული, თავისებური მანერით, შესაძლოა ხევსურეთში თამარის კულტის შორეული, მიმქრალი გამოძახილიც კი იყოს.

ეს უკვე რუსუდანის მეფობის უამს ხდება, როცა ხვარაზმის შაპი შემოესია საქართველოს. ფხოველებიც მიიღებდნენ მის წინააღმდეგ პრძოლაში მონანილეობას. უზარმაზარი ლაშქარი შეუყრია რუსუდანს, ქართველთა და არაქართველთა, „ამათ თანა ყოველნი მთიულნიო“, წერს უამთააღმნერელი და რაკი ჯიქეთიდან ჰერეთამდე არავინ დაჳკლებია, არც ფხოველნი დააკლდებოდნენ, მეისტორიე უბრალოდ აღარ აკონკრეტებს. არც ისაა გამორიცხული, რომ თამარის-დროინდელი საზავო მოლაპარაკება ჯერაც ძალაში იყო. იქ კი სამხედრო ბეგარას აუცილებლად შეუთვლიდნენ.

ნიმანდობლივია, რომ უამთააღმნერელი უკვე - „მთიულნიო“, მთიელებს „მთიულებს“ ეძახის, ახლა რომ ხდება გარკვეული კატეგორიის ხალხში, ზუსტად ისეა. ნეტავ მაშინაც უჭირდათ მთიელთა ერთმანეთისაგან გარჩევა, თუ ყველას ასე ეძახდნენ და ბოლოს დღევანდელ მთიულებს შერჩათ ეს სახელწოდება?!

ინერციით იყო თუ რა იყო, ამგვარი ფორმით ერთხელაც კიდევ გაიელვა „ქართლის ცხოვრებაში“ ფხოვის სახელწოდებამ, ოღონდ ეს უკვე უამთააღმნერელის თხზულებაში. ფხოველთა „უწურთნელობას“ ხომ მივეჩვიეთ და ეს მემატიანენიც რომ არ აკლებენ! - „მეჯორედ ყვნა კაცნი იგი მხეცისა ბუნებისანიო“ (ქც, II, 230). დამოკიდებულება აქაც მკვეთრად უარყოფითია (მაინც რას უნდა ნიშნავდეს, ნეტავი, მეჯორე?).

ეს ამბავი კი უკვე დავით ულუს დროს ხდება. მეფე ყაენთან არის წასული, ქვეყანასა და სასახლეს კი განაგებენ „დედოფალი ჯიგდახათუნ და მესტუმრე ჯიქურ“, ქვეყანაში კი მონლოლები პარპაშობენ. ის ხალხი, ივანე ათაბაგის შემოსევას რომ შეესწრო, ჯერაც ცოცხალია და, რაც მთავარია, ცოცხალია უსუსურობისა და უმნეობის ის განცდა, მაშინ რომ დაუფლებოდათ მანამდე ქედმოუხრელ მთიელებს. გადამწვარი სოფლებიდან ავარდნილი კვამლის სუნისაგან ჯერაც ცხვირი ეწვით და არც ყურებიდან გამოსულა დაწიოკებული დიაც - ყმაწვილის წკირტნიალი. თუ სამუდამოდ ქედის

მოდრეკა არ გადაუწყვეტიათ, ამაზე უკეთეს დროს ვეღარ იშოვიან შელახული ლირსების აღსადგენად, ოღონდ ფრთხილად კი უხდა იყვნენ, თორემ აგერ, თორლვა პანკელიც განდგა, ულუ დავითის დაბრუნება რომ აღარ ევონა; ის კი განდგა, მაგრამ დავით ულუც დაბრუნდა სიბადან და თავი გააგდებინა „აჩქარებულ“ თორლვას.

და ხელახლა, უკვე მერამდენედ განდგნენ უღელსმიუჩვეველი ფხოველები.

ამ განდგომილებისას, როგორც ჩანს, ფშავ-ხევსურეთი ბარში ჯერ კიდევ ფხოვად მოიხსენიებოდა, მაგრამ წინააღმდეგობის უნარი ძველებური აღარ შერჩათ. ან კი რაღა შერჩებოდათ, დროული ხალხის მზერას ჯერაც ახსოვს ივანე მხარგრძელის მახვილის ელვა... .

მეფე დავით ულუ თუ იქ იყო, აქ ერთგულებით გამორჩეული ჯიქური დაეტოვებინა, რომელსაც ისეთი წესრიგი დაემყარებინა აწენილ - დაწენილ ქვეყანაში, რომ „მპარავი და ავაზაკი არა იპოვებოდა, და თუ სადა გაჩნდის, ძელსა ჩამოჰკიდიანო“. ჩანს, რომ ეს ჯიქური მეფეთა ერთგულებაში ჩამობერდა და იმდენი დაიმსახურა, რომ დავითმა მთელი სამეფო მას ჩააბარა, თუმცალა „ იყო ესე ჯიქური ერთგული მეფეთა, უმეტეს ყოველთა კაცთა... და სხუად არა - რა ნიჭთა მქონებელიო“, შენიშვნავს მემატიანე.

აი, ასეთი კაცის პირისპირ აღმოჩნდა ახლა ფხოვი.

ვერ დავთანხმებით მემატიანეს, თითქოს ჯიქურს ერთგულების გარდა სხვა ნიჭი არ გააჩნდაო (სიტყვაში „ნიჭი“ უამთაალმწერელი ალბათ ორივეხაირ შინაარსს გულისხმობს - მატერიალურსაც და არამატერიალურსაც). თავისთავად ერთგულება ცუდი როდია, მით უფრო მაშინ, როცა მას თან ახლავს პრობლემათა მოგვარების ნიჭიც. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ სიტყვაში მემატიანე ჯიქურის სოციალურ წარმომავლობას უსვამდეს ხაზს.

ეს ჯიქური ისტორიას ორი სერიოზული საქმით შემორჩა: „აღაშენა ისანთა პალატი, განგებითა დიდითა, და ფხოელნი მოხარკე ყვნა ( ქც, II, 230). ტყუილად როდი ჰქონია დავით ულუს მისი იმედი! გამოდის, რომ „ისანთა პალატი“, მეტი თუ არა, ქალაქის მშვენება მაინც იქნებოდა, ხოლო ჯიქუ-

რი, მისი ხუროთმოძღვარი თუ არა, მშენებელთა ზედამხედველი.

ხოლო ფხოველნი ხომ ისედაც იყვნენო მოხარკენიო, იტყვის მავანი.

იყვნენ, მაგრამ თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ, უფრო რუსულანის მეფობის ქამს, ფხოვმა სამეფო კარს, ეტყობა, ისევ ალმაცერად დაუწყო ყურება. საფიქრალია, რომ სწორედ ასეთ განდგომა - შემოდგომას ეწირებოდა ის ეკლესიები, რომელთა მრევლსაც ქრისტიანობას ძალით ახვედნენ თავს, ხოლო ესენი, თავისუფლად ამოისუნთქავდნენ თუ არა, იმ ეკლესიებსაც იავარქმნიდნენ და ლვთისმსახურებასაც წყვეტდნენ.

კიდევ ერთ საკვანძო საკითხს მივადექით აქ.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ რამდენიმე ავტორიტეტულ მეცნიერს (ს.კაკაბაძე, კ.კეკელიძე) აღმა - გიორგის სიკვდილის შემდეგ დაწერილად მიაჩნია, ან სულაც 1270 - 1295 წლებში. ყოველ შემთხვევაში, ამ თხზულების ავტორი თამარის თანამედროვე არაა. ამ ვარაუდის საფუძველს დამატებით იძლევა იქ დაფიქსირებული ერთი ტევადი ფრაზა: ასე და ასე შევიდა ფხოვში და დიდოეთში ივანე ათაბაგიო, „რომელი არავის ექმნა, არცა პირველ, არცა შემდგომადო“. განმეორებითი ციტირებებით ეგებ თავიც კი შევაწყინე პატივცემულ მკითხველს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ისტორია სწორედ იმითაა საინტერესო, რომ „დამარხული საიდუმლო“, რომელიც, ერთი შეხედვით, „უნცინარ“ სტრიქონებშია გატვრენილი, მრავალჯერადი წიაღსვლით ამეტყველდება ხოლმე. „არცა პირველ, არც შემდგომადო“, ე.ი. „შემდგომად“, ანუ როცა ამას ამბობდა, იქამდე კაი ხანი უნდა იყოს გასული ათაბაგის ლაშქრობიდან. ან სხვაგვარად: კი ყოფილა ლაშქრობები როგორც „პირველ“ ასევე „შემდგომად“, მაგრამ იმისთანა მანევრის თანხლებით, როგორც ეს მხარგრძელმა მოიმოქმედა, „არავის ექმნა“.

მემატიანე ჰაიკარად არ მოიქნევდა ამ ფრაზას.

ჩვენი აზრით კი, „შემდგომ“ ლაშქრობაში სწორედ ჯიქურის მიერ მოწყობილი სამხედრო ექსპედიცია უნდა იგულისხმებოდეს და „ისტორიანი და აზმანის“ მეორე ნაწილიც (შამქორის ომის შემდგომი) ჯიქურის ფხოვში ლაშქრობის

შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. ამ მომენტისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, არადა გასაწირად ასე იოლად გასამეტებელი სულაც არაა.

შესაბამისად, აქვე ისიც გამოდის, რომ ჯიქური ფხოვში არა ივანე ათაბაგის, არამედ მირიან მეფის ერისთავის გზით შევიდა - არავე ის ხეობით. ამ ლაშქრობას რომ ადრინდელივით რეზონანსი არ ჰქონდა, ეს იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ფხოვში შესვლა და იქ წესრიგის აღდგენა დავით მეფის „მესტუმრეს“ არ გასჭირვებია; თუმცალა, ეს ლაშქრობა, თავისი მნიშვნელობით, სამეფო სასახლის აშენებასთან გააიგივა მემატიანები და ჯიქურის აქტივს დიდ წარმატება-დაც მიათვალა.

შესაძლოა, ჯიქურის ამბებში მემატიანე აჭარბებს კიდეც. ამის შემდეგ უფრო უნდა ღრმავდებოდეს ფხოვის დაშლის პროცესი და გუდანის ჯვრისა (სამაგანძურო) და ლაშარის ჯვრის (12 თემი) ფორმირება; ანუ ფშავისა და ხევსურეთისა - თავიანთი ძირითადი სალოცავების გარშემო. ხახმატის ჯვარი ამის შემდეგ უნდა ქვეითდებოდეს. ბარათაულებიც და ორბელებიც, რომლებიც ხახმატში, გორშელმასა და არხოტში სახლობდნენ და ფხოვის მმართველები უნდა ყოფილიყვნენ, მაშინ უნდა იყვნენ გაძევებულნი. შესაძლოა, სწორედ ამ გარემოებას მოჰყვა ჯიქურის რეაქცია.

ფხოვში ახლა უკვე გაჩნდა ახალი რელიგიური ცენტრები (გუდანი, ლაშარი), ძველი (ხახმატი, კარატე) პოზიციების თმობენ და სათემო სალოცავებად რჩებიან. აქ უნდა სრულდებოდეს ე. წ. ძველი რჯულის ეპოქაც და ხევსურეთი მტკიცედ იკეტება თავის ნაჭუჭში. ფშავი კი პირიქით - არაგვის ხეობის ქვემონელისკენ ფართოვდება და რომელიღაც მონაკვეთში ებჯინება წილკნის პროვინციას.

ფხოვის, როგორც პოლიტიკურ - ადმინისტრაციული ერთეულის შესახებ („ფხოეთი“, „ფხოელი“) უფრო ეთნოსის აღმნიშვნელი ტერმინია ხმარებაში („ფხოველნი“). ესენი, ერთი ხანობა, ყარაყალხანებადაც იწოდებოდნენ - „მავთარიანებად“ და თემურ ლენგსაც დაამახსოვრეს თავი, როგორც შეუდრეკელმა მეომრებმა, რამეთუ კი „დაამ-

სხვრია და მოაოქრა“ მან საარაგვო, მაგრამ „კაცი ვერა მოაკელა“ (ქც, ტII, 334). რას მოიხელებდა ტყვეებს, არაგვე-ლები ტყვეებად არ ნებდებოდნენ. აქაც იმდენი არაგვი იყო და ამ ცნობისა და ზოგადად შავფარიანების შესახე-ბაც იმდენნაირი ინტერპრეტაცია გამოითქვა, რამდენი ის-ტორიკოსიც შეეხო ამ თემას...

XIV ს. 20-იან წლებში ფშავისა და ხევსურეთის დამო-უკიდებელ, რამდენადმე განსხვავებულ კუთხეებად ჩამო-ყალიბების პროცესი დასრულებული არ უნდა იყოს. როცა დავით VIII - ის ძე გიორგი მაღაროში ლაშქრობს (ქც, ტ II, 444), იქ არც ფხოველთა ხსენებაა, არც ფშაველთა და არც ხევსურთა, არა და მთაში სხვა მაღარო არსად უნდა იყოს, თუ არა მაღაროსკარი დღევანდელი ფშავისა; იქ კი აშკარად მთაზე ლაპარაკი და სწორედ მთის რელიეფის თავისებურების გამოისობით ჩაუგდიათ შავ დღეში მეფე გიორგი. დამხვდურნი აქ ფშავლები იქნებოდნენ, რომელ-თაც ორჯერ არც მთა-მთა შეუშვეს მტერი და არც ჭალა-ჭალა. შიშის ზარს სცემდნენ „კაცნი იგი მსგავსად მწეც-თა შესვარულნი სისხლითა“ (იქვე), რომელნიც უკან მოს-დევდნენ მეფის ოტებულ ლაშქარს. ბოლოს გამოცდილი სარდალი, ქსნელი შალვა ერისთავი აღმოუჩნდა შემწედ მეფეს, მან ჩასაფრებულ ლაშქარზე წამოაგო ფშაველნი და დაამარცხა (იქვე). ისინი, როგორც ჩანს, აქ მარტონი იბრძოდნენ, აღარც ერთიანი ფხოვი იყო და აღარც მისი მრისხანე ლაშქარი. ხსენებაც კი აღარაა ფხოვისა, თორემ იქ, სადაც რატომდღაც ისე თავგამოდებით იბრძვის ქვეყნის მეფე (ნეტავ რა „დანაშაულისთვის“ ისჯებოდნენ მაშინ ფშაველნი?), რომ სულ რაღაც რამდენიმე დღეში სამჯერ შეესევიან, არ შეიძლება იმ „ქვეყნის“ სახელი ერთხელ მა-ინც არ ახსენო, რომელსაც ებრძვი და აოხრებ, იქ კი ორ-გზის ხსენდება ასე: „ქუეყანა მათი“, რომელიც „მოწვეს და მოაოხრეს“!

ერთიანი საქართველოს რდევევის პროცესი ფხოვზეც ადექვატურად აისახა. ბერი ეგნატაშვილი შაპ-აბასის შე-მოსევების აღწერისას ფხოველებს უკვე ფშავლებად და ხევსურებად მოიხსენიებს. კაი ხანი დასჭირვებია, რო-

გორც ჩანს, ფხოველთა შთამომავლები რომ ახალ ეთნიკურ „სამოსელში“ ჩამოყალიბებულიყვნენ.

იქ კი ფხოვი თამარის ლაშქრობის შემდეგ წელში ველარ გასწორებულა, ველარც დიდოელები ამოსდგომიან გვერდში და ველარც დურდუკები, აღარც თუშებისა და სხვა მთიელების ხსენებაა, მარტო თავიანთი ძალებით კი ჯიქურთან ვერაფერს გახდებოდნენ. ვერ გახდებოდნენ, ალბათ, იმიტომაც, რომ თამარისა და ლაშა - გიორგის კულტზე მლოცვავი ნაწილი ფხოველთა, სავარაუდოდ, არც კი მიიღებდა ამბოხში მონაწილეობას, ხოლო დარჩენილი ნაწილი ჯიქურის ლაშქრისთვის, ალბათ, სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ წარმოადგენდა.

და ხელისუფალთა მათრახის შხივილს კიდევ ერთხელ შეუერთდებოდა ფხოველთა გმინვა.

ასე რომ, XIII ს. 50 - 60 - იან წლებში ფხოვის დაშლა ღრმადნასული პროცესი უნდა იყოს.

მეჯორედ აქცივნა მხეცის ბუნების კაცნიო და, მოკიდებული იქიდან, XX ს. II ნახევრამდე კი შემორჩათ ჯორები...

მეჯორე ფხოველები, ჰმ...

\* \* \*

მიუხედავად იმისა, რომ ფხოველთა მორიგი გაპრძოლებაც მარცხით დამთავრდა, მორჩილად მაინც არ გაუყვიათ უდელში თავი. თავისებური შინაგანი რყევა ჰქონდათ და რაღაც ბედი თუ უბედობა არ ასვენებდათ. უეჭველია, სამეფო ხელისუფალთა სისხლიანი კვალი შთამომავლობის მეხსიერებაში ასე იოლად არ წაიშლებოდა და შესაფერის დროს ყოველთვის მოთმინებით ელოდნენ. ამასობაში კი ნელ-ნელა წამოიმართებოდნენ და ძალას იკრებდნენ.

თავი ქედმალლურად იმიტომ ეჭირათ, რომ, თუმცალა „თიანეთიდამ იზრდებოდნენ“, ეკონომიკურად ბარზე მაინც და მაინც დიდად დამოკიდებულნი არ ყოფილან. თავი ბარის გარეშეც გაჰქონდათ და ერთი მიზეზი ეს სიდუხჭირეც იყო, საზოგადოებრივი დიფერენციაცია რომ ვერა და ვერ შესდგა. ვერც ფეოდალურმა წეს - წყობილებამ მოიკიდა ფეხი და

ვერც სასულიერო ფენა ჩამოყალიბდა. ბაზისი, რაზეც ანტა-  
გონიზმი შენდება, ყოველთვის არის საკუთრების უფლება  
მიწაზე; ეს საკითხი კი იქ, და, აგერ, მოაქუამამდეც კი,  
მკაცრად იყო დიფერენცირებულიც და რეგულირებულიც.  
მიწა იყო, უპირველეს ყოვლისა, თემის საკუთრება, რომე-  
ლიც, თავის მხრივ, ნაწილდებოდა მამებზე, ანუ მამიშვი-  
ლობებზე, გნებავთ - ფრატრიებზე. მამიშვილობების შიგ-  
ნით კიდევ იყო ერთი მუხლი, ოჯახის უშუალო ხაზი მა-  
მიშვილობის სილრმეში და, ბოლოს, თავად ოჯახი, ყველა-  
ზე წვრილი სოციალური წარმონაქმნი; მაგრამ სახნავ - სა-  
თესი სავარგულები იმდენად მნირი და მცირე იყო, რომ  
არა თუ ქონების დაგროვების, არამედ თავის გატანის  
საშუალებას ძლივს იძლეოდა. ინსტიტუტი ადგილობრივი  
რელიგიისა კი იმდენად ძლიერი და სისხლხორცმელი გამჯდარი  
აღმოჩნდა, რომ მისი წაშლა და სხვა რელიგიით ჩანაცვლება,  
ვერც ძალით მოხერხდა და ვერც ნებით. ის ამბავიც, თაშარის  
მეფობის ბოლოებას რომ მთელი აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოს მთიანეთი შეესია ფხოვს, თითქოს (თუ მართლა?) უცხო  
და საშიში ქვეყანა ყოფილიყოს, საკმაოდ უხერხულ უკნაუ-  
რობად გამოიყურება. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ მემატიანე  
ლაშქრობის მიზეზს ერთადერთი სიტყვით გადმოგვცემსო -  
„განდგნენ“. სინამდვილეში აქ ერთი მიზეზი კიდევ უნდა  
იყოს, რომლის შესახებაც იგი კრინგს არ ძრავს - რელიგიუ-  
რი მომენტი. ამას ქართველი ისტორიკოსებიც აღნიშნავენ.  
ნებისმიერი ხალხისთვის ნებისმიერი სარწმუნოების ძალით  
თავსმოხვევა მძაფრი შინაგანი და გარეგანი პროტესტის მი-  
ზეზი ხდებოდა. ამ უხერხულობის გამოა, რომ ლეონტი მრო-  
ველი სიტყვაძუნნია ფხოვში ერისთავის მიერ მახვილის  
„მცირედ“ წარმართვის თხრობისას და თუ „ისტორიანი და  
აზმანის...“ ავტორიც სასულიერო პირია, მაშინ გასაგებია  
მისი გაქცევა ათაბაგის ფხოვში ლაშქრობის კიდევ ერთი მი-  
ზეზისა და მიზნის გადმოცემისაგან. იმ წარმოუდგენელი სი-  
სასტიკით მოქმედებას ფხოვში, მხოლოდ რელიგიური მი-  
ზეზი არამც და არამც არ უნდა დასდებოდა საფუძვლად.  
ფხოველთა რელიგიის განაშენეფმა ჩვენს დრომდეც მოაღწია  
და საინტერესო ისაა, რომ მისთვის სახელი ჯერაც ვერ დაგ-  
ვირქმევია. მხოლოდ ერთი რამაა ცხადი, რომ ესაა სინთეზი

წარმართული და ქრისტიანული დოგმატისა, რომელშიც, ბოლოს და ბოლოს, გამარჯვების სასწორი ქრისტიანობის მხარეს გადაიხარა.

არაა გამორიცხული, რომ ფხოვში და მის გარშემო XIII ს. მიწურულს რაღაც ახალი სახელმწიფო წარმონაქმნის ფორმირების პროცესიც კი შენიშნა თამარის სამეფო კარმა და ის მასშტაბიც და ის სისასტიკეც ამან განაპირობა; თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია, ისევ და მხოლოდ ვარაუდი...

მთისთვის ერთ-ერთი მნვავე პრობლემა ყოველთვის ჭარბი მოსახლეობისაგან განტვირთვა იყო. ყველა უბედურებასთან ერთად მთიელებს (განსაკუთრებით თუშ -ფშავ-ხევ-სურებს) ერთი სიკეთე მაინც სჭირდა: მსოფლიოს უდიდესმა დამპყრობლებმა, რომელებმაც არაერთხელ გალენეს საქართველო ისე, „როგორც რომ კალო ძნიანი“, აღმოსავლეთ კავკასიონის მთიელთა დასახლებებისაგან მოშორებით ჩაიქროლეს. აქ მხედველობაში არა გვაქვს ხევი, მთიულეთ - გუდამაყარი, ერნო - თიანეთი და ა.შ. ფხოვში, შეიძლება ითქვას, უცხოელი დამპყრობლები არ შესულან (ან კი რა უნდოდათ!) და მათი აგრესია პირდაპირ არ შეხებიათ. ყოველივე ეს კი წინაპირობა იყო იმისა, რომ თავისი უნიკალური გენური მახასიათებლები შეუმდვრევლად შეენახათ და გადაარჩინათ. მკაცრი ბუნებრივი და კლიმატური პირობები სულსა და ხორცს თუ უკაშებდა „მთეულებს“, მეორე მხრივ, აუტანელს ხდიდა იქ ცხოვრებას და ხალხი გასაქანს ეძებდა. ამ მიზეზით კი ჯერ ერთმანეთს მტრობდნენ და ავინწროებდნენ, მერე კი ჩრდილოელ მეზობლებს. რაც შეეხება სამხრეთს, იქითკენ ძალმომრეობით გაჭრა იოლი არ იყო, რადგან იქაურ ტერიტორიებს მკაცრი სახელმწიფო სამართალი აკონტროლებდა, რომლის უკანაც ის იარაღასხმული მეფე - მთავრები იდგნენ, რომელთა წინაპრების „ნაღვანს“ თაობიდან თაობას ტკივილიანი ანდრეზებით გადასცემდნენ მთიელები.

მთიელთა დაწოლა ბარისკენ მას მერე უფრო გახშირდა, რაც იქ ჯერ მონღლოლთა, ხოლო შემდეგ თურქთა და სპარსთა შემოსევების შედეგად მოსახლეობა საგრძნობლად შეთხელდა. ფხოველებიც გამოვიდნენ მიუვალი ხეობებიდან და არაგვის დინებას დაღმა დაუყვნენ. მიწაზე საკუთრების უფლების მოსაპოვებლად ჯიბეზე მეტად ხმლის იმედი ჰქონდათ

და ხშირად აღნევდნენ კიდეც მიზანს. იქით ივრის მიდამოებს მოედვნენ და ნაოხარი მიწების ათვისება დაიწყეს. ეს პროცესი ორი საუკუნის მანძილზე გაგრძელდა და დასრულდა იმით, რომ ფშავ-ხევსურეთის ჭარბი და გაჭირვებული მოსახლეობა ერწო-თიანეთს მიაწყდა.

ახლა, ვახუშტი ბატონიშვილის დუმილის ფონზე, ძნელი სათქმელია, რა მიზეზით მოხდა, მიწებთან დაკავშირებული დავის გამო თუ მხოლოდ და მხოლოდ დავლა - ალაფის მოსახვეჭად, ან იქნებ ადრინდელი რამ წყენა ახსოვდათ, მაგრამ მოხდა კი ის, რომ მუხრანბატონებს „მუხრანენ ფხოველნი მუხრანს“ (ქც, IV, 407). ძნელად საფიქრალია, რომ აქ ფხოველებს მუხრანის ნოყიერი მიწები ჰქონდა მიზანში, აქ უფრო ძველ ვალებს უნდა ეხებოდეს საქმე. ლაშქართ თარეში და მიხტომ - მოხტომა მეზობელთა მიმართ ფხოველებს თუმცა-ლა ახასიათებდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მემატიანე აწინდელი მიხდომის მიზეზის შესახებაც კვლავინდებურად დუშს.

მუხრანბატონები ხელწამოსაკრავი ფეოდალები არა-სოდეს ყოფილან და ფხოვიც ეტყობა ამ დროს, ვახუშტის მიხედვით 1561 წელს, თავს იმდენად ღონივრად გრძნობს, რომ მზად არის, ქართლის უპირველეს ფეოდალს თავის მამულში მიატანოს. ამ დროს ქართლი (კალკე სამეფოა და მისი მფლობელები გაჭირვებით იგერიებენ თურქთა და ყიზილბაშთა შემოტევებს. ეს გარემოება აუცილებლად ეცოდინებოდათ ფხოველებს, შინაარსიანად თუ არა, ყურმოკვრით მაინც.

მუხრანბატონებიც მოემზადნენ მომხდურთა დასახვედრად და სადღაც მუხრანის მახლობლად შეასკდნენ ერთმანეთს მუხრანელნი და ფხოველნი. დამხვდურთა საბრძოლო გამოცდილებამ ეტყობა, რომ თავის ქნა და იმარჯვეს, „მოსწყვიდნა და აოტნა“ ბაგრატ მუხრანბატონის ვაჟმა აშოთანმა ფხოველნი, მაგრამ ბრძოლა, ეტყობა, იმდენად სასტიკი და შენივთებული იყო, რომ ამ ხმალთაკვეთებაში სასიკვდილოდ დაიჭრა თვით აშოთანი.

დამარცხებულმა და გულჯავრიანმა ფხოველებმა სმლები ქარქაშებში ჩაატკაცუნეს და აღვირები მოღრიჯეს...

ამ დროსაც ალბათ ძველი ინერციით ეძახდნენ ფხოვს, თორემ ფშავლებიც და ხევსურებიც უსათუოდ თავთავიან-თვის ცხოვრობდნენ უკვე - ერთი ოჯახიდან გაყრილი ძმე-

ბივით. აბა, ორმოცდაათიოდე წლის შემდეგ, ზურაბ ერის-თავს რომ ებრძოდნენ, მაშინ რატომ არავინ ეძახოდა ფხოვე-ლებს?!

მერე და მერე ფშავ-ხევსურეთის მიმართ აშკარად ლოიალურ პილიტიკას ატარებდნენ კახეთის მეფეები. ახლა აღარც ერთიანი საქართველო იყო და აღარც ერთიანი ფხოვი. თეიმურაზ პირველი ხმირად და დიდხნობით აფარებს თავს ფშავს, ფშავ-ხევსურეთში იხიზნება შაჰ-აბასის მიერ ლტოლვილი მოსახლეობა; თვით ლევან კახთა მეფემ საგანგებო ღონისძიებანი გაატარა თუშ-ფშავ-ხევსურეთის მისამხრობად, რაკილა „წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ“ (ქც, IV, 573). აქ ვახუშტი ბატონიშვილი ერთ ხაზგასმასაც აკეთებს: თუშ-ფშავ-ხევსურეთიო, „ლევან დაიპყრა არა ძალითაო“ (იქვე). ე.ი. განსხვავებით ძველთა მეფეთაგან ძალაზე უარი თქვა. პირიქით - საძოვრები მისცა კახეთში, ხოლო ლაშარის ჯვრისათვის შენირულობა გაიღო. ამგვარი კეთილგანწყობის საფუძველზე კი შემდეგ ბახტრიონის ეპოქეა ამოიზარდა.

ბახტრიონს რომ ელს ჩაუხტნენ თუშ-ფავ-ხევსურები, აღარც მაშინ ეძახდნენ ფხოველებს; მაშინ მტერიც ერთი ჰყავდათ და მიზანიც ერთი ჰქონდათ, მაგრამ ერთიანობა აღარსად იყო, ის ერთიანობა, გვირგვინოსნებს რომ საფიქროლს უჩენდა; ყავლი გასვლოდა ფხოველთა ერთიანობას, ახლა ბახტრიონის მისადგომებთან დაბანაკებულან და „გალავნის გვირგვინის“ მოპოვებას ცალ-ცალკე გეგმავენ. ხევსურები უფრო თავკერძანი და უდისციპლინონი ყოფილან; ეტყობა, ერთიანი სარდლობის მიერ მოფიქრებულ გეგმაში ჩაჯდომა ვერაფრად ეპიტნავებოდათ და ამ „აღაბლობის“ გამო გაებუტებოდნენ კიდეც ხოლმე თანამებრძოლნი.

ვახუშტი ბატონიშვილი კი აგერ XVIII ს – ში, თითქოს ვერ შეჩვევია, სადაც კი ფხოვს ახსენებს, იქვე განმარტებაც უნდა მოაყოლოს – აწინდელი ფშავ-ხევსურეთიაო.

ფხიანი ხმლისა და საომარი ზათქის მოყვარენი იყვნენ, ამიტომაც იყო, რომ ლამის ღვთაებად შერაცხეს მამაცი მებრძოლი და გამჭრიახი სარდალი ერეკლე II, ას-

პინძას იახლა ფხოველნი და არც იმათ შეურცხვენიათ თავი...

თუ მტერი გამოჩნდებოდა, კვლავ ერთად დადგებოდნენ ხოლმე, ოღონდ ფშავლები ლაშარის ჯვარის საბრძოლო დროშით, ხევსურები კი - გუდანის ჯვარისა, ბერი ბაადურის.

მერე კრწანისი იყო, კრწანისი... კრწანისი!..

მერე უინვალი...

ეს იყო ფხოვისა და ფხოველთა უკანასკნელი ხსენება „ქართლის ცხოვრებაში“, მათი თავისუფლებისმოყვარე, უდრეკი და ბობოქარი სული მათს შთამომავლებში გადასახლდა.

მაგრამ იყო ყველასაგან დავიწყებული ნიახურას ბრძოლაც, 1800 წლის 7 ნოემბერს, ომარ ხანის ურდოსთან, 17 000 მეომრით რომ შემოდგა კახეთში; სწორედ ეს იყო უკანასკნელი ბრძოლა საქართველოს სამეფოს დროშებითა და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის სახელით, ჩრდილიც ადგა ამ ბრძოლას, მაგრამ დავანებოთ ახლა თავი... ომარ ხანი კი მაშინ სასტიკად დამარცხდა. აქ ყოველგვარი კომენტარის გარეშე მოვიყვანთ ამონაწერს რუსი პოეტისა და ჭავჭავაძიანთა სიძის, ალექსანდრე გრიბოედოვის დღიურიდან (თ. და ა. პაპავები, „მარიამ, უკანასკნელი დედოფლალი საქართველოსი“, ბუენოს-აირესი, 1956): „1801 წ. (უნდა იყოს 1800 წ.) ომარ ხანი დამარცხებულ იქმნა ფშავ-ხევსურთა რაზმების მიერ, რომელთა რიცხვი 5 000 აღნევდა; რუსები მხოლოდ მაყურებლები იყვნენ ამ ბრძოლისა.“

ცნობისათვის: ამ დროს, საქართველოს მოსახლეობის აღნერის მასალების მიხედვით, ფშავ-ხევსურეთში ცხოვრობდა 9 000 სულზე მეტი!

დღეს კი.... აი, რა დაკარგა საქართველომ!

ახლა ულმობელ უამთსაბრუნავს ერკინებიან, ქანცგან-ყვეტილნი და მიტოვებულნი, დავიწყებულნი და მიუსაფარნი, უამთსაბრუნავს, რომელიც გაცილებით უფრო ძლიერი და საშიშია, ვიდრე მესტუმრე ჯიქური, ათაბაგი და ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი ან მირიან მეფის „ერისთავი ერთი“ ერთად!

## ფსოვი ანდრეზში

### ჟამი

ხალხურ სიტყვიერებაში არსებობს თქმულებათა ციკლები, რომელთა გეოგრაფიაც აღმოსავლეთ საქართველოს მთის ყველა კუთხეს მოიცავს; მაგრამ არსებობს ერთი ისეთი ციკლიც, მხოლოდ ხევსურულ გადმოცემებში რომ ფიქსირდება. „უამნის“ შესახებ მოგახსენებთ „უამნის“ ანუ უამთა შესახებ. ანდრეზებში სწორედ ასეთი ფორმა - „უამნი“ იხმარება, „უამის“ მრავლობითის ნართანიანი ფორმა. მხოლობით რიცხვში იგი თითქმის არსად გვხვდება. უამნი საფარველდადებული, „გახორცივლებული“ არსებანია. ხევსურეთის სოფელ ატაბეში რომ გამოჩენილან, მხოლოდ ერთ იქაურ კაცს - კოკიტას „გახფიცვიან“, ე.ი. ხილულნი მხოლოდ მისთვის გამხდარან (ზ. კივნაძე, „ანდრეზები“, 2009, თბილისი, ანდრეზი 82, შემდეგში მიუვუთითებთ მხოლოდ ანდრეზის ნომერს).

ეს კოკიტა, როგორც ჩანს, რეალური პიროვნება ყოფილა. ზოგადად, გოგოჭურების გვარი სათავეს უნდა იღებდეს პირაქეთ ხევსურეთის სოფელ ჭორმეშავიდან. გადმოცემის თანახმად, კოკიტა, ატაბიონი გოგოჭურებისა და გუროელი ქაცუაურების (გოგოჭურები) ეთნარქი, თავდაპირველად მდგარა პირიქით ხევსურეთის სოფელ ლება-ისკრის მახლობლად - აყრილახევზე. მას ორი ვაჟი ჰყოლია - თათარი და ივანე. თათარი „ბაცალიგველთ საცერცეში“ - ს. ატაბეში დასახლებულა, ივანე - გადაღმა ხევსურეთის სოფელ გუროში.

უამთ ჰყავთ ერთი ვირი, როელზეც ისრებია აკიდებული - შავი, წითელი და თეთრთბიანი. პირველი მომენტალურად კლავს, მეორე - ორ-სამ დღეში, მესამე - საერთოდ არ კლავს. კოკიტას უთქვამს, ნაისრალში „ცვარ ამავიდის ზედაო“ და მსხვერპლი მაშინვე კვდებოდათ. თეთრთბიანი ისრით მიყენებულ ჭრილობას „უამთნაისრალს“ ეძახდნენ (106), რომელშიც თურმე ჭია-მატლი ჩაუსხდებოდა, ოლონდ მომაკვდინებელი არ იყო.

ეს უამნი ერთობ ტანმორჩილი არსებანი ყოფილან, რომელთაც სიცივე ისე აშინებდათ, რომ ზამთარში რაღაცნაირ პასიურ მდგომარეობაში გადადიოდნენ: „ბატარ - ბატარებ იყვნესავ. მესიცივეებ იყვნესავ. ზამთარში ვერ მუშაობდესავ, იმალებოდესავ“ (83).

უამნი აფრთხილებენ კოკიტას - ჩვენს ვირზე არ შეჯდე, თორემ მერე რაც მოხდება, შენს თავს დააბრალეო. კოკიტას ცნობისმოყვარეობამ წასძლია, შეჯდა და მთელი ხმელეთი ხელისგულზე გადაეშალა. - აიო, - უთქვამთ უამთ, - ხალხი რომ დამალვას ცდილობს, სად დაგვემალებიანო?!

საინტერესოა, რომ უამნი თავიანთი ნაისრალის წამალ-საც გაანდობენ კოკიტას - „ლურჯ ფირ-ფურნი ბაგაში უჩუმ-რად უნდა ჩახხოცნო“ (82), ისე, რომ ყელი არ უნდა გამოს-ჭრაო. აქ იკვეთება საინტერესო პარალელი მაზდეანური მსხვერპლშეწირვის წესთან - ყელის გამოუჭრელად, ცე-მით მოკვლით. არის ასეთი შემთხვევაც, როცა უექიმნამ-ლოდ, თავისითაც მორჩენილა უამთი. ერთ არხოტიონს გამოს-ვლია უამთი ბარკალზე, ხის ჩხირით გაუხეთქია და მომრჩალა. სამ წელიწადს ყოფილან უამნი ხევსურეთში, ოლონდ ყველა საყმოში ვერ შეულწევიათ. თავიანთ სამკვიდროში არ შეუშ-ვია ისინი „ზეისტეჩის ადგილის დედას, ხადუს სანებას და გუდანის ჯვარს“ (83). ზეისტეჩიოში მხოლოდ ერთი კაცის-თვის უკრიათ ისარი და ისიც ამანათი ყოფილა, ე.ი. ჯვარი არაყმა პირს არ მფარველობდა.

უამთა დანახვა ყველას არ შეეძლო, „გარდა ჯვარის ხელკაცებისა“ (84). უამნი თვითონ ფლობდნენ „საფარვე-ლის“ ხელოვნებას და თავის რჩეულს, ვისაც თან დაატარებ-დნენ, საფარველსაც თვითონ ადებდნენ. ატაბეში მეორე კა-ციც ყოფილა ასეთი - თათარი. იგი კოკიტას შვილია, რომ-ლისგანაც, გადმოცემის თანახმად, სათავეს იღებს ოთხი მამიშვილობა: ხადულანი, მარაისძენი, ჩიტონი და ზეზია-ნი. ამათი შთამომავლები დღემდე 15-16 მამას (თაობას) ითვლიან. ეს გადმოცემაც ერთერთი ნიმუშია იმისა, რომ ანდრეზებში გადმოცემული ამბები მჭიდრო კავშირშია რეალურად არსებულ პიროვნებებთან, ყოველ შემთხვევა-ში, ხევსურები ასე აღიქვამენ.

ატაბივნებს მაშინ მეზობელ ხადუვლებთან ტერიტორიების გამო ჰქონიათ დავა და ამ თათარს მოუნდომებია საკითხის მის სასარგებლოდ გადაჭრა უამთა დახმარებით. წაუყვანია ისინი ხადუზე თავდასასხმელად, მაგრამ ხადუელთა სანების ჯვარს მედგარი წინააღმდეგობა გაუწევია: „წმინდას სანებას ცეცხლის გირკალ უკრავ უამთა და კინალამ ჩაუწვიან“ (84). მაშინ შეტევა სხვა მხრიდან მიუტანია უამთ, მაგრამ სოფლის მფარველ ღვთაებას არც იქიდან შეუშვია ისინი. ამათ კი ახლა ხერხი უხმარიათ, სალუდე ქვაბში შეყუულან და ისე უცდიათ სოფელში შეღწევა, მაგრამ სანებას სამგზის ცეცხლის ძგერებით მოუგლეჯია ეს ქვაბიც და უამნიც დაუფანტავს. ხადუშიც ერთი თავმოძულებული ბებერი მოუკლავს მხოლოდ, არ მიუცია ნება სანებას და ვერ შეულწევიათ სოფელში.

უამნი პირიქით ხევსურეთში მიღმახევის სოფელ ხახაბოსაც შესევიან (120). ხახაბოელი კაციც ყოფილა ერთი საფარველდადებული, რომელიც უამთ დაჲყვებოდა. იმას უთქვამს, თეთრი ჯორი ჰყავდაო და მასზე შეჯდომა ამიკრძალესო. ესეც შეუპყრია ცნობისმოყვარეობას და რომ მაინც შემჯდარა, „დედამიწაზე რაც რამე იყო და სადაც რა ხდებოდა, ყველაფერი დაუნახავს“ (120).

უამნი ასეთ თავხედობას არავის პატიობდნენ და არც ხახაბოელ კაცს შეარჩინეს - მის კოჭლ შვილს დაახალეს უამის ისარი. ნაისრალში მუწუკი გამოსვლია და მოუკლავს. ხახაბოშიც მხოლოდ ეს ერთი მსხვერპლი ყოფილა, მეტის ნება არ მიუცია ხოსიაურების იქაურ სალოცავს - წყაროსგორულს.

უამთა ლაშქრობას არდოოტში (პირიქითი ხევსურეთი), როგორც ანდრეზი გადმოგვცემს, დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, მაგრამ მსხვერპლი კი დიდი ყოფილა; განსხვავებით სხვა სოფლებისაგან, აქ უმძლავრიათ. ზვიადაურების წინაპარს (ერთი ვერსიით - მანგიას) „კუდიან წუხრას“ ეშმაკებისაგან გაუგია, რომ უამნი მოდიანო. მანგიას მიუპატიუნია „სტუმრები“ და ხარიც დაუკლავს. მიუხედავად ამისა, უკითხავთ, რომელი შვილი გირჩევნიაო. ხუთი შვილიდან ერთი კოჭლი ჰყოლია და იმაზე უთქვამს, „ის უფრო მებრალე-

ბაო, ის უფრო მირჩევო“ (124). სწორედ ეს შვილი მოუკლავთ ულმობელ ჟამთ, დანარჩენებს აღარ შეხებიან.

თეთრი ჯორი ამათაც ჰყოლიათ, რომელსაც ისრებსა და მშვილდებს ჰკიდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ გააფრთხილეს, ვერც ზვიადაურმა სძლია ცნობისწადილს და შეჯდა ჯორზე, შედეგად კი „როგორც წყლიან ჯამში ჩახედებ“ (125), ანუ სარკეში, ისე დაინახა ქვეყნიერება. ეტყობა მფარველი ღვთაების ძალა და მადლი დააკლდა არდოტს, ვერ მოიგრიეს შემოტევა. ისარი სეტყვასავით დააყარეს სიპერდით გადახურულ სოფელს, წკრიალი ედგა თურმე სახურავებზე ისართა ზროებს. შედეგად კი მოყვა ის, რომ „ დაუწყავ ის-რით დაჭრილ ხალხს აკლდამაისკე სიარული“ (125). ე.ი. აღსასრულის თადარიგი დაუჭერიათ. გამოდის, რომ აკლდამები, რაღაც მიზნით და დანიშნულებით, ჯერ კიდევ ჟამიანობამდე აუშენებიათ.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ყველა თავის გადარჩენას ეცდებოდა და მურღვათ გვარის წინაპარი სოფელ ხონისკენ გაქცეულა თავის შესაფარებლად იქაური ჯვარის, ხონისგორულის იმედით. იმ კაცს ანთა რქმევია, დედიშობილა ტიტველი გაქცეულა და ჟამთა ყურადღება მიუქევია. მურღვათ რა ეცინებოდათ და ჟამთ კი სიცილი დაუყრია ან-თასთვის:

„ანთა გავარდა ველთაო,  
ტიტველთ გაიქნევს ყვ...თაო“.

სიცილი - სიცილად და ანთა ცოცხალი გადარჩენილა. ხონის მთავარანგელოზი ეტყობა ძლიერი ჯვარი იყო და თავის საყმოში ჟამთ არ უშვებდა, იქ მუცოდან გაქცეულ ხალხსაც შეუფარებია თავი.

ჟამნი გამოჩენილან არხოტშიც, მაგრამ იქ, ახიელში, დიდ წინააღმდეგობას წასწყდომიან „მწევართა“ სახით. იქვე დახვედრიათ ალიათ მგელაც (ჯაბუშანური). მგელა არხოტის ჯვარის მკადრე ყოფილა, რომელსაც ჯვარი ხელზე მოუდიოდა (166) და საფარველი ედო. მისი შემწეობით მაშინ ჯაბუშანურების საგვარეულო ყველაზე ნაკლებად დაზარალებულა. ჟამთ ისიც იცოდნენ, რომ მგელა მათ ხედავდა, მაგრამ „როგორც წმინდა კაცს, არაფერს ეუბნებოდნენ. მგელა საუბ-

რობდა კიდეც მათთან. ისინი ღვთის ბრძანებით ყოფილან მოვლინებულნი არხოტს“ (116).

არხოტული ანდრეზის თანახმად, უამნი „ ფარული, რა-ლაცა ადამიანის მსგავსი არსებანი ყოფილან“ (116). სხვა გადმოცემით კი „პატარა ბალლებივით ყოფილან, რომელ-თაც, სხვათა შორის, წითელი ჩექმები ეცვათ.

არხოტის თემის სოფელ ჭიმლაშიც გამორევიათ უამი, მაგრამ იქაურებს ჭიმლის კლდის ეხებში შეუფარებიათ თავი.

უამის გაჩენის მიზეზი ჯვარის გაჯავრებაც ყოფილა. არხოტიონ კვირიკათ სწორედ ამ მიზეზით გამოსჩენია უამი და ეს მოდგმა მთლიანად გაწყვეტილა.

უამი სადლაც შორს, ქალაქისკენ ჩნდებოდა, მაგრამ ამის შეტყობაც შეეძლოთ - სათიბში სტვირებს გასთლიდნენ და უამი რომ გაჩნდებოდა, ეს „სტვირი აძრახდებოდნენ“ (177). სოფელ ამლას კი ბახათ ქვითკირში შენახული სტვირე-ბი აჟღერდებოდნენ და ხალხი უკვე უამის მოლოდინში იყო.

ახელში უამიან კაცს შვილისთვის უთქვამს - ტანსაც-მელი გაიხადე და ამლაში წადი, იქ გაგზრდიანო. როგორც ჩანს, სიშიშვლე უამისაგან თავდაცვის ეფექტური საშუალება ყოფილა.

\* \* \*

ასეთია უამთა მოქმედების თავისებურებანი, მათი ზნე და ხასიათი. ახლა ეს ყველაფერი შევაჯამოთ და თავი, შეძლებისა-მებრ, გონების ძაბრში მოუყაროთ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ ის, რომ, თანახ-მად ანდრეზიბისა, უამიანობის გავრცელების არე უფრო ხევ-სურეთის ის სოფლებია, სადაც მიწისზედა აკლდამები მდება-რეობს. მითოლოგიურ-ფოლკლორული მასალაც იქ უფრო მწყობრი და სისტემურია. ეს გახლავთ პირიქითი ხევსურეთი, კონკრეტულად კი მიღმახევი. როცა აკლდამებს, ამ სიკვდილის სახლებს ათვალიერებ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს აქ უამიანობასთან დაკავშირებული ლონისძიებები გარკვეული სახის ტრადიციის კალაპოტში იყოს მოქცეული. ეს აკლდამები მომენტალურად ვერ აშენდებოდა და გამიზნული არ იქნებოდა

ერთჯერადი საჭიროებისათვის. როგორც ჩანს, მათი საჭიროება დროდადრო დგებოდა და ამიტომ საგულდაგულოდ შენდებოდა, თანაც განსხვავებული არქიტექტურით, ვიდრე საცხოვრებელი სახლები - კედელში შიგნიდან დატანებული სიპი ქვის თაროებით და კარების გარეშე. კარის როლს მცირე ზომის სიპი ქვა თამაშობდა, რომელსაც, ასევე მცირე ზომის სარკმელს, შიგნიდან მიაყუდებდნენ. თაროები უკანასკნელი სარეცლის როლს თამაშობდა, კაპიტალური, ჩვეულებრივი ზომის კარები კი არავის სჭირდებოდა, რადგან იქ მხოლოდ შედიოდნენ და აღარ გამოდიოდნენ. შესვლას კი იმ ვიწრო სარკმლიდანაც ახერხებდნენ.

ასე რომ, ეჭვგარეშეა, არდოტისა და მუცო-ანატორის მიდამოები გავრცელებულ ინფექციურ დაავადებებს ერთ დროს მძიმე შედეგები უნდა მოჰყოლოდა. ძირითადად ეს უნდა იყოს ასახული ზემოთმოტანილ ანდრეზებში, მაგრამ არ არის გამორიცხული, უამთა შემოსევის შესახები ანდრეზების დაფარულ შრეებში იგულისხმებოდეს და აირეკლებოდეს უხსოვარ დროში განხორციელებული თავდასხმები შინაურ თუ გარეშე მტერთა. ანდრეზი უძველესი მატიანეა და მასში ამ სიძველის გამო შეიძლება რამდენიმე მოვლენაც კი იყოს ერთმანეთზე დაწნევილი, რომლის ახსნა ურთულესი საქმეა, ზოგჯერ შეუძლებელიც. ცხადი მხოლოდ ერთი რამეა - ანდრეზთან შეთამამება არაფრით არ ეგების, მაგრამ კაცნი ვართ და, ანდრეზების პერსონაჟებივით, ჩვენცა გვძლევს ხოლმე ცდუნება...

ვფიქრობთ, რომ ეჭვის საფუძველი მაინც უნდა იყოს თუნდაც იმიტომ, რომ ცოტა არ იყოს უცნაურია, რაიმე მომაკვდინებელი სენის ასახვა მაინცდამაინც შეიარაღებული ქონდრისკაცების სახით, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ უწევს და მხოლოდ მაშინ უმკლავდებიან, როცა მათ მხარესაა ძლიერი სალოცავი, ზებუნებრივი ძალა.

თავად ტერმინი „ჟამნიც“ ერთგვარი თავისებურებაა. მართალია, ეს წართანიანი მრავლობითის ფორმა ხევსურული დიალექტისთვის ძალზე დამახასიათებელია, მაგრამ საყურადლებო ისაა, რომ აქ ებ - იანი მრავლობითი თითქმის არ გვხვდება. ეს აძნელებს უამთა ჩვენებურად, ადამიანურად აღქმასაც. უცნაურია ისიც, რომ ანდრეზებში „ჟამი“, ანუ მხოლობითი რიცხვის ფორმა არ გვხვდება. კაცი იფიქრებს, ეს ჟამნი ყო-

ველთვის ჯგუფურად მოქმედებდნენ, ასეთი იყო მათი ტაქტიკა, ინდივიდუალიზმი მათთვის მიუღებელი ყოფილაო. არადა არდოტზე თავდასხმისას ჩანს, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარიც ჰყოლიათ; ხადუზე კი ნამდვილ შტურმს ახორციელებენ, ხან აქედან უტევენ, ხან - იქიდან, ბოლოს კი საღუდე ქვაბში შეუუულნი ცდილობენ შეიპარონ სოფელში (ტროას ცხენის განსხვავებული ვარიანტი)... უამთ მხოლოდ ჯვარისაგან ნატყორცნი ცეცხლისა ეშინიათ.

არაბორით არ უნდა დავუშვათ და ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს მარტივად ასახსნელ ზღაპრებთან. ეს ანდრეზები სიმბოლოების ენით მეტყველებენ და მათი „გადმოქართულება“ კვალიფიციურ მკვლევართა საქმეა.

ჟამნი ძირითადად უხილავი არსებანია, მათ საფარველი - ღვთაებრივი აბსტრაქციის ნიშანი ადევთ. ცდილობენ, რომ ადამიანებს არ დაენახვონ და ბრძოლაშიც მხოლოდ ერთ იარაღს ხმარობენ - შშვილდ - ისარს. ისრები სამფეროვანი აქვთ, შავი და წითელი მომაკვდინებელია, თეთრი - არა. ისინი ყველან სიკვდილს თესავენ. ესაა მათი ერთადერთი ხელობა. სიკვდილი სისხლთანაა ასოცირებული და ჟამთა წითელთბიანი ისრებიც სიკვდილს თესავენ, თუმცა შავთბიანთან შედარებით - „შეღავათით“, ორი - სამი დღის შემდეგ კვდებიან. ეს სიკვდილისა და უბედურების მთესველი არსებანი რატომლაც წითელი ჩექმებით დაიარებიან. ტანმორჩილნი და შეუპოვარნია, თბილი ქვეყნებიდან („ქალაქიდან“) მოსულებს ჰგვანან, რადგან სიცივეს ვერ იტანენ, ზამთარი არ მოსწონთ. ესაც ეპიდემის გავრცელების მიმართულების მიმანიშნებელი უნდა იყოს, ბარი-დან მთისაკენ.

ჟამნიც, ივანე ათაბაგისა არ იყოს, კაიხანს დარჩენილან ხევსურეთში - სამი (!) წელიწადი. ხან სად გამოჩნდებოდნენ და ხან - სად. დადიოდნენ, როგორც ჩანს, ფეხით. დაჰყავდათ ვირები, ხან - თეთრი ჯორები, რომელთაც აკიდებული ჰქონდათ შშვილდ-ისრები. საინტერესოა, რომ ანდრეზებში საბრძოლო იარაღებიდან მხოლოდ მშვილდ - ისარი ფიგურირებს, სხვა არაფერი, ხმალიც კი არა, არც ცხენი.

მშვილდ - ისარი აქ ქრონოლოგიურ სიგნალადაც კი შეიძლებოდა აღგვეხვა.

საინტერესო ისაა, რომ სახედრებზე (გნებავთ - ჯორზე) ამხედრებული ადამიანი ყოვლისმხილველი ხდება, რაც უამთა საიდუმლოებებში ჩახედვას ნიშნავს და რის გამოც მკაცრად - შვილის სიკვდილით სჯიან ჩვეულებრივ მოკვდავთ. აქაც სისასტიკით გამორჩეულნი არიან და რომელი შვილიც უფრო უყვარს მამას, იმას უკლავენ. სისასტიკე არც ზვიადაურების წინაპარს დააკლეს - ხარი დაუკლა, გულუხვად გაუმასპინძლდა, მაგრამ მათ ვირზე შეჯდომისათვის მაინც შვილის სიკვდილით დასაჯეს.

ნიშანდობლივია, რომ უამნი საადლაც სამხრეთიდან მოდიან, სადაც სიცივე ნაკლებია, ხოლო მათი აქტივობა მეტი. მათი შემოსვლა შემოჭრაა, უცხო ძალის ექსპანსიას ჰგავს, შეუპოვარნი და შეუბრალებელნია. ვიდრე სოფელს თავს დაესხმოდნენ, ხანდახან საქმეს იჭერენ ღვთის კარზე მოარულ მოწმიდარ პიროვნებებთან, რომელთაც „ჯვარი ხელზე მოსდით“ და მხოლოდ მათ ინდობენ. ეს დანდობაც იმის გამოძახილი უნდა იყოს, რომ მოწმინდარ ჯვარის ხელ-კაცებს სხვათაგან განსხვავებული ცხოვრების წესი ჰქონდათ და გარკვეულ იზოლაციაში იმყობებოდნენ. კოკიტასაც და ალიათ მგელასაც საფარველი ადევთ და გარეულნი არიან უამთა საზოგადოებაში. ისინი კეთილი ნების ტყვევებადაც კი მოსჩანან, რომელნიც მეგზურობასაც კი უწევენ უამთ.

ადამიანებს რის გაკეთებაც შეუძლიათ, სტვირების (სალამურების) გამოთლაა, დანარჩენი, მფარველ ღვთაებათა გარეშე, არაფერი შეუძლიათ, სტვირები კი ის სასიგნალიზაციო სისტემაა, რომლის საშუალებითაც უამთა ამოძრავება მაშინვე ფიქსირდება სადლაც შორს, მივარდნილ, მიყრუებულ მხარეშიც კი.

უამთათვის ადამიანები არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენენ; ერთადერთი, ვინც მათ წინააღმდეგობას უწევს, ჯვარია, სალოცავი, ღვთაება, რომელიც ყოვლისშემმუსვრელი ცეცხლით ებრძვის და ამარცხებს კიდეც მათ.

როგორც ჩანს, ფხოვს ორი დიდი უბედურება სჭირდა: საქართველოს ხელისუფალთა პერმანენტული შემოსევები და გადამდები ინფექციური დაავადებანი. ეს უკანასკნელი ისე ყოფილა გავრცელებული, რომ ხევსურეთის თითქმის ყველა სოფელშია ტოპონიმი „ნახიზნარი“, ყველასა და ყველაფრისაგან

მონწყვეტილი და მიუვალი ადგილი, სადაც მოსახლეობა უამიანობის დროს აფარებდა თავს.

არ არის გამორიცხული, რომ ამ ყველაფერმა ხალხის მეხსიერებაში გარკვეული დეფორმაცია განიცადა და ჩვენამდე ასე, ანდრეზის სახით მოაღწია.

და ეს ყველაფერი: მშვილდ - ისრების ეპოქა, აგრესიული ნიშნით აღბეჭდილი შემოსევები, შემოსევები უცხო ზნისა, ქცევისა და მრნამსის ხალხისა, კატეგორიული მიუღებლობა ადგილობრივი სალოცავებისაგან უცხოტომელთა, ხალხის ლტოლვა საკუთარი საცხოვრისიდან და თავშესაფრის ძებნა სხვაგან და ა.შ. ანარეკლი უნდა იყოს მირიან მეფისდროინდელი ლაშქრობისა ფხოვში. არ შეიძლებოდა, რომ უკვალოდ გამქრალიყო ისეთი ტომობრივი ტრაგედია, რომელიც დასრულდა აბორიგენი მოსახლეობის ერთი ნაწილის საკუთარი სამკვიდროდან აყრითა და სხვაგან გადახვეწით. ფხოველებმა, როგორც განვითარების აღრეულ საფეხურზე მდგომმა საზოგადოებამ, ეს განსაცდელი ზეპირ გადმოცემებში შეინახა, რამაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში „ფერი და ხორცი“ კი იცვალა, მაგრამ სული მაინც პირვანდელი შეინარჩუნა.

მიუხედავად იმისა, თუ უამიანობის შესახებ რა თვალსაზრისს ვავითარებთ, უნდა ითქვას, რომ ანატორის აკლდამები არც ისე ძველი უნდა იყოს, როგორც ჩვენს დროში წარმოგვიდგენია. შესაძლოა, მუცოს აკლდამები უფრო ხანდაზმულია. საქმე იმაშია, რომ ანატორის აკლდამებისა და ქაჩუს ადგილმდებარეობა, თუ მათ სტრატეგიულ ჭრილში განვიხილავთ, ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ჩვენი შეხედულებით, არავითარი აუცილებლობა არ იყო იმისა, რომ მიცვალებულთა „სასახლეები“ ასეთ მიუვალ ქარაფებზე აეშენებინათ. ეპიდემიისაგან თავდასაცავად მათი იზოლაცია, დისტანცირებაც იკმარებდა, როგორც, მაგალითად, მუცოში. ანატორის აკლდამები, თავისი არქიტექტურით, სპეციფიურია და იგი პასუხობს დანიშნულებას, მაგრამ ეჭვს თავადიქაური ლანდშაფტურ-რელიეფურობა იწვევს. აქ უნდა მდგარიყო ქაჩუს ტიპისა და ფუნქციის ციხე-სიმაგრე; შესაძლოა, ძალიან ძველიც, ან, სულაც, XII-XIII სს. პერიოდისა, რომელმაც შემდეგ, რიგი და რიგი მიზეზებისა და გარემოებების გამო, თავისი მნიშვნელობა დაკარგა. მის ადგილზე

მიცვალებულთა ძვალთშესალაგის აშენება, ან აშენებულის, ნანგრევის გარდაქმნა კი ექსტრემალურ სიტუაციაში დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა; ამიტომაც დაჰკრავს სახელ-დახელოდ ჩატარებული ღონისძიების ელფერი. უამიანობისა-გან შეწუხებული და შეთხელებული მკვიდრნი აქაურობისა, ცხადია, „საქმის იოლზა“ მიზიდა, თორებ სამიმოსვლო გზაჯვარედინზე ინფექციური შინაარსის „დაწესებულება“ რა ასაშენებელი იქნებოდა?! სხვაგვარად ძნელი ასახსნელი გვგონია, რატომ უნდა წამოესკუპებინათ ასეთ ოვალშეუდ-გამ კუნწუხზე ისეთი ნაგებობები, რომლებშიც მიცვალე-ბულთა ძვლების მეტი არაფერი „ინახებოდა“. ამ ხერთვისში, თანახმად ქართული ტრადიციისა, უნდა მდგარიყო დიდი სტრატეგიული დანიშნულების ფორპოსტი, რომელიც ქაჩუს-თან და შატილთან ერთად იცავდა ორივე ხეობას. ერთიანო-ბაში კი სამივე ეს პუნქტი ქმნიდა სამედო სადემარკაციო-თავდაცვით კომპლექსს, რომელიც კეტავდა ჩრდილოეთის თბილისთან დამაკავშირებელ მაგისტრალს არღუნისა და არაგვის ხეობების გასწვრივ. არ არის გამორიცხული, რომ ადრეფეოდალურ ან უფრო გვიანდელ ეპოქებში შატილის კომპლექსი სამხრეთული მრისხანე იმპერიებისაგან ჩრდი-ლოელთა თავდასაცავადაც აშენდა. უფრო კი, ჩვენი ვარაუ-დით, ქართული სახელმწიფოს თავდაცვას უნდა მომსახურე-ბოდა და, სხვათა შორის, ძალზე ეფექტურადაც. საქართვე-ლოს სამეფოს კავკასიონზე გამავალი სასაზღვრო ხაზის ამ მონაკვეთზე საშიშროება არასოდეს დამუქრებია. აქაური ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა თავის წილ და, მაშასადამე, სახელმწიფო ადგილ-მამულს საიმედოდ იცავდა. ეს ტერი-ტორიები სადედოფლო და სახასო სამფლობელოებად ცხად-დებოდა. ესაც ერთგვარი დიპლომატიური მანევრი იყო - სა-საზღვრო ზოლი ამით თან სამეფო ხელისუფლების იურის-დიქციაში ექცევოდა და თან იქაური მოსახლეობისადმი სამე-ფო კარის კეთილგანწყობას უსვამდა ხაზს.

თუკი ოდესმე მართლაც იდგა ანატორის ადგილზე საფორტიკაციო ნაგებობა, შესაძლოა იგი დაკავშირებული იყოს ივანე მხარგრძელის სახელთანაც.

## დევნი

ქართულ ზეპირ თუ წერილობით გადმოცემებში (ლე-გენდები, ზღაპრები და ა.შ.) დევები ხშირად არიან დახატულ-ნი, როგორც უარყოფითი პერსონაჟები. აღნერილია მათი საქმიანობა, გარეგნობა, ზნე – ჩვეულებანი და სხვანი და სხვანი, მაგრამ ფშავ-ხევსურულ ხალხურ ეპოსში სულ სხვა-ნაირი სისადავითა და სიცხადით არიან აღნერილნი და წარ-მოდგენილნი, როგორც ცხოვრების თავისი ებური წესის მქონე საზოგადოება. მათი ძირითადი სამყოფი და საცხოვრისია ციხეთგორი, ფშავის სოფელ უძილაურთაში. მათ პყავთ თა-ვისი ხელმწიფე, რომელიც აქედან მართავს დევების „ქვეყა-ნას“; აქვე იმართება კრებები, რომლებზეც მათი საჭირბო-როტო საკითხები განიხილება (182).

დევებს პყავთ თავიანთი ფალავნები, ანუ „ერისთავე-ბი“, რომლებიც თავიანთ ხეობებს განაგებენ. ესენია: მუსა, ბეღელა, ვერხველა, ავთანდილი, მიგრი და გამხვეურა. და-ნარჩენები ჩვეულებრივი, რიგითი დევებია, დაბალი ფენა. ასე რომ, რაღაც კლასობრივი დიფერენციაციის მსგავსიც ილანდება. ვერხველა ხაშრიდან არი, ავთანდილი და მუსა - კართანიდან, მიგრი - მიგრიაულთიდან და ა.შ.

დევების დაუძინებელი მტერია კოპალა, თავიდან ჩვეუ-ლებრივი, ხორციელი ადამიანი, რომელიც ყმანვილობაში დევებს მოუტაცნიათ. იგი ტყვეობაში და მოჯამაგირეობაში წამოზრდილა და გაპეპარვია დევებს. გზად იხინჭის ეკლესია-ში ბერებს გადააწყდა, რომლებთანაც თავის შესაფარებლად გაჩერდა. კოპალამ აქ ლოცვაში და მორჩილებაში ცხოვრე-ბით დამბადებლისაგან მიიღო ძალა და ნება დევებთან ბრძო-ლისა (182). აშკარაა, რომ აქ კოპალას „ბიოგრაფიაში“ ქრისტიანული რელიგიის ნაკადი შემოდის.

ღვთისაგან ხელდასხმული და გაძლიერებული კოპალა ციხეთგორში მივიდა და დევებს განუცხადა - დამიცალეთ აქაურობა, თუ არა და დაგაცლევინებთო. მათ ერთმანეთს გადახედეს - „ეს ბუკუკა ჩვენ რას დაგვაკლებსო“ და წინ რკინის კუნძი და ცული დაუწყვეს - დაჩეხე, თუ ეგეთი ძლიე-რი ხარო. კოპალამ რკინის კუნძი ცულის დარტყმით გააპო.

შეფიქრიანებულმა დევებმა ახლა უკვე პირობა შესთავაზეს: ირემთკალოდან ციხეთგორისკენ ქვები ვისროლოთ და ვინც აჯობებს, ციხეთგორი იმას დარჩესო. ეს მონიშნული ადგილები ხეობაში გაღმა - გამოლმა მდებარეობენ. ირემთკალოზე მოიყარეს თავი დევების ფალავნებმა და „გაჰკრეს“ ქვები. კოპალამ ღვთაება კვირიას დახმარებით გამარჯვება მოიპოვა და ციხეთგორიც მას დარჩა, მაგრამ ის და დევები მაშინ მტრებად დაშორდნენ. ციხეთგორიდან დევებმა არაგვის ხეობაში - კართანაში გადაინაცვლეს და გადაწყვიტეს კოპალასთვის ქვის სკამი (საკარგყმო?) მოეპარათ. როცა მუსა დევს ქვა მოჰკონდა, კოპალა წამოენია, ლახტით მოკლა და ავთანდილ დევიც მას მიაყოლა, რომელიც ქვად იქცა და წყალში ჩავარდა.

კოპალამ გადაწყვიტა, დევები ერთხელ და სამუდამოდ შეემუსრა და გასწია მიგრიაულთ გორის ბოლოში გამართულ ქორნილში, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ყველა დევი. ასეც მოხდა, კოპალამ დევები ამონწყვიტა, გადაურჩა მხოლოდ ერთი თვალგამოთხრილი დევი, რომელიც აბუდელაურის ტბაში ჩაძვრა; ის კი იახსარმა მოკლა. იახსარმა მოკლა აგრეთვე დევთა ფალავანი, ხაშარელი ბეღელაც.

კოპალას უდიდესი ავტორიტეტი აქვს „ხთის კარზე“. იქ შეკრებილ ქაჯებში, რომელთაც ნება აქვთ ბუდიდან მზის გამობრუნების დროს ხთის კარზე მისვლისა, კოპალას გამოჩენა ძრნოლასა და შიშის ზარს იწვევს. იგი ქაჯების მიმართაც ისეთივე სასტიკია, როგორც დევების მიმართ. ქაჯი მანდილოსნებით საგსე მინდორს ცეცხლს გაუჩენს და იქ შეკრებილ ქაჯებს ერთიანად ამობუგავს.

ლიქოკელი კოპალა და შუაფხოელი იახსარი „მოძმენი“ არიან და ბოროტების წინააღმდეგ ერთად იბრძვიან. „იორზე და თიანეთში იახსარმა ამონწყვიტა დევები, ფშავ - ხევსურეთის მიდამოს კი კოპალამ“ (184). ავსულებთან მებრძოლი ეს ორი ღვთაებრივი გმირი ერთი და იმავე საბრძოლო იარალით არიან აღჭურვილნი - ლახტით, რომელიც არის „უმკვეთელო საცემი საომარი“ (საბა) ე.ი. არც ხმალია, არც ხანჯალი. ხალხური წარმოდგენით იგი მათრახია, ასევე განმარტავს დ. ჩუბინაშვილი. „შვიდკეცი, შვიდი მხარი“ (ხალხ.) მათრახითაა შეიაღებული წმინდა გიორგიც. ეს ია-

რაღი ბიბლიური მოსეს ღვთაებრივი კვერთხის ასოციაციისაც იწვევს, რაც, თავისთავად, ანდრეზული შინაარსის სიძველეზეც მიუთითებს; ხოლო „კოპალას“ ეტიმოლოგიური კვლევის დროს (კოპალი-კობალი-კომბალი) აკად. ავთანდილ არაბული ასეთ დასკვნას აკეთებს: „ვინაიდან კოპალა რკინის მფლობელი არ არის, მის დონეზე ლახტის მნიშვნელობად უნდა ვიგულისხმოთ ჯოხის, კვერთხის რაღაც სახეობა. სწორედ ეს მომენტი აკავშირებს კოპ=კობ ძირის საბრძოლო იარაღსა და გმირის სახელს“ („ქართველური ონომასტიკა“, გვ.55, I, 1998, თბილისი). მართლაც, ანდრეზებში ხაზგასმითაა ნაჩვენები, რომ დევები რკინის-მფლობელნი არიან და, ამდენად, შედარებით, განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი საზოგადოებაც.

იახსარიც თავიდან ჩვეულებრივი, ხორციელი ადამიანი ყოფილა, „ნმინდა ბერი“. იგი ნინახში მკვიდრობდა და იქვე ჰქონდა სამლოცველო და საბერო. აქედანვე ყარაულობდა მდიდარ დევ გამხვეურას. ფშავის არაგვის ხეობის ქვემონელზე იმ დევის ნადგომს გამხვეურთკარი ჰქვია, მის გაღმა კი მდებარეობს თხილიანა. აქაც დევებს უკხოვრიათ. ამ გაღმა-გამოლმა დამკიდრებულ დევებს „ფაცერი ჰქონიათ გაბ-მული“ (202), ამვლელ -ჩამვლელ ხალხს იჭერდნენ და ჭამდნენ. მოძლავრებული და მოლონიერებული დევები, გამხვეურას შვილები იახსრის სამოსახლოს მიუახლოვდნენ და სახლების შენება დაიწყეს. იახსარმა მათ თავისი ძალა აჩვენა, იქ დასახლების ნება არ მისცა.

კოპალასა და იახსარს მოლაპარაკებული ჰქონდათ: კოპალას ციხეთგორზე უნდა ამოეწყვიტა დევები, იახსარს -იორზე, ხაშარს. ხაშარი დევების სატახტო ყოფილა, რაკილა აქ, ერთი ვარიანტით (202), ცხოვრობდნენ დევების მეფე მუზა და „ბეღელა, ლამაზი დევის ქალი“ (მუზას მეუღლე?). აქ კვანძი იკვრება და ორი ანდრეზი (182, 202) ერთმანეთს ემთხვევა. პირველში თუ დევების სატახტო ციხეთგორია, ხოლო ბეღელა მამრობითი სქესის, მაგით ბევრი არაფერი იცვლება. მთავარია, რომ ორი ღვთაება გმირი შეთანხმებულად მოქმედებს. კოპალა მიდის ციხეთგორს, რათა დევებმაც იქით გასწიონ და მუზა-ბეღელაც იქით გაემართოს. გზად კი,

ხაშარის გადმოსასვლელში, საპარავისყელში, იახსარი ჰყავს ჩასაფრებული, რომელმაც დევს თავში ლახტი სცა და მოკლა. მერე კი ჩაეტანა ხაშარში დარჩენილ დევებს და ყველა ამონწყვიტა. იორზე იახსარმა გაიმარჯვა, არაგვზე - კოპალამ. გმირი ღვთაებების მიერ წამოწყებული ჯანყი დევების წინა-აღმდეგ წარმატებით დასრულდა.

ამის შემდეგ იახსარი კლავს განთქმულ დევ ვერხველას და დევების ტყვეობიდან დაიხსნის ღვთაება პირქუშს, გამო-ერვა გამხვეურთკარში და თხილიანაში მცხოვრებ დევებს და ერთ გაქცეულ დევს გაეკიდება ხევსურეთში. ს. როშკის მახლობლად, აბუდელაურის ტბაში მოკლავს იმ დევს იახსა-რი და ტბას დევის სისხლი გადაეკვრება და იახსარს ხელ-ფეხს შეუკრავს. იახსარი სამი წელი (ისევ რიცხვი სამი!) დარჩება იმ ტბაში, სანამ ს. ბლოდან ოთხრქა - ოთხყურა საკლავს არ მოიყვანენ და მისი სისხლით ტბიდან ამოსას-ვლელს არ გაუხსნიან

ყოველივე ამის შემდეგ კოპალა და იახსარი ხორციელ ცხოვრებას ტყვებენ, საფარველს იდებენ და ღვთაებათა სა-ხით აგრძელებენ არსებობას.

\* \* \*

დევები, ერთი ხანობა, ადამიანებს „ზეპირ“ - საცხად (ცხადად) ეჩვენებოდნენ და, რატომდაც, იარაღით ორთაბ-რძოლაზე მეტად, სხვა სახის შერკინება აინტერესებდათ. მარტია მისურაულთანაც კი მისულა ერთი დევი (11), მაგრამ იმას მაშინვე მშვილდისრისთვის მოუზიდავს. დევს ჭიდაობა შეუთავაზებია, ამას უკან აღარ დაუხევია და დევიც იძულე-ბული გამხდარა, რომ იქაურობას გასცლოდა. ანდრეზებს ახასიათებთ ხოლმე გარკვეული სახის აღრევები, აქაც ერთგვარი აღრევაა, ოღონდ აქ - დროისა. მითიურ სა-ბურველში გახვეული დევები სადღაც შორეთში დაბორია-ლობენ, ქრონოლოგიური ჩარჩო არ გააჩნიათ, მარტია მი-სურაული კი რეალური პიროვნებაა, ჭორმეშიონი „შავი კლდე“, ზურაბ ერისთავის დაუძინებელი მტერი.

დევის ქალები ხევსურ მამაკაცებს გაუმიჯნურდებიან ხოლმე და მათთან სწორფრობის წესით მიღიან. ასეთი რამ მომხდარა ხახმატშიც (29). ქალს უნახავს, რომ მის ქმართან ნაწოლ ქალს თმის „ნაჭაპნი“ ქაზდარზე ჩამოსვლია. ამან ის თმა ერბოში გაპოხა და დევის ქალს ისევ ლოგინში ჩაულაგა. ეს პატივისცემის გამოხატულება იყო და დევის ქალმა ასეთი საქციელი სათანადოდ დააფასა: უკითხავს სწორფერის-თვის, „შენს ცოლს რა უფრო ანუხებსო?“ უპასუხნია დევის-თვის კაცს, - ჩემს ცოლს ქსელი აქვს ყდაზე დასამთავრებელი და ყანა მოსამკელიო. მეორე დილით ცოლ-ქმარს ორივე საქმე მოწესრიგებული დახვედრიათ.

პირიქითაც ხდებოდა - დევის ვაჟი გაუმიჯნურდებოდა ხოლმე ხევსურ ქალს. ერთხელაც ახალგაზრდა დევს შეჰყვარებია ბლოელი ქალი. ეს უკანასკნელი ძროხებს მწყემსავდა და დევი მინდორში ეცხადებოდა. ისე დაახლოებულან, რომ ერთმანეთს ხელდახელაც კი ეთამაშებოდნენ. ამასობაში ბლოელმა გოგონამ შეამჩნია, რომ ვაჟს მკლავი ძალიანი ჰქონდა. გაოცებულმა გულუბრყვილოდ წარმოთქვა: „იახსარო და კობალავ, თქვენ დამწერეთ ჯვარი, ამას რარიგი მკლავი ჰქონიაო“ (97). ეს სიტყვები საქმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კარატის წვერიდან ღრუბელი ამოზრდილიყო, შემდეგ იგი ცეცხლად ქცეულიყო და დევის ვაჟი ადგილზე დაეფერფლა. აქ მოხმობილი შემთხვევები კი იმის ნიშანიც არის, რომ სიყვარულის გრძნობა დევებისთვის უცხო არ ყოფილა.

დევები რაინდული წესით ებრძვიან ჩვეულებრივ მოკვდავთ: „იმას უფლება არ აქვ, რო მეტის ძალით შეებას, რაც კაცს ძალი აქვ“ (32), ოლონდაც თვალი თვალში არ უნდა გაუყაროს. კი აქვთ, რა თქმა უნდა, ეს ძალა, მაგრამ მისი (არაპროპორციული ძალის!) სრულად გამოყენების ნება ღვთისგან არა აქვთ. ღვთის წინაშე კი ანგელოზიც და ეშმაქნიც თანაბარი უფლებით მიღიან (32) იმიტომ, რომ ორივე ღვთისგან არის გაჩენილი.

დევებს არ უყვართ პირობის გამტეხი ადამიანები. საიდუმლოს შემნახველებს აჯილდოებენ კიდეც. ეს ჯილდო მათი გამოჭედილი სახნის - საკვეთელია, რომელიც ბარაქიანობით გამოირჩევა.

დევები უზარმაზარი არსებანია, სახლის ბანზე რომ შედგებიან, იქაურობას ზანზარი გაუდის, ტანი კი ბალნიანი აქვთ. ლექსიც ყოფილა ამაზე, ოღონდ გვიანდელი კი უნდა იყოს: „მეც ვნახენ იმის ძუძუნი, ბარდლლ ესხა, როგორც მელასა. წელთ თაობას კი სრუ ესხა, ვინ შინჯავს იმის ქვენასა“ (33). ფიზიკურად ძალიან ძლიერნია, მაგრამ, როგორც ითქვა, ადამიანებს „ძალს უწონენ“, უთანაბრებენ.

დევებს მეორენაირად „კოჭუკულმართთაც“ ეძახოდნენ, „ფეხები უკან ჰქონიათ, ცერა თითები არა ჰქონია“ (324). იყვნენ ისეთებიც, შუბლში რომ ჰქონდათ თვალი და ერთის მაგივრად რამდენიმე თავიც, კუდი და ა.შ.

დევებს ეხერხებოდათ მჭედლობა, საუკეთესო მჭედლები იყვნენ, განსაკუთრებით კი შრომის იარაღებისა - სახნისაუკეთლების. ისინი ადამიანებთან ურთიერთობას არ გაურბიან, მათთან დაძმობილებაც კი იციან. ასეთ შემთხვევაში ადამიანი მათგან ბევრ რამეს სწავლობს, მხარში უდგანან, უღალატონია და ძმობის გატანაში თავდადებული, მაგრამ თუ მტრობა და მოსისხლეობა ჩამოვარდა, სასტიკნია და შეურიგებელი, მათი სისხლი არავის შერჩება, ოღონდ თოფისა ეშინიათ, უმისამართოდ გასროლილი ტყვიაც კი მათ ხვდებათ (33).

დევებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონიათ „ჯვარის ხელკაცებთან“, ე.ი. ჯვარში, ხატში ხელდასხმულ ადამიანებთან; ისინი მათი შეურიგებელი მტრები იყვნენ, როგორც, მაგალითად, ლიქოკელი ომა და დევები. ისინი ერთხელაც შუაფხოს ჭალაზე გადააწყდნენ ერთმანეთს. ომამ საშველად გმირ კოპალას მოუხმო. მის წინ მდგომ დევს უმალირემთკალოდან ავარდნილი ცეცხლი დაეცა და ნაცრად აქცია. (64). ამის შემდეგ უფრო აემტერნენ ომას დევები და აი, ბაცალიგოდან ლიქოკში მიმავალს ცხენზე შემოუჯდა შავნაბდიანი დევი. შეიძნენ და ომამ ხანჯრით სასიკვდილოდ „ქრა“ ავსული. ომას მფრინავი ხატი ხელზე მოუდიოდა და ამიტომ ვერაფერს აკლებდნენ დევები.

მას მერე, რაც კოპალამ და იახსარმა დევები ამოწყვიტეს, მათ სახელზე დარჩა ერთი სალოცავი - დევთდედა, ს. როშკაში. ამ დევთდედას ჰყავს ს. ხორნაულთაში რძალი, ხოლო როშკაში - დედამთილი. ე.ი. მხოლოდ მდედრი დევები

დარჩენილან, მაგრამ ისინიც საშიშნია, განსაკუთრებით ფეხ-მძიმე ქალებისთვის. მარცხისა და ზიანის თავიდან აცილების მიზნით როშეკონი ქალები დევთდედის სალოცავთან ქადა - სანთლით მიდიან, ოღონდ აქ სანთლის მაგიერ მუშა (ცაცხვის ქერქი) ანთებენ. ბავშვების სიკვდილიანობის თავიდან ასაცილებლად იქ საკლავებსაც კლავენ (89). ასე რომ, მდედრი და მამრი დევი, თუ იგი ნაწყენია, ერთნაირად საშიშია.

დევებისთვის სიკეთის თესვა ჩვეულებრივი ამბავია, მითუფრო, თუ საშიშროება მათი ძმადნაფიცი ადამიანის ოჯახს ემუქრება. ხევსურეთის ს. გუროში მცხოვრებ უთურგას ძმობილი დევი ჰყოლია, რომელსაც გაუგია, რომ სათიბში მყოფ უთურგას ოჯახს საწყლე თუნგში გველი ჩასძრომია. დევს ეს შეუტყობინებია ძმობილისთვის, იმასაც თუნგიდან წყალი დაუქცევია და წყალს მართლაც გველი გადმოჰყოლია (111).

დევებს წინასწარმეტყველების უნარიც აქვთ. აგრეთვე გუროელ იმედას დევებმა შეატყობინეს, რომ ძმის მკვდელს ტყუილად დასდევ, ის შენს „ხელს არ სწერიაო“, ამის შემდეგ იმედამაც დაანება თავი სისხლის ალების მცდელობას (115).

დევს რომ „სჭრიდა“ ადამიანი, ისინი არ გარბოდნენ, არამედ სთხოვდნენ, რომ კიდევ დაერტყათ ხანჯალი; ორი ჭრილობა თუ ჰქონდათ, დამიმესამეო, ეტყოდნენ. თუ აქ ადამიანი შეცდებოდა და მესამედაც დასჭრიდა, თავის თავს ავნებდა, მაგრამ თუ ეტყოდა, რომ ამა და ამ ჯვარმა დაგიმესამოსო, დევი ფერფლად იქცეოდა. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ყურები გადარჩებოდა დაწვას. მერე იმ ყურებს ავგაროზად ატარებდნენ, ოღონდ არავის არ უნდა სცოდნოდა ამის შესახებ და ათასნაირი ხიფათისაგან დაიფარავდა (139). საინტერესოა, რომ მთიულეთშიც ყოფილა მსგავსი ტრადიცია - ლორის ყურებს მცირენლოვანი ბავშვის აკვანზე ჰკიდებდნენ, რათა ავგაროზის ფუნქცია შეესრულებინა.

დევებს ლუდი ჰყვარებიათ ძალიან. არხოტის თემის ს. ახიელში, ჯვარში დაყენებულ ლუდს შესჩვევიან, მაგრამ გზად ფუნჩას სახლი უნდა გაევლოთ, მას კი თოფი ჰქონდა, ხოლო თოფისა დევებს ძალიან ეშინოდათ. თოფს დევურად „კუ“ რქმევია. ლუდის დასალევად ჯვარში მიმავალი დევები ფუნჩას სახლთან შეჩერდებოდნენ და იკითხავდნენ: „ფუნჩა

შინ ასა? კუ შინ აქვა?“ თუ დადებით პასუხს მიიღებდნენ, ნირჩამხდარნი უკან გაბრუნდებოდნენ, თუ არა და - ჩავი-დოდნენ ჯვარში და ლუდიან კასრებს ამოსვამდნენ.

ერთხელაც დევებს გზაში ხმლით შეიარაღებული თა-მარისძეთ კაცი ჩასჯდომია (ნაროზაულების გვარისა), მაგ-რამ ერთი დევი მაინც გაეპარა ჯვარში და მას იმ დროს მიას-წრო, რომ ლუდიან კოდში (კასრში) თავით არის დევი ჩაყუ-დებული და სვამს. ნაროზაულმა აღარ დააყოვნა და ლუდის ქურდს ორთაბრძოლაში თავი იქვე გააღდებინა, მაგრამ იქაუ-რობა დევის სისხლით დაისვარა, რის გამოც დაედოთ ძენ-გლი - საკლავ - სასმელი. ძენგლი თაობიდან თაობას უსას-რულოდ(?) გადაეცემა.

\* \* \*

ბ - ნ ზ. კიკნაძის მიერ გამოცემულ „ანდრეზებში“ დე-ვების თემა, გარდა ფშავ - ხევსურეთისა, მთის სხვა კუთხე-ებში ჩაწერილ მასალებშიც არის წარმოდგენილი, ოღონდ ძა-ლიან ნაკლებად, კანტიკუნტად. ფხოვური უფრო ერთიანი და მთლიანი, თითქოს გარკვეულ სისტემაში მოქცეულია და პერსონაჟებიც უფრო შთამბეჭდავი. რა თქმა უნდა, თქმუ-ლებანი ამით არ ამოიწურება არც მთაში და არც ბარში. ჩვენ-თვის ანდრეზული შანრის, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადმო-ცემები უფრო საინტერესო იყო და რაკი მათი ერთად თავ-მოყრა და გამოცემა გახდა შესაძლებელი, რაც, თავისთავად, უდიდესი ამაგია ღვანწლმოსილი მეცნიერისა, ჩვენც ამით დავკმაყოფილდით.

ახლა კი სხვა თვალით შევხედოთ დევების თემაზე შექ-მნილ ანდრეზებს და ვნახოთ, გამოიხატება თუ არა მათში რამე ცოტად მაინც სპეციფიური და დამახასიათებელი, ანუ ისეთი, ისტორიის კვალზე რომ დაგვაყენოს.

დევების ცხოვრებისა და მოქმედების ქრონოლოგიური ჩარჩოს დადგენა ძნელი საქმეა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: აქ საქმე ეხება დროში დაძველებულ ამბებს და ეს დრო მოი-ცავს, სულ ცოტა, ერთ ათეულ საუკუნეს მაინც, ანუ იმდენად ძველია, რომ სინამდვილემ ლეგენდარულ-მითოსურ პლანში

გადაინაცვლა, მაგრამ ხალხის მეხსიერებამ გაცვეთილი რეალობა, როგორც რაციონალური მარცვალი, მაინც შემოინახა. ასე რომ, ყველაფერი ის, რაზეც ანდრეზებშია ლაპარაკი, ჩვენის ვარაუდით, ფხოვის დროინდელია და ფხოველთა ცხოვრების ამა თუ იმ სფეროსა და ეტაპს ასახავს.

უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია ის გარემოება, რომ დევების წინააღმდეგ მებრძოლი ორი ღვთაება, იახსარი და კოპალა, თითქოს ორ კუთხეს განასახიერებენ - ფშავსა და ხევსურეთს. ანუ შეიძლება ითქვას, რომ მათ გარშემო შექმნილი ანდრეზები ფხოვის ცხოვრების იმ ეპიზოდს ასახავენ, როცა ეს პროვინცია უკვე დაშლის გზაზე შემდგარი. ორივე მოძმე ღვთაება იბრძვის ერთი საერთო მტრის წინააღმდეგ და ცდილობენ მის გაძევებას თავიანთი სამკვიდროდან. ფშაველები და ხევსურები დღესაც კი ორივეს თავიანთ მფარველ ღვთაებებად აღიქვამენ, მაგრამ პირველნი იახსარს უფრო „ენდობიან“, ხოლო მეორენი - კობალას. იახსარის ხორციელი ცხოვრება ფშავიდან იწყება, კოპალასი - ხევსურეთიდან.

სხვათა შორის, ცალკე ყურადღების ღირსია კიდევ ის ლამაზი ანდრეზი, კოპალას სალოცავის დაარსებას რომ ასახავს კარატის მთის წერზე. აქაც ხელშესახებად არის გასიმბოლოებული ფშაველთა და ხევსურთა ოდინდელი ერთობა. ფშაველი ქალწული და ხევსური ვაჟი ღვთის ნებით აარსებენ საერთო სალოცავს. აქ საინტერესოა ისიც, რომ ხალხის მეხსიერებაში ცოცხალია აგრეთვე ბიძლიური ადამ და ევას დროინდელი სიწმინდის განცდა. ამით ანდრეზის სიძველე და სიღრმეა ხაზგასმული.

ყოველივე ეს უნდა მიგვითითებდეს იმ გარემოებაზე, რომ ფხოვი თითქოს ჯერ კიდევ ერთიანია, მაგრამ აღარც არის. ყოველ შემთხვევაში იმდენი განცდა კი შერჩა ერთიანობისა, რომ მხარდამხარ, თითქოს წინასწარ გააზრებული გეგმის მიხედვით იბრძვიან საერთო მტრის წინააღმდეგ. შეთანხმებულად მოქმედებენ ერთი ივრის ხეობაში, მეორე - არაგვისა და ბოლოს ერთად იყრებიან სადღაც ფშავის არაგვის ხეობაში, შუაფხოს მიდამოებში. ისიც ნიშანდობლივია, რომ რელიგიურ - საკულტო ნიშნები აქ, ფშავ - ხევსურეთის მომიჯნავე ტერიტორიებზეა თავმოყრილი.

დავუშვათ, რომ კოპალა და იახსარი სიმბოლურად გამოხატავენ ფშავსა და ხევსურეთს, ანუ ფხოვს. მაშინ თავის-თავად იძადება კითხვა : აბა, რას ან ვის უნდა გამოხატავ-დნენ დევები? ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, დევები უნდა განასახიერებდნენ თამარის (შემდეგ კი მისი შთამომავლების) მიერ ფხოვში ჩაყენებულ ადმინისტრატორებს, რომელთაც ევალებოდათ ამ ურჩი კუთხის რკინის ხელით (ორივე მნიშვნელობით) მართვა. ეს მმართველობა კი, ობიექტური პოლიტიკური მიზეზების გამო XIV საუკუნემდეც არ გაგრძელებულა და ფხოვიც, შემდეგში საქართველოს სამეფო კარისაგან სახასო სამფლობელოს სტატუსით განისაზღვრებოდა. ასე იმიტომ კი არ მოხდა, რომ სამეფო კარს სხვაგვარად არ შეეძლო, არა, უბრალოდ არ იყო, ალბათ, ამის საჭიროება. ეს ღარიბ - ღატაკი კუთხე ნებისმიერი მეფის ხაზინას ბევრს ვერაფერს შემატებდა. მათი იქ ყოფნა კი, სადაც იყვნენ, ქვეყნისთვის ორ კარგ საქმეს მაინც აკეთებდა: საიმედოდ გადაკეტილი ჩრდილოეთის საზღვარი და თავშესაფარი შიშიანობის დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ამ ფუნქციებს გაჭირვებისაგან ნელში გაწყვეტილი მენაპირე-მესაზღვრე ხალხი ვეღარ შეასრულებდა. ყოველივე ეს თავადაც უკეთ მოეხსენებოდათ ჩვენს მეფებს. მთავარია ქვეყნის, ხელისუფლების წინააღმდეგ აღარ აღმდგარიყვნენ და ხელისუფლებაც რაღაც-რაღაცეებზე თვალს დახუჭავდა, თუნდაც რელიგიურ საკითხზე, რითაც დაიწყო თავდაპირველი უთანხმოება ფხოვსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის.

ნაგებობათა ნაშთები, რომლებსაც ხალხი დევების ნასახლარებს უწოდებს, თითქმის ყველგან სტრატეგიულ ადგილებზე მდებარეობენ. ესაც არ უნდა იყოს შემთხვევითი - ის „დევები“ დისლოკაციისათვის, ცხადია, სტრატეგიულ პუნქტებს შეარჩევდნენ. ასეთი პუნქტები შესაძლოა, მანამდეც არსებობდა, საიდანაც „დევებმა“ ადგილობრივი მოსახლეობა გააძევეს და თვითონ დადგნენ.

პატივს ვცემთ ცნობილი მკვლევარების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, მაგრამ ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ღვთიშვილთა და დევებს შორის მიმდინარე სასტიკი ბრძოლა გამოხმაურება უნდა იყოს ფხოველთა ცნობილი განდგო-

მისა. ანდრეზებში ასახული ეს მძაფრი დაპირისპირება გა-მოძახილი უნდა იყოს აგრეთვე ულუ დავითის მეფობაში მომხდარი ფხოველთა ამბოხისა, რომლის ვრცლად აღნუს-ხვასაც მემატიანებმა გვერდი აუარეს და რომლის საპასუხო ღონისძიებაც იყო მესტუმრე ჯიქურის მიერ მოწყობილი დამსჯელი ექსპედიცია ფხოვში. ეს არ იქნებოდა თამარის-დროინდელი მასშტაბის ამბოხი, თორემ მემატიანენი ასე ერთი ფრაზის ამარა ეგებ ახლა მაინც არ დატოვებდნენ. ანდრეზების ჰეროიკული ხასიათი ხანდახან აქეთკენ უფრო გვიბიძებს, რადგან ხალხის მეხსიერება მომხდარი ფაქტის სიმძაფრეს უფრო აღიქვამს და „ინერს“, ვიდრე ამ ფაქტის მიზეზსა და შედეგს. გადაჭარბებული არ უნდა იყოს, თუ ვიტყვით, რომ ივახე ათაბაგმა ფხოველთა აჯანყება სისხლში ჩაახშო. პირქვე დამხობილ ხალხს კი საჰეროიკო აღარაფერი აქვს და მაშინდელი ამბების გამო, შესაძლოა, ამიტომაც სუ-ფეს ისტორიაში სიჩრუმე, თორემ როგორ შეიძლება, იმხელა მნიშვნელობის ფაქტი ფხოველთა მრავლისდამტევ ხსოვნას ამა თუ იმ ფორმით არ შემოენახა. ის ხევსურული „ძველი რჯულიც“, რომლის ნორმები ახლა თითქმის აღარავის ახ-სოეს, ერთი გამოჭიატება უნდა იყოს ფხოვური სამართლისა, ერთი გამონაუონი, რომელიც შემდეგ უარყო სამაგანძუროს შედარებით უფრო ლმობიერმა სამართალმა.

თუმცა, თუმცა გადაჭრით თქმა ახლა ან - ამის, ან - იმის, ალბათ, შეუძლებელია.

ზემოთ ციტირებული ანდრეზები იმის საშუალებას მა-ინც იძლევიან, რომ წარმოვჩინოთ ზოგადი სურათი და გა-მოვთქვათ ისეთი ვარაუდები, რომელთა გაგებაც ერთმნიშ-ვნელოვნად შეიძლება. ალბათ ზედმეტია იმის ხაზგასმაც, რომ ეს ანდრეზები ციდან ჩამოვარდნილი, თავშესაქცევად მოგონილი ზღაპრები (ვიმეორებთ) არაა (თუმცალა, თავის-თავად, არც ზღაპარია „ციდან ჩამოვარდნილი“). წამკითხვე-ლი უნდა, თორემ შემთხვევით, ბევრ სხვა რამესთან ერთად, არც ანდრეზი იქმნება, წაკითხვა და სათანადო ანალიზი კი რჩეულთა ხვედრია და ამის პრეტენზია არც წინამდებარე სტრიქონების ავტორს აქვს.

კოპალა და იახსარი, სხვა ღვთიშვილებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ადგილ - ტერიტორიას ედავებიან დე-ვებს. მათ ოდესალაც რაღაც დაუკარგავთ და ახლა მის დაბ-

რუნებას ცდილობენ. ამ ბრძოლაში, რომელიც უთანასწორო და სასტიკია, სიმართლე, როგორც ჩანს, ღვთიშვილთა მხარესაა. ხორციელი კოპალა გაჭირვებულ და დამცირებულ ბავშვობას სწორედ მათ კარზე ატარებს და როცა იქიდან გაიპარება, გარკვეულ დროს მარხულობასა და „მაწმიდრობაში“ გაატარებს, უმაღლეს ღვთაებას სწორედ ისეთი ძალის მიცემას შესთხოვს, რომლითაც დევებს სამაგიეროს გადაუხდის. კოპალას ისე ეპყრობიან, როგორც იძულებით დამორჩილებულ ხალხს შეეფერება. დამცირებისა და ცინიზმის ფონზე ჩაივლის მისი ბავშვობა. მეტად პრინციპულ შეჯიბრში, ლოდების ტყორცნაში, კვირას დახმარებით იმარჯვებს, მაგრამ აქ ეს კი არაა მთავარი, არამედ ის, რომ უზენაესი ღვთაება მის მხარესაა, რომელიც არ შეიძლება, უსამართლო იყოს. აკი პირქუშისა და იახსარის საქმეც სწორედ უზენაესმა გადაწყვიტა სამართლიანად, როცა მათ ვერცხლის თასების გამო მოუხდათ კამათი. ასე რომ, თუ ანდრეზებში ღვთიშვილი ფხოვს განასახიერებენ, დევები - ქვეყნის ხელისუფლებას, მაშინ უმაღლესი იერარქიის ღვთაებანი სამართლიანობის პრინციპის უნდა გამოხატავდნენ. თავისუფალი მეთემე საზოგადოებისთვის კი ექსპლუატაციაზე დამყარებული ურთიერთობანი ვერაფრით ვერ აღძრავს სამართლიანობის განცდას.

დევების გაძევება კონკრეტული სამყოფელიდან თუ სამოსახლოდან მამა - პაპური ადგილ-მამულის განთავისუფლებას უნდა ნიშნავდეს უცხო, მოძალადე ხალხისაგან. საინტერესოა, რომ ამ ბრძოლის დაწყებამდე კობალა და იახსარი გარკვეულ რელიგიურ რიტუალს გადიან, რომელიც ბერობის საფეხურის გავლას ნიშნავს. ეს, ალბათ, სიმბოლური აქტია და ამ ღვთაებათა ქცევის ასეთი ინტერპრეტაცია ემსახურება სათემო ღვთაებათა ავტორიტეტის ამაღლებას საყმოში.

იახსარი და კოპალა ისე შეთანხმებულად მოქმედებენ, აშკარად გავს ეს ყველაფერი გააზრებულ შეთქმულებას დევების (სამეფო კარის ოფიციალური წარმომადგენლები ფხოვის თემებში) წინააღმდეგ. კოპალას გასვლა საასპარეზოდ ირემთვალოზე და ამ ასპარეზობაზე მიმავალი დევის მოკვლა იახსარის მიერ საპარავის ყელში, სხვადასხვა ანდრეზშია აღწერილი, მაგრამ ისეთი გამჭირვალეა თხრობის მანერა და პერსონაჟთა ტაქტიკური ამოცანა, რომ პირდაპირ ერთი

ავტორის მიერ გადმოცემულ სიუჟეტურ ქარგად აღიქმება დვოთიშვილთა მოქმედება. ამიტომაც ამ ანდრეზთა სანდოობის ხარისხი ვარაუდების დაშვებისას, მაღალია. იახსარის მიერ დევთა ხელმწიფის მოკვლა ალბათ აჯანყების დაწყების სიგნალი იყო. სისხლი დაიღვარა. ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ მეფე სიბაზე იყო, უმოქმედოდ ვერ დადგებოდა...

უეჭველია, რომ ხალხი (ამ შემთხვევაში - ფხოველი) დათრგუნულია და მსხვერპლია ძალმომრეობისა. გამდიდრებული, გამრავლებული და გაზულუქებული დევი გამხვეურა თავნება და თავხედი ფეოდალის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც იახსარის მეზობელია, მაგრამ ჩანთქმით ემუქრება და ეს უკანასკნელი იძულებულია, რომ საყუჩი მოაწყოს, რათა მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყავდეს მიწით გაუმაძლარი დევი. ეს დევები და კაცნი აშკარად არ არიან ერთი ჯიშისა და მოდგმის; ანდრეზებში თავიდანვე ხაზგასმულია კოპალასა და იახსარის „ხორციელობა“, ვიდრე ისინი, ასე ვთქვათ, სტატუსს შეიცვლიდნენ, ე.ი. დვოთიური ძალით აღიჭურვებოდნენ.

რიცხვი „სამი“ აქაც გარკვეული ეჭვის მაპროვოცირებელია. იახსარი რომ აბუდელაურის ტბის ფსკერზე სამი წელი იმყოფებოდა, „ეჭვიან“ კაცში ივანე ათაბაგის სამთვიანი ლაშქრობის ასოციაციას აღძრავს. მაშინ სამი თვე ინჩქლეოდა ფხოველთა სისხლი და ეს ის სისხლი ხომ არაა, აბუდელაურის ტბას რომ გადაეკრა და იახსარს ( ფხოვს) თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება აღარ მისცა?

დამახასიათებელია დევების მიერ მოწყობილი „ფაცერიც“, ხელისუფლების მიერ, დღევანდელი ლექსიკით რომ ვთქათ, საგანგებოდ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოწყობილ გამშვებ პუნქტს რომ მოგვაგონებს. გაბატონებულ ძალას გადაეკილი აქვს არაგვის ხეობა და მკაცრი ზედამ-ხედველობის ქვეშ ჰყავს მისი მოსახლეობა, წამსვლელ - მომსვლელი. საოცრად გავს ეს ყველაფერი ჩვენს დღევანდელობას, თითქოს ივანე ათაბაგის მიერ გამოცხადებული „საგანგებო მდგომარეობაა“.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ დევების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სალოცავებში დაცული

თას - განძი. ისინი ტეხავენ არდოტში კოპალას სახელობის სალოცავს და გააქვთ ძვირფასეულობა. არც ჯვარის ხელ-კაცნია მათი მხედველობის მიღმა. ჯვარის მკადრეებს გზაში უხვდებიან (ომა) და ებრძვიან. მათთვის მიუღებელი და აბუ-ჩად აგდებულია ის რელიგია, რომელსაც ადგილობრივი მო-სახლეობა აღიარებს. ესეც მთიელთა სარწმუნოებისადმი სა-მეფო ხელისუფლების დამოკიდებულებას წააგავს.

რომ ფიქსირდებოდეს ისტორიაში ფხოვის ტერიტორი-აზე უცხო დამპყრობელთა სერიოზული (გნებავთ - არასერი-ოზული) ექსპანსია, ასეთი კი მემატიანებს ალბათ აღუნუს-ხავი არ დარჩებოდათ, ვითიქრებდით ჩვენც (როგორც მკვლევარები ვარაუდობენ), რომ დევები მათ განასახიერე-ბენო. არა და ივანე ათაბაგის ლაშქრობაზე დიდი შემოსევა, როგორც ჩანს, ფხოვში არ მომხდარა.

საქართველოს მძიმე საგარეო პოლიტიკურ ფონზე, როცა იქნებოდა, ფხოვიც ამოისუნთქავდა. ტრადიციულად ამ კუთხეში საერო ხელისუფლება, სავარაუდოდ, არ იქნებო-და გამოკვეთილი არც მამინ, ძლიერების ხანაში, დამოუკი-დებელ ადმინისტრაციულ ნარმონაქმნად როცა აღიქმებოდა. იქ უფრო რაღაცნაირი, თეოკრატიულ - პატრიარქალური მართვა უნდა ყოფილიყო, რომელიც, ძირითადად, ომისა და სამართლის საკითხებს განიხილავდა და წყვეტდა, ხოლო სი-ტუაციას რელიგიის სფეროში ქადაგ - ხუცესთა ინსტიტუტი წარმართავდა.

კოპალამ და იახსარმა დვების წინააღმდეგ რომ აღმარ-თეს ლახტი („საგმირო“), ტერიტორიულად ეს იმ ადგილები-დან იწყება, სადაც შემდეგ მათი სახელობის სალოცავები და ნიშები დაარსდა. ძალიან ძნელია იმის თქმა, იმ ადგილებში (ციხეგორი, გამხვეურთვარი, თხილიანა, კარატე და ა.შ.) მა-ნამდეც იყო საკულტო რამ „დაწესებულებანი“ და მათ დაბ-რუნებაზეა ლაპარაკი ანდრეზებში, თუ დევების გაძევების შემდეგ შეიქმნა ისინი. ერთი რამ კი ფაქტია, რომ იმ ადგი-ლებში, სადაც დევები იდგნენ, ძალიან ხშირად მკვიდრდები-ან ღვთიშვილი, უპირატესად კოპალასი და იახსრის სამ-ლოცველოების სახით. ეს ყველგან ასეა: ფშავის არაგვის ხე-ობაში (და მის გარეთაც), იორზე, ლიქოში, მიღმახევში, არ-ხოტში, ბაკურხევში, უკანახოში და ა.შ. მაგრამ დევებისაგან, (უცხო ძალისაგან) თავიანთი ადგილ - მამულის გაწმენდას

კოპალა და იახსარი ფშავის არაგვის ხეობიდან და ივრის ხე-ობიდან იწყებენ. სავარაუდოდ, ფხოვის საზღვრები ივრისკე-ნაც ეშვებოდა.

ერთი რამ არის კიდევ ნიშანდობლივი: დევები კონ-ფრონტაციაში ძირითადად კულტმსახურებთან ( კოპალა, იახსარი, ლიქოკელი ომა, გუროელი უთურგა და სხვ.) არიან, თორემ ჩვეულებრივ, რიგით ადამიანებთან, როგორც ზემოთ ითქვა, საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა აქვთ, რაც გამო-იხატება ერთურთში წანლობა - სწორფრობითა და ძმადნა-ფიცობით; ამდენად, ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში დევები, უნდა ითქვას, ცალსახად უარყოფით კონტექსტში არ მოიხ-სენიებიან.

## პავლი

ყველა - ყველა და ხსენებულ ანდრეზთა კრებულში ბევრი როდია ისე ერთიანი, კომპოზიციურად შეკრული, შინაარსობრივად შთამბეჭდავი და ეპიკურად დახვეწილი ანდრეზი, როგორც ქაჯავეთური ანდრეზები. არის სხვა კუთხეთა სიტყვიერებაშიც თქმულებანი ქაჯთა შესახებ, მაგრამ, ობიექტურნი ვიყოთ და, ხევსურულში ისინი სრულიად სხვანაირნია, დასრულებული მხატვრულ - პროზაული ნაწარმოებებია. სიუჟეტი, კომპოზიცია, თხრობის მანერა და სხვა თითქოს ერთი ავტორის ხელიდან გამოსულა და ის ავტორი საკმაოდ დახვეწილი გემოვნების მფლობელი ყოფილა. აქ აღნერილი ბრძოლის სცენები, სამჭედლო, ტყვეები, ნადავლის განაწილება და ა.შ. აშკარად მონმობს, რომ ყოველივე ეს, ოდესლაც მომხდარი მასშტაბური ამბების ჰეროიკული გამოძახილია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ერთი მთხრობელის მიერ გადმოცემული და ინტერპრეტირებული; მიუხედავად ამისა, სიუჟეტური ხაზი მაინც ერთიანი და ურღვევია. გულდასაწყვეტია, როცა შენ წინ განძეულით სავსე სასახლის ჭიშკარია, შენ კი მდუმარედ მისჩერებიხარ, რადგან ხელში მისი გასაღები არ გიჭირავს....

ქაჯეთი ქაჯთა ქვეყანაა. მის დასალაშქრავად მიდის ხახმატის ჯვარი, გიორგი ნალვარმშვენიერი, ნალვრისპირისა, ანუ ასკაიძე (ესკაიძე). იგი წინ უდგას ღვთიშვილთა ლაშქარს, თან მიჰყავს „კაცი“, ჭორმეშიონი გახუა, მამიშვილობით მეგრელაური, რომელსაც ჯვარი მტრედის სახით მოსდის ხელზე, ე.ი. „მაწმიდარია“ და გუდანის ჯვარის „მკადრე“, ანუ ქადაგი.

ქაჯეთის საზღვარზე გახუა სხეულს ტოვებს და ღვთიშვილთ მისი სული მიჰყავება.

ქაჯავეთის აღება გაუჭირდებათ, მაგრამ მესამე ცდაზე აიღებენ, წამოიღებენ მდიდრულ ალაფს და მოჰყავთ ტყვე ქალები. გამარჯვებული გიორგი ნალვარმშვენიერი ხახმატში დიდებითა და მადლით შემოსილი ბრუნდება და მეომრები ნადავლს ინაწილებენ (თუ იტაცებენ?).

ასეთია მოკლე შინაარსი ქაჯავეთური ლაშქრობისა და ბარელამ აქვე ვიტყვით იმასაც, რომ პარალელებისაგან

სხვა სახის ლიტერატურასთან („ვეფხისტყაოსანი“...) ამჯერად შეგნებულად შევიკავებთ თავს, რათა არ აცდეთ თემატური ხაზის მდინარებას.

ახლა კი გავხსნათ ანდრეზი, გავშალოთ და შეძლებისამებრ უფრო ღრმად ჩავიხედოთ შიგ.

ქაჯების გარეგნული იერის შესახებ რაიმე ცნობებს ანდრეზები არ იძლევა. ხანდახან ისინიც „კოჭუკულმართნია“ და გაიგივებულნია დევებთან და ეშმაკებთან (250). ქაჯები რასაც წალმა ლაპარაკობენ, იმას უკულმა აკეთებენ, ე.ი. იქ-ცევიან ნათქვამის საპირისპიროდ. ცხოვრობენ გამოქვაბულებში, სახლების ნანგრევებში. ისინი ადამიანებს ეჩვენებიან ლამაზი ქალის სახით, „უჩინრად მიჰყვებიან კაცს და თავის სახელს მისძახიან. მათ შეუძლიათ გააგიფონ კაცი ან კლდეზე გადააგდონ“ (247).

ზოგჯერ არც ქაჯები გაურბიან ადამიანებთან ნათესაური კავშირის დაჭრას. ერთხელ, ერთ ლუთხუბელ ( გუდამაყარი) კაცს, ქაჯის ქალი თავად მოსვლია ცოლად, მერე კი თავისთან, ქაჯავეთში წაუყვანია ქმარიც. დევების მსგავსად ქაჯებსაც აქ სამჭედლო ჰქონიათ გამართული და მათი გაჭედილი ხმლით კაცმა ის დევი მოკლა, რომელიც მისი იქ ყოფისას ლუთხუბს ავად შესჩვეოდა (345).

არის ანდრეზი (360), სადაც ქაჯები იმ ხალხთანაა ( რომაელები) გაიგივებული, რომელმაც წმ. გიორგი ანამა. წმ. გიორგის ისინი ჯერ ნისქვილის ბორბალზე მიაკრავენ, მერე კი საკირეში ჩააგდებენ, ბოლოს 363 ნაწილად დასჭრიან.

ქაჯები ბრძენნია, მაგრამ ბოროტნი. მათს ქვეყანაში „ჩასვლაც“, შესაბამისად, მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ამის საშუალებას აძლევს ძალა, სიბრძნე და გამოცდილება. ამის მოქმედი ადამიანებიდან მხოლოდ თორლვა ძაგანი ყოფილა (245).

საინტერესოა ანდრეზში ნახმარი სიტყვა „ჩასვლაც“. ეს მიწისქვეშეთს, ქვესკნელს არ უნდა ნიშნავდეს; ეს ის „ქვეყანა“ უნდა იყოს, რომელიც სადღაც ქვემოთაა, ტყიანი და კლდიანია, როგორც ანდრეზებში აღნიშნავენ. სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო კავკასიონის ჩრდილოეთი და ჩასასვლელიც იქ არის, ხოლო თუ საიდან ჩასასვლელი, აქ უკვე

თანამედროვე სახელწოდებით, დათვისჯვრის უდელტეხილი უნდა იგულისხმებოდეს. ამ საკითხს ქვემოთაც მივუბრუნდებით.

ქაჯებს (ქალებს) ერთი საქმე გამოსდით გამორჩეულად კარგად - ჯაჭვის პერანგების ქსოვა. ალბათ ძველი მეომრის-თვის ჯაჭვის პერანგი თავისებური, ერთგვარი ფუფუნება იქნებოდა. ძვირი რომ ელირებოდა და განსაკუთრებული ჩაკირკიტებით ასასხმელი იქნებოდა, ესეც ცხადია. მიუხედავად ამისა, ბარს რომ თავი დავანებოთ, ჯაჭვის პერანგი მთი-ელთა შეიარაღებაში ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი იყო.

ჰოდა, ქაჯის ქალებს განსაკუთრებული „მეთოდით“ - „წალმა-უკუღმათი“ სცოდნიათ ჯაჭვის იმგვარი პერანგების ქსოვა, რომელიც თვალით არ ჩანდა და ობობას ქსელის კონფიგურაციებს იმეორებდა. ესეც მეტად საინტერესო ცნობაა. ამ პრინციპს, სხვათა შორის, წარმატებით იყენებენ თანამედროვე ჯავშანტექნიკის პირობებშიც კი. ის ქაჯავეთური ჯავშანი იგივე საფარველი იყო, რომელსაც ტყვია და ისარი არ ეკარებოდა, თანაც მბზინვარე ყოფილა, გველის პერანგივით. ასეთი პერანგი კი ნამდვილი მეომრული ფუფუნება იქნებოდა; ქაჯები მას ყველას როდი აძლევდნენ, მსგავსი პატივი მხოლოდ ღვთაებასთან წილნაყარ (ნაწილიან) ვაჟებაცებს ჰქონდათ (246).

სწორედ ასეთი ყოფილა თორლვა ძაგანი, რომლის ბეჭებზეც „მარჯვნივ მზე წერებულიყო, მარცხნისკე - მთვარის ნალიონ“. იგი ყველა პირობას აკმაყოფილებდა საიმისოდ, რომ ქაჯებთანაც ევლო და უძვირფასესი საჩუქარიც მიეღო მათგან.

სხვა მხრივ კიდევ, ისიცაა საფიქრალი, ხომ არ იყო თორლვა ძაგანი მეფის ხელისუფლების მიერ ფხოვისა და დიდოეთის მმართველად და დამცველად დასმულ-დანიშნული მოხელე? თორლვას ფოლკლორულ-მითოლოგიურ ბიოგრაფიას თუ ღრმად გავაანალიზებთ, ამ მოსაზრების სასარგებლოდ ბევრი რამ მეტყველებს : უჩვეულოა მისი ამბიციები, მატერიალური მდგომარეობა, ხასიათი და გარეგნობა და სხვ. ამ მხრივ იგი გამორჩეული და მართლაც არაჩვეულებ-

რივია. სწორედ ასეთი პიროვნება იყო საჭირო სამეფოს საზღვრის ერთ-ერთ ყველაზე რთულ მონაკვეთზე სადგომად.

ზოგადად კი თორლვა ძაგანის შითი შესაძლოა, რომ იყოს გამოძახილი ფხოვის დაშლისა და მასზე სამეფო (საერისთაო) ხელისუფლების გავრცელების ანარეკლი და, მაშასადამე, მცდელობა სოციალური დიფერენციაციის გენეზისისა. მისი პორტრეტის სილუეტი ძალიან ჰგავს სამეფო კარის მიერ დასმული მოხელისას. ძალზე ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ იგი ადგილობრივი ნიადაგიდან ამოზრდილ თანამოძმებზე გაბატონებულ ბუდაყს ნაკლებად ჰგავს; ერთი ვარიანტით საქართველოს სამეფო დინასტიას უკავშირდება, ესაც ძალიან ნიშანდობლივია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მისი ნარმომავლობა მაინც ბუნდოვანია, მაგრამ ნათელია დანარჩენი ცხოვრების დრამატული ეპიზოდები.

ისე ჩანს, თორლვას კარგი ურთიერთობა ჰქონია ქაჯებთან, ამდენად იგი არ უნდა იყოს ქაჯავეთური ლაშერობის მონაწილე. ის ფაქტი, რომ თორლვა ხევსურია, ხევსურეთში ცხოვრობს ( ნარმოშვებას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს), ხოლო მისი მკვლელი ფშაველია და რომ ხევსური ფშაველს ბეგარას ადებს, იმის მიმთითებელი უნდა იყოს, რომ თორლვას ეპოქაში ფხოვი უკვე დამტკიცია , ან დაშლის გზაზე შემდგარი. ქრონოლოგიურად კი ეს XIV საუკუნემდე უნდა ხდებოდეს. მიუხედავად იმისა, ეს თორლვა ის თორლვაა, პანკელი, თუ ვინმე სულ სხვა თორლვა, ჩვენის ვარაუდით, XIII ს. აქეთ ცხოვრობდა. მანამდელი რომ იყოს, ფხოვის ერთიანობიმდელი, ნუთუ ანდრეზებში და პოეტურ ფოლკლორში მისი, როგორც ცნობილი პიროვნების, ფხოველობა არსად გაიღვებდა? ძნელი სათქმელია. თუმცა ხალხურ გადმოცემებში ფხოვი და ვინმეს ფხოველობა, ძალზე იმვიათად, რომ გამოკრთეს.

ქაჯები მაინც ადამიანებთან დაპირისპირებულ „ხალხად“ რჩებიან, ისინი დევებთან უფრო ახლობლობენ, გარეგნობითაც წაჲგვანან და მაშინ, როდესაც კოპალა დევებთან ლოდების ტყორცნაში ასპარეზობდა, ქაჯები არბიტრებად გამოდიოდნენ, მაგრამ ობიექტურობა აკლდათ; ისინი დევების სასარგებლოდ მოქმედებდნენ.

ქაჯების ქალები ლამაზები კი ყოფილან, მაგრამ ერთი უცნაური ზნე ჰქონიათ - კაცებს იტაცებდნენ. ჯერ ის ლუთ-ხუბელი გუდამაყრელი ხომ წაიყვანა ქაჯის ქალმა ზესიძედ, ახლა, აგერ, თუში წაუყვანია. ასე და ამ გზით მოხვედრილა ის თუში ღვთის კარზე, სადაც ერთი დღე, „მზის დაბრუნვის დროს“, ქაჯებისა ყოფილა. ხედავს თუში, რომ ეს ყოვლის-შემძლე ღვთისშვილნი ერთ კუთხეში არიან „მიჭუჭკვილნი“ და შეძრნუნებულნი; ქაჯები კი თამამად, მასპინძლებივით იქცევიან. თურმე ნუ იტყვი და იქვე სადღაც იმდენი ქაჯი მანდილოსანი მოგროვილა, რომ ერთი მინდორი მთლიანად დაუჭერია. ღვთიშვილნიც ამას შეუშფოთებია და მტყობიეს მტყობიეზე აგზავნიან კოპალასთან - გვიშველე, უნმინდურ-თაგან წალეკვის საფრთხე გვემუქრებაო. როგორც იქნა, კო-პალაც მოვიდა და ქაჯები სულ აირივ-დაირივნენ, მან ქაჯის ქალები ცეცხლის ალმურში გაახვია და იქაურობა ნაცარტუ-ტად აქცია (88). ასე რომ, ქაჯებს ღვთის კარზე კი მიესვლებათ, ისინიც „ხთით არიან“, არც სიბრძნე და გონიერება აკ-ლიათ, მაგრამ კოპალასთვის ეს საკმარისი პირობა არაა, შე-იძლება, უარესიცა და მათაც ისე უსწორდება, როგორც დე-ვებს.

აი, ასეთი ზნისა და ხასიათის „ხალხთან“ მიემართება საბრძოლად და „გასატეხად“ ხახმატის ჯვარი, გიორგი ნაღ-ვარმშვენიერი, დიდი დიდოეთის გამტეხი და გამბეგრავი ღვთიშვილთა ლაშქრით, რომელთაც ერთი „კაციც“ ახლავთ - ხევსურეთის სოფელ ჭორმეშავში მცხოვრები (ჭორმეშიონი) გახუა, მეგრელაურთა გვარ - ძვალის ნატეში. ამ კონტექ-სტში ძალზე ნიშანდობლივია ეპითეტი - დიდი დიდოეთის გამტეხი და გამბეგრავი, როგორც იგი ანდრეზებში მოიხ-სენიება.

ჩვენ გვაქვს არცთუ უსაფუძვლო ეჭვი შესახებ იმისა, რომ ეს ლაშქრობა, რომლის შესახებაც მოგვითხრობენ მეან-დრეზენი, არის ათინათი ივანე ათაბაგის ლაშქრობისა ფხოვ-სა და დიდოეთში, უფრო კი, ცხადია, ამ უკანასკნელში. მივ-ყვეთ ანდრეზებში გადმოცემულ მოვლენათა მსვლელობას და შევეცადოთ, გონების მზერით შევაღწიოთ საუკუნეთა წყვდიადში.

ლაშქრობა იწყება ხევსურეთის (ფხოვის) ს. ხახმატი-დან, აქაა საბრძანის გიორგი ნაღვარმშვენიერისა. ეს უძვე-ლესი რელიგიური (არამარტო) ტრადიციების სოფელია, რო-მელსაც ფხოვში სხვამხრივაც სერიოზული დატვირთვა უნდა ჰქონოდა.

მას მერე, რაც თამარ მეფის სპასალარმა პროგრამა მი-ნიმუში კარგად შეასრულა, ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანის მიზნით, კარავს, ალბათ, ხახმატში დასცემდა და ლაშქრობის ჩრდილოეთისკენ გაგრძელებისთვის იქაურობას პლაცდარ-მად გამოიყენებდა.

მაგრამ ლაშქრობას კავკასიონს გადაღმა თავისი მიზე-ზები უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც: დიდოეთს, რომლის საზღვრებიც მაშინ ფხოვს მოუდგებოდა ჩრდილოეთიდან, თავი ფხოვზე თავისუფლად და დამოუკიდებლად ეჭირა. ამის განმსაზღვრელი, უპირველეს ყოვლისა, გეოგრაფიული გარემო იქნებოდა. საქართველოს სახელმწიფოს მზარდი ამ-ბიციები კი ამას ვეღარ დაუშვებდა და, როგორც ჩანს, თამა-რის სამეფო კარმა გადაწყვიტა, რომ პოლიტიკური სიტუა-ცია აღმოსავლეთ კავკასიონზე შინაურისთვისაც და გარეუ-ლისთვისაც მკაფიო და გასაგები გაეხადა. ამის განსახორცი-ელებლად საზღვარი კავკასიონს გადაღმა რაც შეიძლება შორს უნდა გადაეწია, ჩრდილოეთისკენ გამავალი ხეობები საიმედოდ გადაეკეტა და, რაც მთავარია, იქაური „კლიტენი“ ჩაეგდარებინა მორჩილი და ერთგული ხალხისთვის, რის მაგი-ერშიც ამ ხალხს იქ თავისუფლად მოქმედებისა და განსახ-ლების ნება ექნებოდა. ეს უნდა ყოფილიყო ფხოვი - დიდოე-თის სამხედრო ექსპედიციის უმთავრესი მიზანი.

მიზნის რა მოგახსენოთ, მაგრამ მიზეზი გიორგი ნაღ-ვრისპირისასაც ჰქონდა ქაჯავეთში სალაშქროდ - ვალი ჰქო-ნია ასაღები! მკითხველს, სამწუხაროდ, ალბათ პირზე ღიმი-ლი მოადგება - ჩვენთვის კარგად ნაცნობი ვალის გადაუხდე-ლობა ქაჯებსაც სცოდნიათო და ჯერ კიდევ როდის!.. მაგრამ აქ, რასაკვირველია, ფულად ვალზე კი არ უნდა იყოს ლაპა-რაკი, არამედ ქაჯთა მიერ წმ. გიორგის წინააღმდეგ ჩადენილ ისეთ დანაშაულზე, რომელსაც მხოლოდ სისხლი ზღავს:

„ქაჯავეთ რად იარები, გიორგივ, მგელთა ფერაო?

ვალი მიკიდავ, ვალსა ვთხოვ, რას მკითხავ ქრისტის დე-დაო.“

ცოტა არ იყოს უკმეხად პასუხობს კითხული.

ხახმატის ჯვარი, რომელიც ამ მომენტისთვის ჯერ კი-დევ არა დიდოეთის გამტეხი და გამბეგრავი, ამ ლაშქრობის მთავარსარდალია. რაღა ის და რაღა ივანე მხარგრძელი. რა-კი გოირგი ნაღვარმშვენიერის ლაშქარში მხოლოდ ლეთიშ-ვილნი მონაწილეობენ, შესაძლებლად მიგვაჩნია სავარაუდო იდენტიფიკაცია სამეფო ლაშქართან, მით უფრო, რომ, ერთი ანდრეზის თანახმად (47), გიორგის ქაჯეთი „კაცობაში“ დაუ-ლაშქრავს; თუმცალა, ანდრეზთა უმრავლესობა ადასტუ-რებს, რომ გიორგი ამ დროს უკვე „კაცობაზე“ ამაღლებუ-ლია.

ხახმატის ჯვარს საბრძოლველად მიჰყავს ერთი „კაცი“ - გახუა მეგრელაური, რომელსაც იმ ლაშქრობაში რაიმე გან-საკუთრებული როლი არ შეუსრულებია. აბა, რაღაზე მიყავ-დათ? თავისთავად დაიბადება ასეთი კითხვა. რაზე და ან-დრეზების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თით-ქოს გახუა მთავარსარდლის მემატიანე ყოფილიყოს, თით-ქოს მას ევალებოდა შეექმნა და შთამომავლობისთვის გადა-ეცა („გახუამ თქვისავ“) ქაჯავეთური ლაშქრობის ეპოპეა, რომელიც ანდრეზებში ისე ცოცხლადა გადმოცემული, ისე ხელშესახებად და გროტესკულად, ანდრეზთა მთხოვნე-ლებს ალბათ ეჭვიც არ ეპარებოდათ ამბის სინამდვილეში. მეორე მხრივ, გახუა მეგრელაურის პერსონა უნდა იყოს სახე და გამოხატულება ფხოველთა მოკრძალებული წვლილისა ათაბაგის კოალიციურ ლაშქარში.

დამორჩილებულ ფხოველებს ათაბაგი დიდოთა წინა-აღმდევ რაღაცნაირი ფორმით აუცილებლად გამოიყენებდა. არც ის უნდა დაგვავინუდეს, რომ რაც უფრო დამაჯერებ-ლად გადაამტვრევდა წელში ფხოვს, მით უფრო თავისუფ-ლად იმოქმედებდა დიდოეთში. მიუხედავად ყველაფრისა, მთავარსარდალს ფხოველთა შედარებით დიდ სოფლებში (ხეობებში) გარკვეული სიმძლავრის გარნიზონის დატოვება მაინც მოუხდებოდა. ასეთ ვითარებაში კი ფხოველთა თუნ-დაც მცირერიცხოვანი მეგზური ლაშქარი, რაც არ უნდა უნ-

დობლობა ყოფილიყო მათ შორის, ზედმეტი ნამდვილად არ მოუვიდოდა.

სიმბოლურად კი გახუას მონაწილეობა ღვთიშვილთა ლაშქარში ადამიანის როლისა და ადგილის განსაზღვრას უნდა ნიშნავდეს სამყაროს ღვთაებრივი წესრიგის ფონზე; მისი შესაძლებლობებისა და მოვალეობების წარმოჩენას უნდა უსვამდეს ხაზს, ხორციელის წარმავლობასა და, რაც მთავარია, გამოუსადეგრობას, რომ ხორციელი სხეული და ვნებანი ხელისშემშლელიც კია იმ დიად საქმეთა აღსრულებისას, სული და სულიერება რისკენაც მიისწრაფვის. ამდენად, გახუას მითიდან ინტერპრეტირებული ქრისტიანიზმიც კი შეიძლება მოურნავდეს.

ქაჯავეთური ლაშქრობა პრომეთე - ამირანის მითსაც ეხმაურება და ეგებ უფრო მნიშვნელოვანიც იყოს იმ მხრივ, რომ მეომარ ღვთაებებს ადამიანთა საზოგადოებისთვის ქაჯეთიდან მოაქვთ არა ცეცხლი, არამედ რკინის დამუშავების ტექნოლოგიის ცოდნა და მისი სიმბოლო - ქურთემული (გრძელი), რომელიც თავისთავადაა ცეცხლისა და რკინის „მოთვინიერებასთან“ დაკავშირებული რიტუალური საგანი. გამარჯვებულ ღვთიშვილთა ნადავლში ყოველი ნივთი სიმბოლურ - ალეგორიულ გააზრებას მოითხოვს. აქ მხოლოდ ერთ გარემოებას მიზდა გავუსვა კიდევ ხაზი: ნადავლშია ცხრაძალიანი ოქროს ფანდურიც. ეს უნდა ეხმაურებოდეს ქართულ სასულიერო (გნებავთ - საერო) პოლიფონიას. ასე რომ, მრავალ სამხედრო, რელიგიური და ყოფითი აქცენტების ამსახველ სიმბოლოებთან ერთად, არც ესთეტური მოთხოვნილებანია უცხო მაშინდელ კაცთა და ღვთაებათათვის და რაც მთავარია, სინმინდეა ამაღლებული, უნმინდურება და ბოროტებაა დათრგუნული. ღვთიშვილთ ყველაფერი მოაქვთ საყმოსათვის. თემურ ღვთაებებს თავისი წილხვედრი ნადავლი თავიანთ საყმოში მიაქვთ და გამოდის, რომ ლაშქრობის მიზანიც ეს იყო - უცხო ცოდნისა და გამოცდილების მოტანა და გადაცემა კაცთათვის, ბრძოლა პროგრესისათვის...

კი, მაგრამ სად მდებარეობს ეს ქაჯეთი? რა მარშრუტი უნდა გაიაროს ხამატის ჯვარის ლაშქარმა, რომ თავისი მისია შეასრულოს? ჩვენ უკვე ვიცით ივანე მხარგრძელის მოძრაო-

ბის სავარაუდო სქემა. საინტერესო ისაა, რომ ორ-სამ მომენტში ღვთიშვილთა ლაშქრის მოძრაობის მიმართულება, მართლაც ემთხვევა ათაბაგის ლაშქრისას, რომელმაც, უპირველეს ყოვლისა, უღელტეხილები შეკრა. ამ გეგმაში ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იქნებოდა ხახმატის ხეობის სათავეში გამავალი უღელტეხილი. ამ მონაკვეთს აუცილებლად გაივლიდა ხახმატის ჯვარი. დათვისჯვრიდან, როგორც ხსენებულ უღელტეხილს დღეს ჰქვია, „წვერიწვერ“, წყალგამყოფი ქედის გასწვრივ, აღმოსავლეთით თუ ვივლით, სადღაც იორალაზნის სათავეებთან, დიდი ბორბალოს მთასთან მივალთ. ეს კი საკვანძო პუნქტი უნდა ყოფილიყო ივანე სპასალარის მარშრუტში. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავი, რომ ერთ ანდრეზში, რომელიც, სხვათა შორის, ვაუა - ფშაველას ჩაუწერია, „ბორბლის მთა“ ხსენდება (46). ეს, ცხადია, სხვა არაფერი იქნება, თუ არა - ბორბალო. აქ წარმატებული ქაჯავეთური ლაშქრობიდან დაბრუნებულ მეომრებს „პარტიზანი“ ქაჯების მიერ მოწყობილი უკანასკნელი დაბრკოლების დაძლევა მოუხდათ.

და კიდევ ერთი: ქაჯთა ქვეყანა მიუდგება ზღვას, რომლის ნაპირზეც ვეშაპისთვის „თითო შვილი უვლევავ“. აქ წასწყდომია ხახმატის ჯვარი - ასკაისძე (კაცობინდელი გვარი ან სახელი?) ხელ სამძიმარს, რომელიც განნირული იყო ვეშაპის შესაჭმელად. ხახმატის ჯვარმა ავსული შუბით განგმირა და სამძიმარი დაიხსნა. ეს გახლავთ, ამავე დროს, ანდრეზული ვერსია წმ. გიორგის საყოველთაოდ ცნობილი ხატწერული გამოსახულებისა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აქ მოხმობილი მომენტები დასტურია იმისა, რომ თქმულებებში დაფიქსირებული ქაჯეთი ჩრდილოეთ კავკასიის რომელიდაც ტომი თუ ტომთა კავშირია. იმ ზღვაში კასპიის ზღვა უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ იქამდე გადაჭიმული ქაჯეთი მხოლოდ მითოლოგიური თვალთახედვითაა წარმოსადგენი. ფანტაზიას რომ ცოტა ლაგამი ამოვდოთ, ხელთ ის ტერიტორია შეგვრჩება, რომელსაც არღუნისა და ანდაქის წყლების აუზები მოიცავს. ასეთ „ქვეყანაში“ ლაშქრობას უნდა ნიშნავდეს ზემოთნახსენები „ჩასვლაც“, სადაც არც ტყე აკლია, არც -

ღრე და არც - გამოქვაბულები, რომლებშიც ქაჯები თავს უდრტვინველად გრძნობენ.

მაინც რა ვიცით კიდევ ქაჯების შესახებ? ვიცით, რომ ჰყავთ ხელმწიფე; სამძიმარი, ტყვედ წამოყვანილი ქალი, სწორედ ხელმწიფის შვილია (44). ეს მას, ეტყობა, გარკვეულ პრივილეგირებულ მდგომარეობაშიც აყენებს, რამდენადაც ქაჯავეთელ ტყვე ქალებს შორის ყველაზე გავლენიანი ფიგურაა. ტყვეები კი სხვა ქალებიც არიან: მზექალი, აშექალი, სიმენქალი, ამენქალი, შუქია, განძა (ყველა ეს სახელი დღე-საც ცოცხალია ხევსურულ სინამდვილეში)... ესენი თავი-დან ყველანი მოუნათლავნი იყვნენ. ტყვეობაში მოინათლენ და ლვთაებრივი ბუნება მიიღეს სამძიმარმა, მზექალმა და აშექალმა, დანარჩენებმა იქაც „არა ნათელ იღეს“. ხახმატის ჯვარი რომ რჯულიან - ურჯულოთ სალოცავი იყო, ამაში ზე-მოთ ჩამოთვლილ ქალებსაც გარკვეული წვლილი უნდა მიუძღვდეთ. ამ ამბებიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ ქაჯები რომელიდაც არაქართული, ან განსხვავებული რწმენისა და წარმოშობის ტომია, რომელთაც განსხვავებული რელი-გია აქვთ და განსხვავებული აქვთ აგრეთვე ენაც. გიორგი ნაღვარმშვენიერი რომ მათ და-ძმურ ურთიერთობას და ლვთაებრივ ხელდასხმას შესთავაზებს, ქაჯი ქალები შეფიქ-რიანდებიან - ჩვენს ენაზე ნაქადაგარს ეს ხალხი რანაირად გაიგებსო. სიმენქალი და ამენქალი ქართულის სწავლაზეც უარს განაცხადებენ, სხვები კი ისწავლიან და იქადაგებენ კი-დეც. ამ გადმოცემათა გამოძახილი უნდა იყოს ისიც, რომ ხევსურეთში ქალთა ეს სახელები: სამძიმარი, მზექალი, აშე-ქალი... დღემდის არის გამორჩევით პოპულარული. ცალ-კერძ კიდევ, ისიც ნიშანდობლივია, რომ „ქადაგობას“ აქაც, მე-4 საუკუნის საქართველოისა არ იყოს, ქალები ახორციელებენ.

სამძიმარს საფარველი ადევს, იგი ლამაზი ქალის „ალით“ (სახით) ეცხადება მეგრელაურს და ესეც ცოლად შერთვას უპირებს, მაგრამ დროულად მიხვდება, რომ ლვთივკურთხეული ქალი ესწორფრება და ჩანაფიქრზე უარს იტყვის (50). თვით ეს დღემდის ამოუხსნელი და თავისი არსით უცნაური წესი სწორფრობა-წანლობისა და ძმობი-ლობისა, აგრეთვე ძმადნაფიცობისა, რომლის სიღრმისეუ-

ლი ანალიზი ჯერჯერობით ვერავინ გაბედა, სწორედ ქა-ჯავეთელი ტყვე ქალებისაგან მოტანილი, იქაური ჩვეუ-ლება უნდა იყოს.

ქაჯეთიდან ნადავლის სახით წამოსხმულ ხვასტაგს ტყვე ქალები მოერეკებოდნენ; საქონლის მოვლის გარდა „ნაჭრელას კერვაც“ სცოდნიათ, ჯაჭვის პერანგების ქსოვა ხომ ეცოდინებოდათ და ეცოდინებოდათ. აქ ფხოვური ხე-ლოვნების კიდევ ერთი მაღალმხატვრული და დამახასია-თებელი დარგი უკავშირდება ქაჯავეთს - ქარგვის ხე-ლოვნება.

ქაჯებიც, მსგავსად დევებისა, დახელოვნებული მჭედ-ლებია, აქვთ საფიხვნოც (42) (შატილის საფიხვნოსი არ იყოს). მჭედლობა და ძვირფას ლითონებზე მუშაობა ჩრდი-ლოკავკასიელთათვის ყოველთვის ტრადიციული საქმიანობა იყო. ლეკური ხანჯლები და ხმლები საქართველოს მთაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ესაც კიდევ ერთი და-მახასიათებელი შტრიხია და შემთხვევითი არ უნდა იყოს საი-მისოდ, რომ ქაჯებში ჩრდილოკავკასიელი ტომები უნდა ვი-ვარაუდოთ. რომელთაც ივანე ათაბაგმა პოზიციები დაათმო-ბინა. ერთ მოხეურ ლქესში კი („დაიბადა თამარ ქალი“), სადაც თამარ მეფის ღვანწლზეა ლაპარაკი, მის პირად და წარმატე-ბულ სახელმწიფო საქმეთა შორის მოხსენიებულია ქაჯავე-თური ლაშქრობაც: „ისპანს აიღა იჯარა, ქაჯეთს დაადვა ბე-გარა“. არც ეს ნათქვამია ყურადღების მიღმა დასატოვე-ბელი...

ქაჯავეთის ლაშქრობაში ესკაისძეს კოპალაც თან ახ-ლდა, ცხადია, საფარველდადებული, რომელსაც ღვთიშვილ-თა მთავარსარდალი განსაკუთრებულად უნუგეშო მდგომა-რეობის დროს მოუხმობდა.

საომრად აღჭურვილი ლაშქარი გიორგი ნაღვარმშვე-ნიერისა უღელტეხილს მიადგა, მაგრამ გახუა მეგრელაური აქედან კაცის ალით ვეღარ ივლის, სულმა უნდა გააგრძელოს სვლა, ხორცი იქ უნდა დატოვოს. ხახმატის ჯვარმა თავის „მემატიანეს“ სული ამოაცალა, „ხოლო გვამ დაუგდავ მთა-ზე“ (43). ე.ი. მთხრობელი მთის იქით („მთასიქით“) უკვე ქა-ჯავეთს გულისხმობს. აქედან უნდა იწყებოდეს ივანე მხარ-გრძელის ბრძოლა დიდოეთის წინააღმდეგ, რომლის უკიდუ-

რეს სამხრეთს, ან სამხრეთ - დასავლეთსაც არღუნისა და ანდაქ - არჭილოს ხეობები ქმნიდა, ვიდრე მათ შეერთებამდე. აქვე უნდა ითქვას, რომ დიდოეთის „საზღვრები“ მეტად არამყარი და ცვალებადი იყო და მის ლოკალიზაციას სპეციალისტები (სინ, ტ. III) სწორედ ფხოვის ჩრდილოეთით ახდენდნენ. ამ საზღვარმა შემდეგ უფრო აღმოსავლეთით გადაინია, ხოლო ზემოთ ნახსენები ორი ხეობა ფხოვის შემადგენლობაში შევიდა და, ცხადია, მათვე დაევალებოდათ იქ მდებარე სტრატეგიული პუნქტებისა და შემოსასვლელების დაცვაც და გადაკეტვაც. უფრო კი იმის ვარაუდი გვაქვს, რომ კავკასიონს გადალმა ფხოველები და დიდოები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ, ყოველ შემთხვევაში მანამდე მანც, სანამ იქ მაჰმადის რჯულის გავრცელება დაიწყებოდა.

ის ფაქტი, რომ თამარის ლაშქარმა ფხოვსა და დიდოეთში მთელი ზაფხული დაჲყო (თანაც ამას მემატიანე ხაზგასმით აღნიშნავს), მრავალმხრივაა საგულისხმო. აქ ლაპარაკი უნდა იყოს რამდენიმე ათას კაცზე. თუ არ სერიოზული საქმე და სამხედრო ძალა, ხელისუფლება ქვეყნის უპირველეს სამხედრო პირს ისე არ მოაცდენდა. კითხვა კი არა და არ ცხრება და კვლავ და კვლავ წამოჰყოფს თავს: რას აკეთებდა ეს ხალხი სამი თვე იმ მხარეში? იქ რომ ბრძოლები ამდენ ხანს გაგრძელებულიყო, მემატიანე მშრალი ინფორმაციით, ცხადია, არ დაკმაყოფილდებოდა, პირიქით... და, თანაც, საამისოდ ძალა არც ფხოვს ეყოფოდა და არც დიდოეთს. საფიქრალია, რომ ივანე მხარგრძელის ლაშქარი პარალელურად დაკავებული იყო საფორტიკაციო საქმიანობით. მან მტკიცედ მოხვია ხელი ჩრდილოეთის საზღვარს და წამოიწყო (დასრულებით, ცხადია, ვერც ერთ და ვერც ათ ზაფხულში დასრულდებოდა) სტრატეგიული პუნქტების მშენებლობა, აღდგენა და გაფართოება-გამაგრება, რომელსაც ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვარზე მტკიცე ფორპოსტი უნდა შეექმნა. მხედველობაში აქ უფრო ისეთი ციხე - ქალაქები გვაქვს, როგორებიც არის შატილი, მუცო და არდოტი. შატილის თავდაცვითი კომპლექსი მოიცავდა ქაჩუსაც და ამ ფონზე ხეობა ფაქტიურად შეუვალი ხდებოდა, სადაც მცირერიცხოვან გარნიზონს სერიოზული სამხედრო შენაერთის შეჩერება შეეძლო. გარდა ამისა, იქ, სადაც ახლა ანატორის აკ-

ლლდამებია, აუცილებლად იქნებოდა თუნდაც საკონტროლო - სათვალთვალო რამ პუნქტი, სიმაგრე, და მოგვიანებით იგი, ალბათ, სხვა დანიშნულების ნაგებობად გადააკეთეს.

აღნიშნული ციხე - ქალაქები, განსაკუთრებით შატილი და მუცო (ფხოვური მაჩუ - პიქჩუ), რომელთა სოფლებად მოხსენიება უხერხულად მეჩვენება, უდავოდ შორსმჭვრეტელი სამხედრო პირის მიერ უნდა იყოს ჩაფიქრებული. აუცილებლად უნდა მივათვალოთ მათ რიცხვს თუშეთის სიმაგრეები: დიკლო, შენაქო, დართლო, კვავლო, ფარსმა... ასეთი შთამბეჭდავი ანსამბლები საქართველოში ბევრი როდი მოგვეპოვება. ისინი თვალსა და ხელს შეა გვეცლებიან... არა და მათი მაღალპროფესიული რესტავრაცია რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ და დემოგრაფიულ სიტუაციას საერთოდ შეცვლიდა.

დავუშვათ და ივანე მხარგრძელს ფხოვში არავითარი სამშენებლო სამუშაოები არ ჩაუტარებია და მისი საქმიანობა იქ მხოლოდ სამხედრო მიზანდასახულობით ამოინურებოდა, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა მსგავსი სტილისა და დანიშნულების ნაგებობები მრავლადაა კავკასიონის ქედის გასწრივ, მაშ, ვიმეორებ, რას აკეთებდა მხარგრძელი ამდენ ხანს იქ? ბოლოს და ბოლოს, ფხოვსა და დიდოეთს რომ თავი დავანებოთ, თუშეთში და მის გადაღმაც ეს ათაბაგი ხომ არ ააშენებდა ციხე-სიმაგრეებს? ამა თუ იმ მოსაზრების დაშვება აქ ისევ ვარაუდის დონეზე შეიძლება (ცხადია - გამორიცხვებიც), მკაფიო პასუხის პოვნა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ძნელია. სინამდვილესთან ყველაზე ახლო მისვლა, როგორც ჩანს, მომავლის საქმეა და იგი მხოლოდ არქეოლოგებს ხელენიფებათ.

ივანე ათაბაგს აღნიშნული სიმაგრეების ნაწილი იქ არ უნდა დახვედროდა, ყოველ შემთხვევაში იმ სახით, როგორადაც ჩვენამდე შემორჩა. ჩრდილოელი ტომებისთვის სამხრეთიდან საშიშროება ნაკლები იყო, კავკასიონის გადაღმიდან კი ასეთი ისტორიულად არსებობდა: სკვითები, კიმერიელები, ხაზარები და ა.შ. ასე რომ, ზღუდე ქართველებს უფრო სჭირდებოდა და რაც უფრო შორს გაივლიდა იგი ჩრდილოეთით, სტრატეგიულად მით უფრო მომგებიანი იქნებოდა.

ახლა ჩვენს ვარაუდებში (და ფიქრებში...) ბევრი რამ შეიძლება გადაჭარბებულად მოგეჩვენოთ, მათ შორის ისიც, რასაც ახლა მოგახსეხებთ, და ეს სრულიად გასაგებია. პესიმიზმი არ გვჩვევია, მაგრამ თუ სინამდვილეს თვალს ჯიქურ გავუსწორებთ (მოყვარეს პირში უძრახეო), მკაფიოდ გამოჩნდება, რომ ახლა ჩვენ ვართ დეგრადაციის გზაზე მდგომი ერი, რომელსაც, მართალია, ეტირება, მაგრამ მტრის გულის გასახეთქად ვარპალალოს გაჰკივის და რომელსაც გლობალიზაციის ოკეანე შთანთქმით ემუქრება, თუ ქვეყანას ეროვნული სულითა და სისხლით გაუღენთილი პატრონი არ გამოუჩნდა.

ჰოდა, მაშინ, წინააზიის (და ეგებ ევროპისაც) ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს შვილები თავიანთი ქვეყნის მომავალს, თავისი შუქ-ჩრდილებით, ნათლად ჭვრეტდნენ. ამ ჭვრეტის შედეგი იყო სწორედ ტრაპიზონის იმპერიის შექმნა. ეს - ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში. რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ „მეორე ტრაპიზონის“ შექმნაც სურდათ, ახლა უკვე - ჩრდილო-აღმოსავლეთით. დარიალი, ჯარიახის ხეობა, პირიქითა ხევსურეთი და თუშეთი. ეს ტერიტორიები მოფენილია მტკიცე და შეუვალი თავდაცვითი ნაგებობებით. ეს გახლავთ ჩრდილო - აღმოსავლეთი კავკასია. ვითომ ყოველივე ეს შემთხვევითა? ის გრანდიოზული ნაგებობები მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ მეთემეთა ნაღვანია? გამოკვლევაა საჭირო. თუ იქაურ ციხე-ქალაქებში (გნებავთ - ციხე-სოფლებში) წინასწარ დაგეგმარებული, პროექტირებული არქიტექტურის კვალი ჩანს, თუკი არქიტექტურული ან-სამბლი ისეა შექმნილი, რომ არა მარტო ყოფით და თავდაცვით ფუნქციებს ასრულებს, არამედ სტრატეგიულ მიზნებსაც პასუხობს, მაშინ სავარაუდო უნდა იყოს, რომ ეს ყველაფერი შორს გამიზნული ჩანაფიქრის დასაწყისი და დასაყრდენი იქნებოდა, რომელიც ქვეყანას ჩრდილოურ საშიშროებათაგან დაიცავდა. ამის საპირისპიროდ მხოლოდ ერთი რამ ლაპარაკობს: მაშინ რატომ არ შექმნა თამარმა „მეორე ტრაპიზონი“ სამხრეთ - აღმოსავლეთით? რა ედგა წინ? იქიდან უფრო მეტი საშიშროება არ იყო მოსალოდნელი? XXI საუკუნიდან XIII საუკუნემდე ძალზე შორია, ვინ იცის, ვინ იცის...

შატილი ის აღარ არის, რაც 1813 წლამდე იყო. ქაჩუ ხომ აუდებელი სიმაგრე იქნებოდა. მცირედი ფანტაზის უნარია საჭირო, რომ მუცო-არდოტის „ზეობა“ წარმოვიდგინოთ. ვფიქრობთ, რომ ეს არქიტექტურული ანსამბლები ერთიანი გენერალური გეგმის ცალკეული დეტალები და კომპონენტებია. ციხე-კოშკების განლაგება, გალავნების მოხაზულობა და ადგილობრივი რელიეფის მაქსიმალურად ეფექტური დატვირთვა წინასწარ უნდა ყოფილიყო გათვლილი, ასეთი კომპლექსები ჰაიკარად არ შენდებოდა და მის ნიუანსებზეც კი იმაზე გაცილებით მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე ჩვენ გვგონია. აქ ყველგან ჩანს ნიჭიერ სპეციალისტთა ხელი. საამისო დრო, ძალა და საშუალება კი თამარ მეფეზე მეტი არავის ჰქონია. რა თქმა უნდა, ადგილობრივი პატრიარქალური ოჯახებიც აშენებდნენ თავიანთი საჭიროებისათვის კოშკებს, გვარებიც აშენებდნენ, მაგრამ ეს ალბათ დროში განელილი პროცესი იქნებოდა. ივანე ათაბაგის ათასობით მოლამქერეს კი სამი თვის განმავლობაში სწორედ ეს საქმე უნდა ეკეთებინა. სხვაგვარად ძნელია ამდენი ხნით მთაში მათი შეყოვნების ახსნა.

„მოქცევაი ქართლისაი“ მოგვითხოვს, რომ სპარსელებმაო „კარნი აიგნეს“ ოსეთში, დვალეთში და „ერთი პარჭუანს დორძოკეთისასაო“. ეს IX საუკუნის წყაროა და გვიამბობს VI ს. 30-იან წლებზე. ბ-ნ გ.რჩეულიშვილის გამოკვლევაში „ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“, მოაქსეს პროფ. რ.რამიშვილის ზეპირი მოსაზრება იმის შესახებ, რომ პარჭუანი ხახმატ-დათვისჯვრის კარი უნდა იყოსო. აკად. ს. ჯანაშიას იგი სადღაც არღუნის ხეობაში ეგულებოდა. გავკადნიერდებით და ჩვენი მხრით დავძინთ, რომ პარჭუანის კარი უნდა ყოფილიყო ქაჩუ-ძევლი შატილი, როგორც მას ადგილობრივები უწოდებენ (ქაჩუ = პარჭუ?). დვალეთის რა მოგახსენოთ და დარიალზე არანაკლებ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია აქ „პარის“ ჩასადგმელად (პირდაპირი მნიშვნელობითაც შეიძლება გავიგოთ) თუ ასაგებად. სტრატეგოსის თვალით თუ დავაკვირდებით, ძველი და ახალი შატილის ერთიანი კომპლექსი სწორედაც რომ შეუვალი კარი იქნებოდა. ამ მხრივაც შესასწავლია შატილის, მუცოს და არდოტის ის-

ტორია. ხსენებულ წყაროში მითითებული „დორძოკეთის“ კარი ორიდან ერთი უნდა იყოს: ან ქაჩუ-შატილის, ან - არხოტის, ასას ხეობაში. პრაქტიკული თვალსაზრისით უპირატესობა პირველს უნდა მინიჭებოდა. თუ „მოქცევა-ის“ ცნობას ზემოთ აღნიშნული სიმაგრეების არქიტექტურულ-არქეოლოგიური გამოკვლევები მხარს დაუჭერდა, მაშინ მათი ასაკი შორს გადაიწევდა.

კიდევ ერთხელ გაგვექცა სიტყვა!..

დგანან, მაშასადამე, უღელტეხილზე დიდი დიდოეთის გასაბეგრავად შემართული გიორგი ნაღვარმმენიერი და მისი ლაშქარი. აქვეა გახუაც, რომელსაც წინამძღოლი გვერდი-დან არ იშორებს.

„სულ ამამაძვრინესავ, - თქვისავ გახუამაო, - დ გვამივ ქვიშაში ჩაღმარხესავ“ (34) წერია ანდრეზში. აქ ამბავს მესამე პირში მოგვითხრობს ინფორმატორი და ისეთი რწმენა გა-მოსჭივის გახუას სიტყვისა, ნათქვამისა, თითქოს ბიბლიურ ტექსტს იმონმებდეს - „წერილ არს...“

ერთი სიტყვით, მეგრელაურმა სხეულებრივი ფორმა და იერი დაკარგა და ის აღე შეიძინა, რაც დამაკმაყოფილებელი იყო ღვთიშვილთათვის. მართალია, წმინდა კაცი იყო, ცოლ-შვილიანობის ნებაც კი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც თავისებური, ხორციელისათვის დამახასიათებელი სუნი უდიოდა. ამის გამო ღვთიშვილი ვერ იტანდნენ. ზრდილი და მოკრძალებული გახუა მათთან ურთიერთობაში დისტანციას იცავდა (36).

გახუას სუნით შეწუხებულ ღვთიშვილთ უთქვამთ მის-თვის, ორი დღე მაინც ემარხულა, იქნებ სუნი მოშორებოდა. ამან ერთი დღე კი გასძლო მშიერმა, მაგრამ მეორე დღეს თვალი და გული ავად გაექცა იქვე მდებარე „პურ-სატნის-კენ“ და ვეღარ გაუძლო ცდუნებას, მცირედი ყოყმანის შემ-დეგ გემრიელად შეექცა პურ - ყველს (36). ამაზე, შემდეგ, ღვთიშვილი სულ დასცინოდნენ და „მეპურსატნე გახუაც“ შეარქვეს; ამ სულწასულობის გამო იყო, რომ ჯვარიც კი გა-ნუდგა ერთი ხანობა. აქ, ამ ყველაფრით ხაზგასმული უნდა იყოს დიდოეთის ლაშქრობის განსაკუთრებულობა.

გიორგი ასკაისძემ ქაჯავეთის გზა და ადგილმდებარეობა კარგად იცის, ასე ვთქვათ - დაზვერვის მიზნითაც კი უვ-ლია იქ, „ხან კაცის აღით მაშჩვენებივ, ხან როგორც მუშა, ისე

მისულ“ (50), ბუზადაც კი გადაქცეულა, ღრუბლად და ირმად (40).

თავად ეპითეტი გუდანის ჯვრისა „დიდოეთის გამტეხი და გამბეგრავი“, როგორც სახუცო ტექსტებში მოიხსენიება და ჩვენც რამდენჯერმე ვახსენეთ, შემთხვევითი არ იქნება; აქ რომ დიდოეთის გატეხაზეა ლაპარაკი, ანდრეზში პირდაპირაა მითითებული (40) და ეს სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ექმ მხარგრძელის ლაშქრობისა?! ან, იქნებ, მანამდეც განახორციელეს ფხოველებმა შედეგიანი სამხედრო მაზევრი დიდოეთის მიმართულებით? აქაც არაფერია მოულოდნელი, მათ ამის ძალა შესწევდათ.

ქაჯთა სოფელს თუ ციხეს თუ ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, ტყეში დაიმალნენ. ხახმატის ჯვარს კოპალა გვერდიდან არ სცილდება. ქაჯებმა დაინახეს საშიშროება და გამოუხტნენ ლვთიშვილთ. ფიცხელ ბრძოლაში ქაჯებმა უკან დაიხიეს და ის იყო, ციხე-სიმაგრე უნდა დაცემულიყო, რომ მოულოდნელად იქიდან კატის თავ - ფეხები დაუშინეს. უწმინდურობამ ლვთიშვილნი შეაძრნუნა და უკან გამობრუნდნენ; გარკვეული დროის შემდეგ მეორედ შეუტიეს, კვლავ „ციცის თავ-ფეხით“ მოიგერიეს იერიში ქაჯებმა. უკანდახევისას გახუა ჩამორჩათ, მაგრამ „ცხენის ღრუბი“, სტომაქში დამალეს ლვთიშვილებმა, რომელთაც მესამე იერიშის დროს გამოიყვანეს მეგრელაური და ისევ თან იახლეს ( ისევ გაელვება „ილიადას“ ცნობილი ეპიზოდისა). ეს ერთგვარი რეპეტიცია თუ ესპერიმენტი იყო. მესამე იერიშზეც რომ უკანდახევა მოუხდათ, ახლა უკვე ხახმატის ჯვარი შეძვრა ცხენის ღრუბი და იქ დაიმალა. ბერძნ-ტროელთა ომისა არ იყოს, ცხენი აქაც გადამწყვეტ მომენტში ფიგურირებს, საოცარი თანხვედრაა! მოიერიშეებმა ფანდს მიმართეს. ქაჯები რომ უკანდახეულ ლვთიშვილთ გაეკიდნენ, ესკაისძემ დრო იხელთა და ქაჯთა სიმაგრეში უბრძოლველად შევიდა. პირველად სამჭედლოს მიაშურა. ეს ქაჯების უმთავრესი „დაწესებულება“ იყო. პირდაპირ ცხენზე ამხედრებული შეიჭრა, რა თქმა უნდა - საფარველდადებული. ქაჯებმა აქაც იყნოსეს საშიშროება, მაგრამ ხახმატურმა აღარ დააყოვნა, ჯერ ნისლის მსგავსი რამ ჯალი გააჩინა, მერე კი ცეცხლის ლახვარი ჰკურა იქაურო-

ბას, ქაჯებიცა და მათი სამჭედლოც ცეცხლის ალში გაახვია. მათრახის შემოკვრით აიტაცა ქაჯთა რიტუალური იარაღები - ქურთემული (გრდემლი) და ჩაქუჩი. (საინტერესოა, რომ არც აქ იხმარება მჭრელი იარაღი, არამედ მათრახითა თუ ლახტით იბრძვიან ღვთიშვილი). ეს უკვე გამარჯვებას და ბრძოლის დასასრულს ნიშნავდა. იქაურობა ნაცარტუტად აქციეს და ალაფის შეგროვებას შეუდგნენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სწორედ ასე მოიქცა ივანე მხარგრძელი ფხოვსა და დიდოეთში.

ქაჯეთიდან (გინდაც - ქაჯავეთიდან) წამოსხმულ ტყვე-თა შორის არიან ის ქალები, რომელთა შესახებ ზემოთ ვისა-უბრეთ და რომლებიც მიუჩინეს იქიდან გამორეკილ უამრავ საქონელს მომვლელებად. რეალურად ის არემარე, რომელ-ზედაც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი, მართლაც საუკეთესოა მესა-ქონლობისათვის, შესაბამისად - არც ეს პირუტყვი უნდა იყოს შემთხვევით ნახსენები ანდრეზებში.

გარდა საქონლისა, ღვთიშვილებმა ქაჯავეთიდან წამო-იღეს საკრალური შინაარსის სხვა და სხვა ნივთი. ესენია : სასრეც-სამართებელი, ბრიშა (43), თას - განძი, თეფშები, სა-კიდელი, ძროხის რქა (46), ცხრაენიანი ზარი, ცხრაძალიანი ოქროს ფანდური (47), ქურთემული, ჩაქუჩი, ოქროს მშვილდ-ისარი (48) და ოქროსავე საცერი (49). ამ ნივთებს ყველას თა-ვისი სიმბოლური დატვირთვა აქვს, რაც კიდევ ცალკე საუბ-რის საგანია.

გზად, უკან რომ ბრუნდებოდნენ, ქაჯები პარტიზანუ-ლად ესხმოდნენ თავს ღვთიშვილთ, მაგრამ მშვიდობით გა-მოაღნიეს და შემოდგნენ უღელტეხილზე, სადაც გახუას თა-ვისი გვამი ჰქონდა დატოვებული. აქ ანდრეზში ნაზი იუმორი შემოცურდება. განსაცდელი გამოვლილი ჰქონდათ, საფარ-ველი უნდა ახდილიყო და გახუასაც თავისი ხორცი შეემოსა, მაგრამ დახედა თუ არა მან თავის მძორს, რომელსაც მატლე-ბი ჭამდნენ, მხარზე კიდევ თაგვის ნაჭამი ჰქონდა, აღარ მო-ენონა იგი, განზე გადგა და იქიდან გაცლა და თავის დაღნე-ვა დააპირა. ღვთიშვილთ რას გამოაპარებდა და არსადაც არ გაუშვეს, მიიყვანეს თავის გვამთან და უბრძანეს - ჩაძვერი, მეპურსატნე გახუაო! ისევ ის პურ - ყველი წამოაყვედრეს (34). მეგრელაურს ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ ღვთიშ-

ვილთ ძალით ჩააძვრინეს გვამში პირიდან და „აისეთ კაცივ“ წამოდგა.

სხვა ანდრეზის (37) მიხედვით კი ღვთიშვილებმა დახე-დეს გახუას აყროლებულ გვამს და ნიშნისმიგებით თქვეს - „მეპურყველე გახუასავ მატლ ასჩენიავ“, მერე აიღეს გვამი, გაუბერეს, გამოუბერეს, ჩააძვრინეს შიგ გახუას სული და „აისეთივ კაც იქნა“. როგორ ჰგავს ეს ყველაფერი და არც ჰგავს უძველეს აღმოსავლურ რელიგიებში ჩადებულ ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს სულის რეინკარნაციისა, ოღონდ ეს განსხვავებული, უცხო და ახალია (თუ ძველი?). იქ სული სხვა, ახალი ხორცით შეიმოსება, აქ კი - ისევ იმ სხეულში ბრუნდება, საიდანაც გავიდა.

ქაჯავეთური ლაშქრობის ამბავი გახუამ „შემოუნახა“ შთამომავლობას, თვითონ კი მაინც ცოდვაში გაეხვია, ცოლი შეირთო და გუდანის ჯვარმაც მიატოვა იგი.

დიდი დიდოეთის გამტეხი და გამბეგრავი ხახმატის ჯვარი - გიორგი ნალვარმშვენიერი, ესკაისძე, დიდებით, ძლევამოსილი შემობრუნდა ხახმატში და რაკი ქაჯავეთის გატეხისას ცხენის „ლრუში“ დაიმალა და წარმატებას ამ გზით მიაღწია, თავის საუფლო კარზე, ამ ცხოველისადმი მადლიერების ნიშნად, ცხენების დაკვლა აკრძალა. ისინი აქ, ამიერიდან, მხოლოდ ინათლებოდნენ და ღვთაებას ებარებოდნენ (40). სწორედ ამ მოვლენის გამოძახილი უნდა იყოს და აქედან უნდა იღებდეს სათავეს ფხოველთა ტრადიციული რიტუალიც - დოლი.

ქაჯავეთური განძიც ღვთიშვილებმა გაინაწილეს: გრდემლი, ჩაქუჩი და ძროხის რქა (რომელსაც შემდგომ მარცვლეულის საწყავად ხმარობდნენ), ხახმატის ჯვარს დარჩა; სასრევ - სამართებელი და ბრიშა (ლითონის სამკუთხა ნივთი) - არხოტის ჯვარს; ერთი ცნობით ხადუს ჯვარს (40); ხადუს სანებას წაულია მშვილდ - ისარიც და ა.შ. მარტო კვირიას არ აუღია წილი.

ქაჯთა ქალებიც მოინათლნენ - ცხრაჯერ განიბანენ, სამ-სამი საკლავი დაკლეს და ხახმატის წმინდა გიორგის მოდენი, დადნაფიცები გახდნენ. დადნაფიცებისა და ძმადნაფიცების წესი და ტრადიციაც, როგორც ითქვა, აქედან უნდა იღებდეს სათავეს.

დასრულდა ქაჯავეთური ლაშქრობა.

დასრულდა ფხოვურ - დიდოური ლაშქრობა.

როგორც მემატიანე გვიამბობს, ივანე მხარგრძელმა ზემოდან ქვემოთ ანარმოა საბრძოლო მოქმედებები. მთები-დან და უღელტეხილებიდან დაეშვა ხეობებში. მაშინ, სავარაუდოდ, ჭაბუკი გიორგიც თან ახლდა მთავარსარდალს - მეფის წული, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ლაშა. ექსპედიციის ფინალურ ეტაპზე მაინც იახლებდა, ექსპედიციის, რომელიც ძლევით დაასრულა და ტრიუმფალური ფინალი ლაშარის გორზე თამარ მეფის ძის სახელობის სალოცავის დაფუძნებითა თუ სახეცვლით აღნიშნა, ერთგვარი მხედრული რევერანსი გაუკეთა სათაყვანებელ მეფეს.

არ არის გამორიცხული. ვარაუდებიო... ივარაუდებს კაცი, ისტორია ხომ გარკვეულწილად მაინც ვარაუდია. გამოუვალ მდგომარეობაში ასეთი იარაღითაც ვცდილობთ საუკუნოვანი წყვდიადის გაფანტვას, ეგეც არ იყოს, არსებობის უფლება ხომ ვარაუდსაც გააჩნია.

მაინც რიბირაბოა და მკაფიოდ არაფერი ჩანს? რა გაენყობა, წარსული ეგებ სწორედ ამითია საინტერესო.



**გამომცემლობა „უნივერსალი“**

---

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, **ტელ:** 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)